http://www.tsu.ge/newspaper

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

უნივერსიტეტი არის სამოქალაქო ღირებულებების პროპაგანდისტი

მე-13 გვ.

ალმა მატერ

უნივერსიტეტი

28 სექტემბერი, ორშაბათი, 2009 წ. №10 (2092)

ანა ნუსხელაძე — ყველაზე მაღალრეიტინგიანი სტუდენტი საქართველოში

ჩვეულებრივი გოგონაა – ჭკვიანი თვალებით და მორიდებული ღიმილით. საუბრისას ხშირად გახსენებთ, რომ მისი წარმატება ჯერ ბევრი არაფერია, რადგან ყველაფერი წინ აქვს, მაგრამ მისი მსჯელობა, ლოგიკური აზროვნება და გახსნილი მზერა მიგანიშნებთ – თქვენ წინ ნიჭიერი, განათლებული, ფართო თვალსაწიერის მქონე ახალგაზრდაა — ადამიანი, რომელსაც ხვალ ჩვენი ქვეყნის წარმატებისთვის ბევრის რამის გაკეთება შეუძლია.

მაია ტორაძე

გაიცანით — ანა ნუსხელაძე, საქართველოში ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე პირველკურსელი, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ისწავლის!

ზოგისთვის ასეთი არჩევანი შემთხვევითია, ანამ კი ზუსტად იცოდა, რომ სწავლა სწორედ ჩვენს უნივერსიტეტში და ამ ფაკულტეტზე უნდა გაეგრძელებინა. „ბავშვობიდან მათემატიკა მიყვარდა და სხვა უმაღლეს სასწავლებელზე არც მიფიქრია, რადგან ამ მეცნიერებაში საფუძვლიანი ცოდნის მიღებას უნივერსიტეტიდან ველოდები“, — ამბობს იგი, იღიმება და მისი ასაკისთვის უჩვეულო თავმდაბლობით დასძენს:

მე-10 გვერდზე

წელს საკმაოდ დიდი მოთხოვნილება იყო ჩვენს უნივერსიტეტზე

ინტერვიუ თსუ-ის რექტორთან გიორგი ხუბუასთან

ნინო კაკულია

— თსუ-ის უპირველესი ფუნქცია მაღალკვალიფიციური განათლების მიცემაა იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ირჩევენ და ნდობას უცხადებენ ჩვენს უნივერსიტეტს. რამდენად ამართლებს თსუ საზოგადოების ამ მოლოდინს?

— პირველ რიგში მოგესალმებით თქვენ და თქვენს მკითხველებს. საზოგადოების ნდობა და მოლოდინი რომ მართლაც დიდია ჩვენი უნივერსიტეტის მიმართ, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ წელს საკმაოდ დიდი მოთხოვნილება იყო ჩვენს უნივერსიტეტზე და განსაკუთრებული სიამაყით უნდა აღვნიშნო, რომ ყველაზე მაღალრეიტინგული აბიტურიენტი, ანა ნუსხელაძე, სწორედ ჩვენი უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ეს, რა თქმა უნდა, სასიხარულო ფაქტია, თუმცა ამავდროულად კიდევ ერთხელ გვახსენებს, თუ რამხელა პასუხისმგებლობას გვაკისრებს საზოგადოება მის მიერ გამოცხადებული ნდობით და ჩვენი ვალია, ეს ნდობა გავამართლოთ. ჩვენ მცდელობას არ ვაკლებთ, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წამყვანი საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი იყოს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს რეგიონში და საკუთარი წვლილი შეიტანოს როგორც სამოქალაქო საზოგადოების, ასევე, სახელმწიფოს განვითარებაში მაღალი ხარისხის სწავლებით და კვლევითი საქმიანობით.

მე-2 გვერდზე

ახალი სასწავლო წლის დაწყებას უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ახალი ინიციატივებით ხვდება
მე-3 გვერდზე

რა სიახლით ხვდებიან უნივერსიტეტის ფაკულტეტები ახალ სასწავლო წელს?
მე-3-6 გვ.

ინტერვიუ თსუ-ის რექტორის მრჩეველთან იოჰენ ციმერმანთან
მე-6-7 გვ.

თსუ-ში საქართველოს ყველაზე წარმატებული და განათლებული ახალგაზრდობა მოვიდა
მე-7 გვერდზე

წარმატებულ პირველკურსელებს სიურპრიზები ელოდებათ
მე-9 გვერდზე.

ინტერვიუ ფაკულტეტების წარმატებულ პირველკურსელებთან
მე-11-13 გვ.

პირველი ეროვნული უნივერსიტეტი კავკასიაში
მე-14 გვერდზე.

წელს საკმაოდ დიდი მოთხოვნილება იყო ჩვენს უნივერსიტეტზე

ინტერვიუ თსუ-ის რექტორთან გიორგი ხუბუასთან

პირველი გვერდიდან

ამ მიმართულებით ყოველდღიურად ვდგამთ წარმატებულ ნაბიჯებს და ვაფართოვებთ ჩვენი მოღვაწეობის სფეროთა არეალს.

— ***ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების შემდეგ მაგისტრანტობის კანდიდატები სასურველ უმაღლეს სასწავლებელს ირჩევენ. თქვენი აზრით, რატომ უნდა აირჩიოს მაგისტრანტობის კანდიდატმა თსუ? რაში მდგომარეობს ის უპირატესობა, რაც ჩვენს უნივერსიტეტს ახასიათებს?***

— ყველასთვის კარგად ცნობილია, რომ სამაგისტრო პროგრამების ისეთ მრავალფეროვან სპექტრს, როგორსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სთავაზობს საზოგადოებას, საქართველოში ჯერჯერობით არც ერთი სხვა უმაღლესი სასწავლებელი არ ფლობს. გასული წლის განმავლობაში ჩვენს სამაგისტრო პროგრამათა ჩამონათვალს კიდევ რამდენიმე საერთაშორისო დონის პროგრამა დაემატა, რომლებიც სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ხორციელდება და სტუდენტებს საქართველოდან გაუსვლელად ევროპული ხარისხის განათლების მიღების საშუალებას აძლევს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სამაგისტრო პროგრამების დასრულების შემდეგ სტუდენტი პარტნიორი უნივერსიტეტის დიპლომის მფლობელიც ხდება, რაც მას არა მარტო ქართული თავისუფალი შრომის ბაზრისთვის ხდის კიდევ უფრო მეტად კონკურენტუნარიანს, არამედ საერთაშორისო შრომითი ბაზრისკენაც უხსნის გზას. იურიდიულ ფაკულტეტზე უკვე წარმატებით ხორციელდება ჩვენი უნივერსიტეტისა და კიოლნის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა. ცოტა ხნის წინ ჩვენთან სტუმრად იმყოფებოდა გერმანიის ქალაქ შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის რექტორი, რომელთან ერთადაც თანამშრომლობის მემორანდუმს მოვაწერეთ ხელი, რაც ჩვენს უნივერსიტეტში ქართული საუნივერსიტეტო სივრცისთვის სრულებით ახალი ტიპის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის დანერგვას ითვალისწინებს. ეს სამაგისტრო პროგრამა მომავალ საჯარო მმართველებს მოამზადებს, რომელთა სწავლებაზეც გერმანიიდან ჩამოსული მაღალკვალიფიციური პროფესორები იზრუნებენ. ამ პროგრამის მიზანია, პროგრესი შეიტანოს ქართული ადმინისტრაციული მმართველობის სფეროში და იგი მაღალკვალიფიციური, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით განათლებამიღებული კადრებით მოამარაგოს. პროგრამის ხიბლი ისიცაა, რომ მასში მონაწილეობის მისაღებად განსაკუთრებული წინაპირობების დაკმაყოფილება არ მოეთხოვება სტუდენტს, მთავარია, იგი ფლობდეს ბაკალავრის ხარისხს ნებისმიერ სფეროში და ინგლისურ ენას. გარდა ამისა, სტუდენტებს საშუალება ექნებათ, გაემგზავრონ ქალაქ შპაიერში და ზოგიერთი სალექციო კურსი იქ მოისმინონ. ჩვენ, ჩვენი მხრივ, საუკეთესო სტუდენტების წასახალისებლად მათთვის ფინანსურ მხარდაჭერასაც ვგეგმავთ.

11 სექტემბერს ქალაქ მიუნხენში ჩვენთვის კიდევ ერთ ძალზედ მნიშვნელოვან თანამშრომლობის მემორანდუმს მოეწერა ხელი მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტთან. ეს ხელშეკრულება სამეცნიერო-კვლევით და აკადემიურ სფეროებში თანამშრომლობას და პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების განხორციელებას გულისხმობს. გარდა ამისა, მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი ჩვენს სტუდენტებს სთავაზობს ისეთი საგნების შესწავლას, რომლებიც სამწუხაროდ ჯერ ჩვენს სასწავლო საგანთა ჩამონათვალში არ არის. ვითანამშრომლებთ სადოქტორო პროგრამების დონეზეც. მინდა ვისარგებლო შესაძლებლობით და „თბილისის უნივერსიტეტის“ ფურცლებიდან კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ვოლფგანგ ჰერმანს დიდი ნდობისათვის, მის ვაჟს ფლორიან ჰერმანს, რომელიც ბავარიის ბუნდესტაგის წევრია და გარდა იმისა, რომ დიდი დახმარება გაგვიწია ამ ხელშეკრულების მზადებისას, ღრმად სწამს, რომ ეს კავშირი პოლიტიკურ ელფერსაც შეიძენს და ორ ქვეყანას შორის ურთიერთთანამშრომლობის მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდება. აქვე უნდა გამოვყო ავსტრიის პრინცესა გაბრიელა ფონ ჰაბსბურგი, რომელიც ასევე განსაკუთრებულად იყო მოწადინებული ამ კავშირის დამყარებისთვის.

— ***რამდენად იყენებს სახელმწიფო იმ ინტელექტუალურ რესურს, რაც ჩვენს უნივერსიტეტშია თავმოყრილი? როგორ გესახებათ ამ პოტენციალის რეალიზება?***

— უნივერსიტეტში ჩვენი ქვეყნის საკმაოდ მნიშვნელოვანი ინტელექტუალური პოტენციალია აკუმულირებული, რომელიც საიმედო და მნიშვნელოვანი პარტნიორი შეიძლება გახდეს სახელმწიფოსათვის და მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ქვეყნის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში. გასული წლის მოვლენების შემდეგ ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ამ პოტენციალის უგულებელყოფა არ შეიძლება. ახლახანს საქართველოს პრეზიდენტი გამოვიდა ინიციატივით, რომ მეცნიერები კიდევ უფრო აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულები ქვეყნისათვის საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობაში და ვფიქრობ, ეს საკმაოდ პოზიტური გადაწყვეტილებაა. გარდა ამისა, რაციონალურად შეიძლება ქვეყანაში არსებული სამეცნიერო პოტენციალის საერთაშორისო დონეზე ქვეყნის პოპულარიზაციისათვის გამოყენება. ყოველი ქვეყნის საუკეთესო დესპანი კულტურასთან ერთად მისი მეცნიერებაა და, ამ მხრივ, ჩვენ ჯერ კიდევ არ გვითქვამს მსოფლიოსათვის ჩვენი სათქმელი ბოლომდე.

— ***უნივერსიტეტი მხოლოდ აკადემიური საგანმანათლებლო დაწესებულება როდია. მის კედლებში იზრდებოდნენ და ყალიბდებოდნენ საქართველოს მოქალაქეებად და სწორედ აქ იძენდნენ სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობას, რასაც უნივერსიტეტის წარსული ისტორიაც მოწმობს. თქვენი აზრით, ამ მისიას დღესაც ასრულებს თუ არა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და რამდენად აუცილებელია აქცენტის გაკეთება ამ მიმართულებით?***

— მართებულად აღნიშნეთ, რომ უნივერსიტეტი ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სამოქალაქო საზოგადოების აღზრდის საქმეში. ახლო წარსულზე თვალის ერთი გადავლებითაც კი ნათლად დაინახავთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის იქ იდგა, სადაც ქვეყნის ბედი წყდებოდა. თუმცა დროთა განმავლობაში იცვლება ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემები და შესაბამისად უნივერსიტეტიც ახალ მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს. თუ ადრე უნივერსიტეტი რევოლუციურად განწყობილ განმათავისუფლებელ მოძრაობას ედგა სათავეში, ახლა მიმაჩნია, რომ ქვეყნის შენებაში მისი როლი მაღალკვალიფიციური, სამოქალაქო შეგნების მქონე კადრების აღზრდა და თანამედროვე მოთხოვნების შესაფერისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმოებაა. ჩვენი უნივერსიტეტის წიაღიდან გასულმა სტუდენტებმა უნდა იცოდნენ, რომ ისინი ერთიანი სამოქალაქო საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არიან და თითოეულს განსაკუთრებული მისია აკისრია სახელმწიფოს წინაშე, რაც მის მიერ პროფესიული საქმიანობის კეთილსინდისიერი განხორციელებით უნდა გამოიხატოს.

— ***რას უსურვებდით ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით პირველკურსელებს, საერთოდ უნივერსიტეტის სტუდენტობას და საუნივერსიტეტო საზოგადოებას?***

— პირველ რიგში ყველა პირველკურსელს მივულოცავ ცხოვრების იმ მნიშვნელოვანი ეტაპის დაწყებას, რასაც სტუდენტობა ჰქვია და პიროვნულ და კარიერულ წინსვლას ვუსურვებ. მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ მათგანს გამოცხადებული ნდობისათვის და მათი არჩევანის ჩვენს უნივერსიტეტზე შეჩერებისათვის. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და სტუდენტებსა და ჩვენს თანამშრომლებს უნივერსიტეტის პირველ კორპუსში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო შექმნილი მცირე დისკომფორტის გამო მოვუბოდიშო. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მათ სიახლეც მრავლად ელით. მსურს ყველას წარმატებული აკადემიური წელი და წარმატებები ვუსურვო.

ვისურვებდი, რომ უნივერსიტეტი ქვეყნის განვითარების მძლავრი ხერხემალი ყოფილიყოს

ინტერვიუ საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარესთან გიორგი გაბაშვილთან

მაია ტორაძე

— ***თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თქვენი მშობლიური სასწავლებელიც არის. უნივერსიტეტს, საუკუნის განმავლობაში, დიდი წვლილი მიუძღვის ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გაღვივებაში. როგორ ფიქრობთ, დღეს რა ფუნქცია ეკისრება უნივერსიტეტს თანამედროვე საქართველოს დემოკრატიული განვითარების პროცესში?***

— უნივერსიტეტის უპირველესი დანიშნულებაა სტუდენტებისთვის განათლების მიცემა, მაგრამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, თავისი წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, აქვს ის ფუნქციაც, რომ იყოს ერთგვარი ინტელექტუალური და თავისუფალი აზროვნების ცენტრი. მაშინაც, როცა საქართველოში საბჭოთა დიქტატურა ბატონობდა, ყველაზე მეტი თავისუფალი აზრი უნივერსიტეტში იყრიდა თავს. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 1978 წლის აპრილის მოვლენები, როცა კომუნისტურმა ნომენკლატურამ ქართული ენის სტატუსის შეცვლა მოისურვა. სწორედ უნივერსიტეტიდან დაიწყო მღელვარება, რომელმაც ძალიან მნიშვნელოვანი შედეგი მოიტანა და ქართული ენა საბჭოთა იმპერიის პირობებშიც კი სახელმწიფო ენად დარჩა.

მანამდეც — ძალიან მნიშვნელოვანი, ერთი მხრივ, სამეცნიერო, მეორე მხრივ პოლიტიკური მნიშვნელობის კვლევები ტარდებოდა უნივერსიტეტში. საკმარისია ვახსენოთ არნოლდ ჩიქობავა, რომელიც თავისი მოღვაწეობით კავკასიის ერების ინტელექტუალურ ცენტრს ქმნიდა თბილისში. მისი ლინგვისტური ერთიანობის თეორია მაგნიტივით იზიდავდა საქართველოში კავკასიელი ერების ინტელექტუალურ ძალებს, მათთან უნივერსიტეტს ინტენსიური კავშირი ჰქონდა. ესეც პოლიტიკური ფუნქცია იყო.

საბჭოთა კავშირის რღვევაში უნივერსიტეტმა თავისი ფუნქცია შეასრულა. ძალიან კარგად მახსოვს დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის გარშემო მიმდინარე მოვლენები. სწორედ უნივერსიტეტის სტუდენტებმა დაიწყეს ეს მოძრაობა, რომელიც შემდგომ საერთო ეროვნულ მოძრაობაში გადაიზარდა. საქართველოს ახალი ისტორიის ყველა ეტაპზე უნივერსიტეტი იყო ერთგვარი ცენტრი ინტელექტუალური აქტივობისა და ეროვნული ინტერესების დაცვისა.

— ***თქვენ ბრძანეთ, რომ უნივერსიტეტი ინტელექტუალური ცენტრი იყო... ხომ არ ფიქრობთ, რომ მასში თავმოყრილი ინტელექტუალური ძალა, რომელსაც შეუძლია ექსპერტის როლი შეასრულოს დღევანდელი მოვლენების შეფასებებსა და სამოქმედო პროგრამების შექმნაში, უფრო მეტად უნდა იყოს გამოყენებული საქართველოს ხელისუფლების მიერ?***

— შემიძლია გითხრათ, რომ ძალიან ბევრი ადამიანი, რომელიც დღეს საექსპერტო სფეროში და არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობს, საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის ლექტორია. ისინი აქტიურად არიან ჩართული კონცეფციების შექმნაში. მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები და მეცნიერული დასკვნები აისახება აზრის ფორმირებაზე ამა თუ იმ სფეროში. ვიმეორებ, უნივერსიტეტი არის ის ერთგვარი ინტელექტუალური ცენტრი, რომელიც პოლიტიკაზე დღესაც გავლენას ახდენს.

— ***როგორ გაიხსენებდით უნივერსიტეტში გატარებულ წლებს?***

— უნივერსიტეტში გატარებული წლები ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესოა ჩემთვის. 1991 წელს, სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დახმარებით და მისი ერთერთი პროგრამით, სასწავლებლად წავედი გერმანიაში, სადაც რამდენიმე წლის განმავლობაში ვაგრძელებდი სწავლას. IV კურსზე დავბრუნდი თბილისში და დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დიდი სითბოთი ვიხსენებ ყველას, ვინც მასწავლიდა, ზოგიერთი მათგანი დღეს ცოცხალიც არ არის. ჩემს საყვარელ ლექტორთა შორის მინდა გავიხსენო ბატონი ნოდარ კაკაბაძე, შესანიშნავი პიროვნება და ერთ-ერთი ყველაზე განათლებული ადამიანი საქართველოში. სიყვარულით ვიხსენებ კურსელებს, ჯგუფელებს, თავისუფლების და თანადგომის იმ განწყობას, რომელიც უნივერსიტეტში ყოველთვის სუფევდა. მახსოვს, გერმანიაში სწავლის დროს სისტემატურად რეკავდნენ უნივერსიტეტიდან და ინტერესდებოდნენ — როგორ სწავლობდა მათი სტუდენტი. ძალიან უხაროდათ ჩემი ნებისმიერი პატარა წარმატებაც.

ვისურვებდი, რომ უნივერსიტეტი ყოფილიყოს მსოფლიოში ერთ-ერთიყველაზე კონკურენტული, ხარისხიანი განათლების მიმცემი უმაღლესი სასწავლებელი, ძლიერი ინტელექტუალური ცენტრი და მძლავრი ხერხემალი ამ ქვეყნის განვითარებისა და წინსვლის.

ყველა პირველკურსელს, ვინც პირველად უნდა ეზიაროს ჩვენი დედა უნივერსიტეტის ცოდნის წყაროს, მივულოცავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას და ვუსურვებ — მაქსიმალურად გამოიყენოს ის პოტენციალი, რასაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფლობს.

ახალი სასწავლო წლის დაწყებას უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ახალი ინიციატივებით ხვდება

ინტერვიუ თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელთან რომან ხარბედიასთან

ახალი სასწავლო წლის დაწყებას უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ახალი ინიციატივებით ხვდება — მთავარი საზრუნავი სტუდენტებისთვის ისეთი გარემოს შექმნაა, სადაც სწავლისთვის საუკეთესო პირობები იქნება. ამ თემაზე გვესაუბრება თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **რომან ხარბედია.**

ნინო კაკულია

— როგორ ხვდებით ახალ სასწავლო წელს? რას პირდება უნივერსიტეტის ადმინისტრაცია პირველკურსელებს? რა არის დაგეგმილი?

— ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებული მზადება წინა სემესტრის დასრულების შემდეგ, ანუ ზაფხულის პერიოდიდან დავიწყეთ. გეგმის თანახმად მეორე კორპუსსა და მაღლივ კორპუსში დავიწყეთ აუდიტორიების გარემონტება-მოწყობა. სულ რემონტდება 75-მდე აუდიტორია. ამავე დროს, მაღლივ კორპუსში კეთდება 2 დიდი აუდიტორია, სადაც 200-ზე მეტი სტუდენტი მოისმენს ლექციას. ასე რომ, 28 სექტემბერს გარემონტებული აუდიტორიებით შევხვდებით. მოხდა აუდიტორიების გადანომრვა. შევიძინეთ და განვაახლეთ 1700-ზე მეტი სასწავლო მაგიდა და მერხი. სასწავლო პროცესის სრულყოფის მიზნით ფაკულტეტებს, ლაბორატორიებსა და ცენტრებს კომპიუტერული ტექნიკით მოვამარაგებთ. ამ ეტაპზე 170-ზე მეტი კომპიუტერი შევიძინეთ. მაღლივ კორპუსში გაკეთდა კომპიუტერული რესურს-ცენტრი, რომელიც 70 სტუდენტს მოემსახურება. ყველა ფაკულტეტისთვის დავამზადეთ საუნივერსიტეტო კედლის სტენდები. ტურიზმის საერთაშორისო სკოლისთვის გაკეთდა აუდიტორია და ოთახები. გამოვყავით თანხა უნივერსიტეტის მერვე კორპუსსა და ბიბლიოთეკის საგამოცდო ცენტრის დარბაზებში გათბობის სისტემის დასამონტაჟებლად. შიდასარემონტო სამუშაოები ჩავატარეთ მეხუთე კორპუსშიც. ბევრი რამ, რაც წლების მანძილზე არ გაკეთებულა, საკუთარი ძალებითა და რესურსით გავაკეთეთ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის გამოყოფილი თანხით იგეგმება ბიოლოგების კორპუსში სასწავლო ლაბორატორიებისა და აუდიტორიების რემონტი.

სასწავლო წლის დაწყებისთანავე პირველი კორპუსის ეზოსა და მაღლივ კორპუსში ამუშავდება კვების ობიექტები. „ფუდ მასტერთან“ ჩვენ 10 წლიანი ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული. თუ ხელშეკრულების პირობებს შეასრულებენ, მუშაობაში მათ ხელს არავინ შეუშლით. თუ დაარღვევენ ამ პირობებს, მაშინ ჩვენ იძულებულნი ვიქნებით, სხვა გზა მოვნახოთ, რათა სტუდენტებს ნორმალური კვების ობიექტი ჰქონდეთ.

— რას უსურვებთ ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით სტუდენტებს, რომლებიც პირველად მოდიან უნივერსიტეტში?

— ვინც პირველად მოდის უნივერსიტეტში, ვუსურვებ იმ იმედების გამართლებას, რა იმედითაც ისინი ჩვენთან მოდიან. ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი ყველაზე მაღალრეიტინგული უმაღლესი სასწავლებელია საქართველოში და აქ სწორედ იმ იმედით მოდიან, რომ სწავლებისა და კვლევისთვის საუკეთესო გარემო და პირობები დახვდებათ. ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც ჩვენს უნივერსიტეტს ოდითგანვე მოსდგამს – მისი წარსული ისტორია და ის მაღალკვალიფიციური კადრები, რომელიც დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰყავს. მათ ჩვენც ისე უნდა დავხვდეთ, როგორც ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტს ეკადრება. იმედი მაქვს, რომ ისინიც კარგად ისწავლიან და მაღალი დონის სპეციალისტები გახდებიან.

— პირველი კორპუსის რემონტი შემაფერხებელი ხომ არ არის სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვისთვის?

— პირველი კორპუსის რემონტი სულ არ უშლის ხელს სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვას. უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის დაცლა და ოთახებისა და აუდიტორიების გამოთავისუფლება ფაქტობრივად უმტკივნეულოდ მოხერხდა, ყველა ფაკულტეტი ძველებურად ფუნქციონირებს. თუმცა პირველი კორპუსის რემონტი რომ დასრულდება, გაცილებით უკეთეს პირობებში ვიქნებით — პირველი კორპუსი მსოფლიო სტანდარტების დონეზე კეთდება და მისი რემონტი, სავარაუდოდ, ერთ წელიწადში დამთავრდება.

წელს იურიდიულ ფაკულტეტს 895 პირველკურსელი ჰყავს

ინტერვიუ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელთან ირაკლი ბურდულთან

საუნივერსიტეტო რეფორმის მთავარი ამოცანა მყარი და საფუძვლიანი ცოდნის მქონე, მსოფლიო ინტელექტუალური შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი და, ამავე დროს, ეროვნული თვითშეგნების მქონე სპეციალისტების მომზადებაა. ამ მხრივ არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სასწავლო პროცესის შემდგომი სრულყოფისა და მუშაობის ფორმების დახვეწის თვალსაზრისით.

თსუ ახალი სასწავლო წლის დაწყებას ღირსეულად და ნაყოფიერად ხვდება. ინტენსიურად გაგრძელდება სასწავლო პროცესის მოდერნიზაცია მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება და განახლება, რომელიც სტუდენტის ცოდნის ხარისხის ამაღლებას ემსახურება. სწორედ ამ რეფორმებსა და სიახლეებზე გვესაუბრება თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი:

თამარ მარუაშვილი

— ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით რამდენი სტუდენტი ჩაირიცხა წელს თქვენს ფაკულტეტზე და როგორი მომზადებულები იყვნენ აბიტურიენტები?

— აბიტურიენტების მომზადების დონე, გასულ წლებთან შედარებით, დაბალი იყო, რაც ალბათ სხვადასხვა სოციალური თუ ეკონომიკური ფაქტორით აიხსნება. აღსანიშნავია, რომ 6000-მა აბიტურიენტმა აირჩია იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელება — დამეთანხმებით, ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. აქედან მხოლოდ 895 მსურველი ჩაირიცხა. რაც შეეხება მაგისტრატურას, აქ სტუდენტებს ორი ეტაპის გავლა მოუწიათ. ადრე თუ ბაკალავრები მხოლოდ მაგისტრატურაში მისაღებ გამოცდას აბარებდნენ, ახლა მათ ეროვნული გამოცდებიც ჩააბარეს. ამის შემდეგ კი გამოიცადნენ სპეციალობასა და უცხო ენაში. ეს სიახლეა, აქამდე ეს „ფილტრი“ არ იყო...

როგორც წესი, თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტს განაცხადი სხვადასხვა რაოდენობის სტუდენტზე შეჰქონდა, ჩარიცხულთა რიცხვიც 300-დან 500-მდე მერყეობდა. წინა წელს, დაახლოებით, 300 მსურველი ჩაირიცხა, ხოლო 2007 წელს 400-მდე სტუდენტი. წელს კი იურიდიულ ფაკულტეტს 895 პირველკურსელი ჰყავს. მაგისტრატურაში წელს 120 სტუდენტს მივიღებთ. ხოლო რაც შეეხება დოქტორანტურას, გასულ წელს 11 დოქტორანტი ჩაირიცხა. ალბათ, ამ სემესტრშიც გვექნება მიღება და, რა თქმა უნდა, ამ საკითხს პროფესურასთან შეთანხმებით გადავწყვეტთ.

წელს ვინაიდან ბაკალავრების რიცხვი გავზარდეთ, შესაბამისად, ტექნიკური საკითხების მოგვარებაზეც ვმუშაობთ. ვარემონტებთ დამატებით აუდიტორიებს. ფაკულტეტს ათეულობით აუდიტორია შემოემატება, ეს კი საშუალებას მოგვცემს სასწავლო პროცესის დაწყებას ტექნიკურად მომზადებულები შევხვდეთ.

— რა ახალ საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამებს სთავაზობთ სტუდენტებს?

— ახალი სასწავლო პროგრამების დანერგვა ფაკულტეტზე რამდენიმე წლის წინ დაიწყო. ნებისმიერი სასწავლო პროგრამა დახვეწასა და კორექტირებას ითხოვს. დღეს არსებული საბაკალავრო პროგრამა, ძირითადად, ორ მოდულად იყოფა — სავალდებულო და არჩევით მოდულებად. სავალდებულო მოდულებში ის საგნები იგულისხმება, რომელიც აუცილებელია იურისტმა ისწავლოს, ამიტომ ვფიქრობთ, ლექციებისა და სემინარების საათობრივი რაოდენობის გაზრდას, რაც შინაარსობრივად გაზრდის სავალდებულო საგნის შესწავლას და ბაკალავრს ძირეული, ხარისხიანი ცოდნის მიღების საშუალებას მისცემს. ამ საკითხის გატანას საფაკულტეტო საბჭოზე ვაპირებთ. „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის მიხედვით, საბაკალავრო პროგრამა მინიმუმ 240 კრედიტს უნდა მოიცავდეს. ბოლონიის პროცესი იძლევა იმის საშუალებას, რომ მინიმუმი კრედიტებისა 180 იყოს. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ კანონიდან გამომდინარე ლავირების საშუალება არა გვაქვს, 240 კრედიტი აუცილებელია ბაკალავრიატის დასამთავრებლად. აქედანსავალდებულო საგნებს უფრო ცოტა კრედიტი ხმარდება, ვიდრე საერთო ჯამში უნდა მოხმარდეს. არჩევითი საგნების შემცირების ხარჯზე, სავალდებულო საგნების საათების გაზრდა უზრუნველყოფს სწავლების ხარისხს. არჩევითი საგნები, თავისი შინაარსით, უფრო უნდა დაუახლოვდეს სავალდებულო საგნების თემატიკას, რაც დაეხმარება ბაკალავრს ცოდნის გამყარებასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.

სიახლეა სასერტიფიკატო პროგრამებთან დაკავშირებითაც. საჯარო მმართველობაში გვაქვს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა გერმანიის (შპაიერის) ადმინისტრირების უმაღლეს სკოლასთან. ეს სკოლა ადმინისტრაციულ სამართალმცოდნეობაში ერთ-ერთი გამორჩეულია მთელს ევროპაში. გერმანიის (შპაიერის) ადმინისტრირების უმაღლესი სკოლა ინტერდისციპლინარული პროგრამაა. აქ არის ადმინისტრაციული მენეჯმენტის, სახელმწიფო მენეჯმენტის საკითხები, რომელიც, დამეთანხმებით, ერთ-ერთი აქტუალურია დღეს ქვეყნისთვის. ამ პროგრამაზე საბუთების მიღებას 15 სექტემბრიდან დაიწყო. გერმანიის (შპაიერის) ადმინისტრირების უმაღლესი სკოლის სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია როგორც მაგისტრანტებისთვის, ისე მაღალი დონის სპეციალისტებისა და სახელმწიფო მოღვაწეებისთვის. ასევე, გაგრძელდება კიოლნის სამაგისტრო პროგრამაც, სადაც 2010 წლის გაზაფხულზე ახალი მიღება იქნება. მიმდინარე წელს 19 სტუდენტი მივიღეთ, მაგრამ სწავლას მხოლოდ 16 აგრძელებს. ახლა ისინი ორი თვით კიოლნში იმყოფებიან სამაგისტრო ნაშრომის დასაწერად, გამოცდების ჩასაბარებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

— რა ცვლილებები განხორციელდა ფაკულტეტზე ფინანსური თვალსაზრისით...

— სწავლების საფასურის მხრივ, თსუ-ში გაცილებით ნაკლები გადასახადია სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან შედარებით... იურიდიული ფაკულტეტი ყველაზე მაღალი დონის პროფესურით არის წარმოდგენილი, რომლებიც მიმართულებების წამყვანი სპეციალისტები არიან. ამიტომ, ამ მხრივ, საქართველოს მასშტაბით ფაკულტეტს კონკურენტი არ ჰყავს. ყველანაირად ვცდილობთ, პროფესორებს კარგი სამუშაო პირობები შევუქმნათ და, შესაბამისად, მაღალი ანაზღაურებითაც წავახალისოთ.

ასევე დიდი ყურადღება ეთმობა მეცნიერულ კვლევებს. პროფესორი, ასე ვთქვათ, უნდა იყოს კატალიზატორი მთელი ამ კვლევისა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს მთელი აპარატი და სამეცნიერო

ჯგუფი. შეიქმნა ახალი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც დოქტორანტურაში სწავლის ერთ-ერთი კომპონენტი პროფესორის ასისტენტობა იქნება. ამაში იგულისხმება ნაშრომის შემოწმება, სასემინარო ჯგუფში შესვლა, საგამოცდო საკითხების მომზადება, ანუ ხდება ინტეგრაცია ასისტენტისა და დოქტორანტის მუშაობისა პროფესორის მუშაობასთან. ამ მხრივ სიახლე ბევრია, მაგრამ წინასწარ იმისი თქმა, თუ რა გამოიკვეთება მომავალში, შეუძლებელია.

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი რომ პირველი ფაკულტეტია საქართველოში, ეს აქსიომაა. სწავლების სამივე საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სწავლის საფასური საკმაოდ დაბალია და ჯერჯერობით ცვლილებები მის შემცირებასა ან გაზრდაზე მოსალოდნელი არ არის.

— რა მოთხოვნებს უყენებს ფაკულტეტის ადმინისტრაცია თავის სტუდენტებს?

— სურვილი და თხოვნა იქნებოდა – მაქსიმალურად გამოიყენონ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და აკადემიური პერსონალის რესურსები იმისათვის, რომ საუკეთესო იურიდიული განათლება მიიღონ. ამავე დროს, ჩვენი ფაკულტეტის ყველა სტუდენტს მინდა მივულოცო სასწავლო წლის დაწყება და ვუსურვო წარმატებები!

პირველკურსელებს ვხვდებით განახლებული საბაკალავრო პროგრამებით

ინტერვიუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელთან დარეჯან თვალთვაძესთან

შურთხია ბეროშვილი

— რა სიახლეებით ხვდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ახალ სასწავლო წელს?

— ტრადიციულად, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი თავის სტუდენტებს წელსაც სიახლეებით შეხვდება. პირველკურსელებს დავახვედრეთ განახლებული საბაკალავრო პროგრამები, რომელზე მუშაობაც საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა, ისინი დაიხვეწა იმ გამოცდილების გათვალისწინებით, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში დაგროვდა. ჩვენი ფაკულტეტი უკვე მზად არის პირველი მსმენელების მისაღებად.

წელს ფაკულტეტზე სულ 800 სტუდენტი ჩაირიცხა, აქედან 750 — ბაკალავრიატში, მათგან 20 უცხო ქვეყნის მოქალაქეა. 50 სტუდენტი კი უმაღლეს პროფესიულ პროგრამებზე: სახვითი ხელოვნებისა და დიზაინის სპეციალობებზე ისწავლის. აღსანიშნავია, რომ პროფესიულ პროგრამებზე შარშან პირველად გვქონდა მიღება კინო-ტელე ხელოვნებისა და სახვითი ხელოვნების მიმართულებაზე, წელს ამ პროგრამებს დეკორატიული დიზაინის სპეციალობა დაემატა.

გარდა ამისა, წელს პირველად გვაქვს ახალი პროგრამა ბაკალავრიატში: ეს არის სკანდინავიური ფილოლოგია, როგორც ახალი, დამოუკიდებელი ძირითადი პროგრამა და დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამა, რომელზეც შარშან პირველად გამოცხადდა მიღება. ვიმედოვნებთ, რომ წელს გაცილებით მეტი მსურველი გვეყოლება ამ სპეციალობაზე.

მაგისტრატურაშიც, ისევე, როგორც მთელი ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში, ჩვენთანაც სიახლეა: ერთიანი სამაგისტრო გამოცდების შედეგად სტუდენტები მივიღეთ სამაგისტრო პროგრამებზე. ამ მხრივ, საკმაოდ დიდი არჩევანია ყველა მიმართულებაზე. შერჩეული პროგრამები მეტ-ნაკლებად ითვალისწინებს არა მარტო ჩვენი კურსდამთავრებულების ინტერესებს. წარმოდგენილია ვიწრო დარგობრივი სპეციალობის სამაგისტრო, ინტერფაკულტატური და ინტერდისციპლინური პროგრამებიც — სულ 39 პროგრამა, რომელთაგან ბევრი საინტერესოა თავისი სიახლით. დიდ ინტერესს იწვევს განათლებისა და მეცნიერების პროგრამა, ტრადიციულად დაინტერესება დიდია ხელოვნების დარგის და ფილოლოგიურ მეცნიერებების პროგრამებზე. წელს მიღება გვაქვს სადოქტორო პროგრამებზეც,ასე რომ, ველით ახალ შევსებას ფაკულტეტის სამივე საფეხურზე.

რაც შეეხება სასწავლო პროცესის მართვას, ჩვენს ფაკულტეტზე, ისევე, როგორც საუნივერსიტეტო მასშტაბით, აქაც დაინერგა მთელი რიგი სიახლეები. ჩვენი ფაკულტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს სტუდენტთა სწავლების ხარისხის ამაღლებაზე, რაც, პირველ რიგში, გამოიხატება შუალედური შემოწმებით. გარდა ამისა, ფაკულტეტი მთელი წლის განმავლობაში გეგმავს ღონისძიებებს, რომელიც საინტერესო იქნება როგორც სტუდენტებისთვის, ასევე, ჩვენი პროფესურისთვის. სექტემბრის ბოლოს დასრულდება აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსი და ჩვენი ფაკულტეტი განახლებული ძალით და ენერგიით შეუდგება მუშაობას.

— რამდენად ხელმისაწვდომი იქნება სახელმძღვანელოები სტუდენტებისთვის?

— აღსანიშნავია, რომ წელს ზაფხულში გამოიცა რამდენიმე სახელმძღვანელო, მათგან განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო „ფილოსოფიის შესავალი“, რომელიც ერთი საფაკულტეტო დისციპლინაა და რომელსაც ჩვენი ფაკულტეტის ყველა სტუდენტი ისწავლის. ამ სახელმძღვანელოს თან ახლავს ქრესტომათიაც. იგი ჩვენი ფაკულტეტის პროფესორებმა შეადგინეს. სახელმძღვანელო შეიქმნა აკადემიურ წერაშიც. დაგეგმილია ორი საფაკულტეტო სახელმძღვანელოს: ენათმეცნიერების შესავლის და საქართველოს ისტორიის გამოცემა.

ჩვენი ფაკულტეტის ბიბლიოთეკა ამჟამად, დროებით, მერვე კორპუსში ფუნქციონირებს. რასაკვირველია, სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს უნივერსიტეტის დიდი ბიბლიოთეკითაც. ახალი ბიბლიოთეკა კი მას შემდეგ გვექნება, როდესაც პირველი კორპუსის რემონტი დასრულდება. ეს იქნება ბიბლიოთეკა თანამედროვე, მდიდარი წიგნადი ფონდით. წიგნების უმეტეს ნაწილს უნივერსიტეტი მეცენატების საშუალებით შეიძენს. მეხუთე კორპუსში სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ ენების შესასწავლად გაიხსნება სამი კომპიუტერული კლასი, სადაც სწავლება თანამედროვე აუდიო ვიზუალური მეთოდით განხორციელდება.

აღსანიშნავია, რომ პირველურსელებისთვის წელსაც სპეციალურად მომზადდა „გზამკვლევი“, რომელშიც გაცემულია პასუხები ხშირად დასმულ შეკითხვებზე. მასში დაწვრილებით არის ახსნილი, თუ როგორ უნდა გაიარონ სტუდენტებმა ადმინისტრაციული თუ აკადემიური რეგისტრაცია, მათთვის ასევე მუშაობს ტუტორიუმი, სადაც ჩვენი აკადემიური პერსონალი მათ საგნებისა და ლექტორების შერჩევაში დაეხმარება.

ვინც ჩვენი ფაკულტეტი აირჩია, მან სწორი არჩევანი გააკეთა

ინტერვიუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელთან ნოდარ ბელქანიასთან

შურთხია ბეროშვილი

— რა სიახლეებით ხვდება თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ახალ სასწავლო წელს?

— თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო წლების განმავლობაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მრავალი სიახლე დაინერგა, მათ შორის, ჩვენს ფაკულტეტზეც. მიმაჩნია, რომ ვინც ჩვენი ფაკულტეტი აირჩია, მან სწორი არჩევანი გააკეთა. აქ სტუდენტებს შეუძლიათ სხვადასხვა საინტერესო საგანი შეისწავლონ, რაშიც მაღალი დონის პროფესორ-მასწავლებლები დაეხმარებიან.

ჩვენი ფაკულტეტის თითოეული პროფესორი საკმაოდ ნაყოფიერად და ინტენსიურად მუშაობს, რათა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სხვადასხვა მიმართულების პროგრამები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, მაქსიმალურად დაიხვეწოს. მნიშვნელოვანი შედეგები გვაქვს საბაკალავრო პროგრამების კუთხით, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ საბოლოოდ მიღწეულია იდეალური მდგომარეობა. მუშაობას ამ მიმართულებით კვლავაც გავაგრძელებთ, რაშიც უცხოელი სპეციალისტებიც დაგვეხმარებიან. გასულ წელს ფაკულტეტს შეემატა ახალი, მეშვიდე მიმართულება — სოციალური მუშაობა.

ცხრილების შედგენისას ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ ლექციების ე.წ. დამთხვევები, რათა სტუდენტებმა მაქსიმალურად შეძლონ მათთვის სასურველ ლექციებზე დასწრება. მოგეხსენებათ, სავალდებულო საგნების გარდა არის არჩევითი საგნები და, სწორედ, აქ შეიძლება ორ სასურველ საგანში ლექციები ერთდროულად მიმდინარეობდეს. არჩევით საგნებში დამთხვევების მთლიანად თავიდან აცილება შეუძლებელია, მაგრამ ვცდილობთ მათ მინიმუმამდე დაყვანას.

ვინაიდან მყარი ჯგუფები არ არსებობს, სტუდენტები უკმაყოფილებას გამოხატავენ, რომ მუდმივი მეგობრები არ ჰყავთ, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ისინი ახალ სიტუაციაში გაცილებით მობილურები და მიზანდასახულები ხდებიან.

— რომელ მიმართულებაზე განაახლეთ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები?

— ჩვენი ფაკულტეტის სხვადასხვა მიმართულებაზე განახლდა პროგრამები, დაინერგა ახალი კურსებიც (განსაკუთრებით ჟურნალისტიკის მიმართულებაზე), რაც შეეხება მაგისტრატურის პროგრამებს, ისინი ყველა მიმართულებამ წარადგინა. ამ ეტაპზე ძნელია პროგნოზირება იმისა, თუ რამდენი პროგრამა შეივსება და ამუშავდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ თითოეულ მიმართულებაზე სწავლა საინტერესო და ნაყოფიერი იქნება. წელს პირველად იხსნება საერთაშორისო ინტერდისციპლინარული პროგრამა „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“, რომელმაც სტუდენტთა დიდი დაინტერესება გამოიწვია, რადგან ეს პროგრამა კურსდამთავრებულებს თეორიული ცოდნის გარდა, პრაქტიკული მუშაობისთვის საჭირო გამოცდილებას მისცემს. აქ ლექციებს ჩვენს პროფესორებთან ერთად პრაქტიკული გამოცდილების მქონე ავსტრიელი, გერმანელი და შვეიცარიელი სპეციალისტები წაიკითხავენ. მაგისტრატურა არ უნდა იყოს ბაკალავრიატის დუბლირება. რასაკვირველია, შეიძლება მაგისტრატურაშიც გაგრძელდეს ბაკალავრიატში უკვე გავლილი საგნის სწავლება, მაგრამ ის გაღრმავებული და პრაქტიკაზე ორიენტირებული უნდა იყოს. სასურველია, რომ ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტი დაინტერესდეს საზოგადოებრივი ცხოვრებით და აქტიურად ჩაერთოს მასში. პოლიტიკური მეცნიერებები, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ჟურნალისტიკა ადამიანებთან სიახლოვეს და მათთან უშუალო კავშირს გულისხმობს. ჩვენი მიზანია, სტუდენტი აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბდეს.

— გაქვთ თუ არა სახელმძღვანელოების დეფიციტი?

— როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენს ფაკულტეტზე საკმაოდ დაიხვეწა საბაკალავრო პროგრამები, თუმცა სახელმძღვანელოები კვლავ „აქილევსის ქუსლად“ რჩება. ზოგიერთ მიმართულებაზე უკვე დაიწერა სახელმძღვანელო, ნაწილი მომზადების პროცესშია, მაგრამ მეტია საჭირო. რასაკვირველია, ბაკალავრიატის სტუდენტს სრული უფლება აქვს — სახელმძღვანელო მშობლიურ ენაზე ჰქონდეს, ეს კი ყოველთვის ვერ ხერხდება და ხშირად მათ უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენება უწევთ. ამ ეტაპზე ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს, რომ ქართულ ენაზე გადაითარგმნოს და გამოიცეს საჭირო სახელმძღვანელოები. აღსანიშნავია, რომ ფონდი „ქართუ“ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებისთვის შეიძენს წიგნებს, მათ შორის, სახელმძღვანელოებს. ის, ასევე, თავისთავზე იღებს ყველა მიმართულებისთვის უცხოური სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე თარგმნის ხარჯებს. პირველ კორპუსში მიმდინარე რემონტის დასრულების შემდეგ ჩვენ გვექნება საკმაოდ

დიდი საერთო საფაკულტეტო ბიბლიოთეკა. ფაკულტეტზე გრძელდება წიგნების შეძენა, ბევრი წიგნი გამოვიწერეთ, ნაწილი უცხოურმა ფონდებმა გვაჩუქა, ნაწილის შეძენას კი ფაკულტეტის ბიუჯეტიდან ვგეგმავთ. სტუდენტებისთვის გაიხსნება ახალი კომპიუტერული ცენტრიც. ცენტრალური ადმინისტრაცია ახალი კომპიუტერების დამატებას გვპირდება.

ასე რომ, ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტებს ნამდვილად საინტერესო და საქმიანი გარემო ელოდებათ.

წელს ჩვენთან საკმაოდ მაღალი რეიტინგის მქონე სტუდენტები ჩაირიცხნენ

ინტერვიუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელთან რამაზ ბოჭორიშვილთან

ნატო ოგოლაძე

— რა სიახლეებს სთავაზობს ზუსტ და საბუნებისმეტველო მეცნიერებათა ფაკულტეტი პირველკურსელებს?

— წელს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტს რამდენიმე ახალი სასწავლო პროგრამა დაემატა. ამ დრომდე ჩვენთან მათემატიკის, კომპიუტერული მეცნიერებების, ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიის, გეოლოგიის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, გამოყენებითი ბიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიების, ელექტრონიკის საბაკალავრო პროგრამებზე სწავლა იყო შესაძლებელი. ახალი სასწავლო წლიდან კი სამი მიმართულება დაგვემატა — ეს არის ეკოლოგია, გამოყენებითი ბიოლოგია და ბიოტექნოლოგიები და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. გვაქვს, ასევე, ქართულ-ფრანგული პროგრამაც. გასულ წელს ამოქმედდა ელექტრონული ინჟინერიის, ელექტრონიკის მიმართულებები, რაც თავისთავად სიახლეა ფაკულტეტზე. ამ პროგრამით სწავლის ფარგლებში ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებს მიენიჭებათ ორმაგი ხარისხი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ვერსალ-სენ-კანტენის უნივერსიტეტის ხარისხი. ეს პროგრამა მხოლოდ კომპიუტერული მეცნიერებების ბაკალავრებს ეხებათ.

— როგორი აკადემიური რესურსია ფაკულტეტზე იმისთვის, რომ სტუდენტებმა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლება მიიღონ?

— ჩვენ საკმაოდ დიდი გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალი გვყავს. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები სისტემატურად მიემგზავრებიან უცხოურ უნივერსიტეტებში როგორც სამეცნიერო მუშაობისთვის, ასევე, ლექციების წასაკითხად. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც ხშირად ვმასპინძლობთ უცხოელ კოლეგებს და უცხოეთში მოღვაწე ქართველ მეცნიერებს.

სისტემატურად ჩამოდის ბატონი გია დვალიც და ლექციებს კითხულობს სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის. მოგეხსენებათ, იგი მსოფლიოში ერთ-ერთი წარმატებული მეცნიერი გახლავთ.

ფაკულტეტის აკადემიურ პოტენციალზე ისიც მიუთითებს, რომ გრანტების მოპოვების თვალსაზრისით ჩვენი ფაკულტეტი ერთ-ერთი ლიდერია. ხშირად ქვეყნდება სამეცნიერო პუბლიკაციები უცხოურ ჟურნალებში. გრანტებს ვიღებთ უცხოური ფონდებიდანაც. სასიამოვნოა, რომ ამ საგრანტო პროექტებში აქტიურად არიან ჩართულნი ჩვენი ნიჭიერი სტუდენტები.

— რა პირობებს უქმნით სტუდენტებს პრაქტიკული სამუშაოებისთვის?

— პრაქტიკული სამუშაოებისთვის განკუთვნილი ლაბორატორიების მოწყობილობების განახლება არ ხდებოდა, ახლა ეს პროცესი დაძრულია. გასული წლის განმავლობაში მილიონ ორასი ათასი ლარი დაიხარჯა საჭირო აღჭურვილობების შესაძენად. არ გვქონდა კომპიუტერული კლასებიც და ეს პრობლემაც მოიხსნა. საკმაოდ შედეგიანად ვიყენებთ კომპიუტერულ რესურს-ცენტრებსაც. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ყველა პირობაა შექმნილი, რათა სასწავლო პროცესი საბაკალავრო დონეზე შეუფერხებლად წარვმართოთ.

ჩვენი ფაკულტეტი შვიდი ყოფილი ფაკულტეტისგან შედგება, ამიტომ ბიბლიოთეკის ნაწილი თსუ-ის მეორე კორპუსში, ნაწილი კი მაღლივში ე.წ. ბიოლოგების კორპუსშია განთავსებული. ორივე ბიბლიოთეკას ყოველ წელს ახალი წიგნებითა და სახელმძღვანელოებით ვამარაგებთ. დაწყებულია თარგმნის პროცესიც, რის შედეგადაც სწავლისთვის აუცილებელი უცხოური ლიტერატურა სტუდენტებისთვის გაცილებით მარტივად გასაგები გახდება. თარგმნის პროცესში ჩვენი აკადემიური პერსონალი საკმაოდ აქტიურად არის ჩართული.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ჩვენი საბაკალავრო პროგრამების დიდი ნაწილის მოდერნიზება სხვადასხვა პროექტების ფარგლებში უცხოური ექსპერტების დაფინანსებით ხორციელდებოდა. შედეგად სასწავლო პროცესში საკმაოდ დიდი ცვლილებები შევიდა, სისტემა გაუმჯობესდა, ამის შედეგია სილაბუსების დანერგვაც.

— რამდენი პირველკურსელი ჩაირიცხა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, გაიზარდა თუ არა მათი რიცხვი გასულ წლებთან შედარებით და რამდენმა სტუდენტებმა მიიღო სახელმწიფო დაფინანსება?

— გასულ წელთან შედარებით წელს ჩვენს ფაკულტეტზე გაცილებით მეტი სტუდენტი ჩაირიცხა. 2009 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად თსუ-ის ზუსტ დ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე 800 პირველკურსელი ისწავლის, რაც წინა წლებთან შედარებით ორჯერ მეტია. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ წელს ჩვენთან საკმაოდ მაღალი რეიტინგის მქონე სტუდენტები ჩაირიცხნენ – 8 სტუდენტი გვყავს 100%-იანი დაფინანსებით, 76-მა სტუდენტმა 70%-იანი გრანტი მიიღო, 233-მა კი 30 %-იანი.

მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელთან შედარებით წელს მეტი სტუდენტი მივიღეთ, უპირველეს პრობლემად მაინც ჩვენი ფაკულტეტის მიმართ აბიტურიენტების ნაკლები ინტერესი რჩება. თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი ძალისხმევას არ იშურებს ამ პრობლემის მოსაგვარებლად. ვცდილობთ, რომ კიდევ უფრო დავუახლოვდეთ საერთაშორისო სწავლების დონეს. უკვე ფუნქციონირებს პროგრამა „საბავშვო უნივერსიტეტი“, რომელიც სკოლის მოსწავლეებში ზუსტი მეცნიერებების პოპულარიზაციას ემსახურება. ფუნქციონირებს საზაფხულო სკოლებიც. ამ პროექტების ფარგლებში ჩვენ ვეხმარებით მოსწავლეებს სასკოლო პროგრამის დაძლევაში და დამატებითი ცოდნის შეძენაში. 2009 წლის საზაფხულო სკოლაში ჩართულები იყვნენ როგორც თბილისის, ასევე, რეგიონების საჯარო სკოლების მოსწავლეები. სპეციალურად მათთვის თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფუნქციონირებს ლაბორატორია, რომელიც პრაქტიკული სამუშაოებისთვის საჭირო ყველა ხელსაწყოთი არის აღჭურვილი.

— აძლევს თუ არა ფაკულტეტი სტუდენტებს იმის გარანტიას, რომ ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ დასაქმდებიან? გაქვთ თუ არა კონტაქტები პოტენციურ დამსაქმებლებთან?

— თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ძალიან ბევრი სტუდენტი აგრძელებს სწავლას საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში. გასულ წელს ჩვენი ბაკალავარიატის კურსდამთავრებული ჩაირიცხა გერმანიის ერთ-ერთი პრესტიჟული უნივერსიტეტის დოქტორანტურაში, ანუ მან მობილობის ფარგლებში მოახერხა, რომ უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში გაეგრძელებინა სწავლა. ჩვენი სტუდენტი რატი გელაშვილი გადავიდა მსოფლიოში აღიარებულ, ერთ-ერთ ცნობილ სასწავლებელში — ციურიხის უნივერსიტეტში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენთან კარგი სტუდენტები მოდიან, იღებენ კონკურსებში მონაწილეობას და შედეგად მსოფლიოს პირველ ათეულშიც შედიან. სამწუხაროდ, ზოგიერთი ჩვენი კურსდამთავრებული ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ სპეციალობას იცვლის და სწავლას სხვა დარგის მიმართულებით აგრძელებს, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ აქ შეძენილი უნარ-ჩვევებით საკმაოდ დიდ წარმატებას აღწევს.

დასაქმების მხრივ სიტუაცია საკმაოდ არატრივიალურია. ჩვენ დასაქმებისთვის გამოკვეთილი ბაზარი არ გვაქვს, რაც ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზით არის გამოწვეული, თუმცა ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე და აქ შეძენილი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით ჩვენს კურსდამთავრებულებს დასაქმება მაინც არ უჭირთ. აღსანიშნავია, რომ, ზოგადად, ქვეყანაში არსებული კრიზისის გამო ჩვენს კურსდამთავრებულებს, ძირითადად, შეცვლილი სპეციალობით უწევთ დასაქმება.

ჩვენმა ყველა კლინიკურმა დეპარტამენტმა წარმოადგინა სარეზიდენტო პროგრამები

ინტერვიუ მედიცინის მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელთან ალექსანდრე ცისკარიძესთან

ნატო ოგოლაძე

— რა სიახლეებით ხვდება მედიცინის ფაკულტეტი ახალ სასწავლო წელს?

— ჩვენ ყოველ ახალ სასწავლო წელს გარკვეული სიახლეებით ვხვდებით. წელს თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტზე ახალი მოდიფიცირებული პროგრამა იწყება, რომელიც სასწავლო პროგრამის ბაზისურ პრეკლინიკურ ნაწილს მოიცავს. ჩვენ პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად (მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი და ლუნდის უნივერსიტეტი) ვცდილობთ სასწავლო პროცესის სრულყოფას. შესაბამისად ერთობლივად ვმუშაობთ პროგრამების გაუმჯობესებისთვის. წელს თსუ-ში ექსკლუზიური პროგრამის განხორციელება დაიწყება. ეს არის ე.წ. სისტემაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამა ანუ პირველკურსელი საბაზისო საგნების სწავლასთან ერთად იწყებს კლინიკასთან ინტეგრირებას, რაც, ვფიქრობ, სტუდენტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მინდა გითხრათ, რომ ჩვენი სტუდენტები პირველი კურსიდანვე ცდილობენ კლინიკასთან დაახლოებას და ახალი პროგრამაც სწორედ ამის საშუალებას იძლევა.

გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია პოსტდიპლომური სწავლების, სამაგისტრო, სადოქტორო, ასევე, სარეზიდენტო პროგრამების ინტენსიფიკაცია. წელს პირველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოვა როგორც სარეზიდენტო პროგრამების კოორდინატორი და წარმომდგენი. ჩვენმა ყველა კლინიკურმა დეპარტამენტმა წარმოადგინა სარეზიდენტო პროგრამები. ვფიქრობ, ეს კარგი სიახლე იქნება უნივერსიტეტისთვის. სარეზიდენტო სწავლების დაწყების შემდეგ ველოდებით სტუდენტთა რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდას რეზიდენტების გათვალისწინებით.

— რომელ უნივერსიტეტებთან ახორციელებს თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტი სტუდენტთა გაცვლით პროგრამებს?

— სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები ევროპის მასშტაბით წამყვან უნივერსიტეტებთან და ჰოსპიტლებთან ხორციელდება. საზღვარგარეთ მაღალკურსელთა გაგზავნა წელსაც იგეგმება. სტუდენტები მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის რამდენიმე კლინიკასა და მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტში გაემგზავრებიან. გარდა ამისა, ახალგაზრდები ქალაქ ხემნიცის კლინიკაშიც გაივლიან პრაქტიკებს.

— თსუ-ის მედიცინის კურსდამთავრებულებს რას სთავაზობს თბილისის უნივერსიტეტი დასაქმების თვალსაზრისით?

— ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ზოგადად მედიცინის სწავლების სპეციფიკა. პრედიპლომური განათლების დასრულების ეტაპზე კუსრდამთავრებული არსებული კანონმდებლობით არ არის კვალიფიცირებული იმდენად, რომ დამოუკიდებლად შეძლოს საექიმო მოღვაწეობა. მან უნდა გაიაროს განათლების მომდევნო ეტაპი. სწორედ ეს არის პროფესიული დახელოვნება და რეზიდენტურა, რომლის ამოქმედებას ჩვენ წლევანდელი სასწავლო წლიდან ვგეგმავთ. რეზიდენტურის დამთავრების შემდეგ კი კურსდამთავრებული ექიმ-სპეციალისტის დიპლომს მიიღებს და უკვე შეეძლება შესაბამისი სპეციალობით სამედიცინო დაწესებულებებში მუშაობა.

— რომელ კლინიკებში გადიან მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები პრაქტიკულ მეცადინეობებს?

— ეს არის ქალაქის მასშტაბით წამყვანი კლინიკები: ღუდუშაურის ეროვნული სამედიცინო ცენტრი, კლინიკური მედიცინის ინსტიტუტი, რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა, უროლოგიის ინსტიტუტი, ნევროლოგიის ინსტიტუტი, წმინდა მიხეილის საავადმყოფო და ჟორდანიას სახელობის კლინიკა.

— რამდენი პირველკურსელი მიიღო წელს თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტმა და თუ გაიზარდა მათი რიცხვი წინა სასწავლო წელთან შედარებით?

— ეს საკითხი შეიძლება პრობლემადაც ჩაითვალოს, რადგან წელს გაცილებით ნაკლები სტუდენტი მივიღეთ, ვიდრე შარშან. სამედიცინო განათლების მიმართ ზოგადად შემცირდა ინტერესი. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ისიც არის, რომ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტს დიდი ხანი უწევს სწავლა, მაშინ, როდესაც სხვა სპეციალობებში განათლების მიღების პერიოდი 4-5 წელს გრძელდება და შემდეგ უკვე შეუძლიათ საკუთარი პროფესიით მუშაობა, მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტმა კი დამატებით კიდევ რამდენიმე წელი უნდა ისწავლოს. ეს არ არის პრობლემა, რომელიც მხოლოდ უნივერსიტეტის შიგნით უნდა გადაწყდეს. იგი ზოგადად სახელმწიფოს ზრუნვის ობიექტი უნდა გახდეს. ვფიქრობ, ამ სამუშაოების განხორციელების შემდეგ პრობლემა დარეგულირდება.

— რას უსურვებთ მედიცინის ფაკულტეტის პირველკურსელებს?

— პირველ რიგში ვურჩევდი, რომ იყვნენ მომთმენები. მედიცინის სასწავლო პროგრამა ყველაზე ხანგრძლივია თავისი ქრონოლოგიით, პრედიპლომური სწავლება გულისხმობს 6 წელიწადს, ხოლო სარეზიდენტო სწავლება პროფილის მიხედვით სამიდან ხუთ წლამდე გრძელდება. ასევე, ვუსურვებ ძალიან დიდ მოტივაციას, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია მედიცინის საფუძვლების კარგად შესწავლა და მისი პროფესიონალად ჩამოყალიბება.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი სტუდენტებს განახლებულ პროგრამებს სთავაზობს

ინტერვიუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელთან ელენე ხარაბაძესთან

თამარ მარუაშვილი

— ***რამდენი პირველკურსელი მიიღო წელს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა?***

— წელს ეროვნული გამოცდებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პირველ კურსზე 885 სტუდენტი ჩაირიცხა. დამატებით ამავე კურსზე, შემოდგომის სემესტრში, გადმოყვანა-აღდგენის წესით 30 სტუდენტია ჩარიცხული. მობილობის წესით გადმოსულია 43 სტუდენტი.

885 სტუდენტიდან 100%-იანი გრანტი 308 სტუდენტს აქვს, 70%-იანი 352 სტუდენტს, 50%-იანი 201 სტუდენტს, 30%-იანი 24 სტუდენტს, მხოლოდ 4 სტუდენტია ჩარიცხული გრანტის გარეშე. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანია მათემატიკის ცოდნა. მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ფაკულტეტზე ჩარიცხულთა უმეტესობას მათემატიკაში მაღალი ქულები აქვთ მიღებული. ეს ნიშნავს, რომ აბიტურიენტებმა, რომლებმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება აირჩიეს, მომზადების მაღალი დონე გამოავლინეს.

— ***რა ღონისძიებები გატარდა ფაკულტეტზე საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების გადახალისების თვალსაზრისით, ან რა ახალ სასწავლო პროგრამებს სთავაზობთ სტუდენტებს?***

— ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი პირველკურსელებს, ასევე, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს სთავაზობს განახლებულ პროგრამებს. ფაკულტეტის კონსულტანტის, გერმანელი პროფესორის იოხენ ციმერმანის დახმარებით შემუშავდა თვისობრივად ახალი საბაკალავრო პროგრამები ორი მიმართულებით: „ეკონომიკა“ და „ბიზნესის ადმინისტრირება“. თითოეულ მიმართულებაში გათვალისწინებულია მოდულები. 2008-2012 სასწავლო წლების გეგმების შესაბამისად, ეკონომიკის მიმართულებით სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ მოდულები: ეკონომიკური თეორია, მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, ეკონომიკური პოლიტიკა, შრომის ეკონომიკა, ეკონომეტრიკა და მათემათიკური ეკონომიკა, ეკონომიკური სტატისტიკა. ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით შესარჩევი მოდულებია: ბიზნესის ორგანიზაცია, მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები და საბანკო საქმე, ბუღალტრული აღრიცხვა, ტურიზმი, ინფორმაციული მენეჯმენტი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ როგორც სპეციალობის, ასევე, მოდულების გეგმები შეესაბამება თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებს და აკმაყოფილებს საერთაშორისო მოთხოვნებს.

ისევე როგორც ბაკალავრიატში, მაგისტრატურაშიც საერთაშორისო სტანდარტების დონეზეა მომზადებული სამაგისტრო პროგრამები: „ეკონომიკა“ და „ბიზნესის ადმინისტრირება“. ეკონომიკის მიმართულებით მაგისტრანტებს ვთავაზობთ 4 მოდულს (ეკონომიკური პოლიტიკა და დიპლომატია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, მაკროეკონომიკა, ეკონომეტრიკა და სტატისტიკა), ხოლო ბიზნესის მიმართულებით 7 მოდულს (ფინანსები და საბანკო საქმე, მენეჯმენტი, საერთაშორისო ბიზნესი, აღრიცხვა-აუდიტი, მარკეტინგი, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი, საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი).

ფაკულტეტზე ეკონომიკის მიმართულებით დოქტორანტებისთვის გათვალისწინებულია სამი სადოქტორო პროგრამა: ეკონომიკა, საერთაშორისო ეკონომიკა და ბიზნესის ადმინისტრირება. ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით შეთავაზებულია 7 კონცენტრაცია. ფაკულტეტის ადმინისტრაცია სტუდენტებს კონკრეტული საგნების მიხედვით შეფასების ისეთ სისტემას სთავაზობს, რომელიც სტუდენტის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას, სწავლების პროცესში აქტიურად ჩამბას, შედეგებზე ორიენტირებას მოითხოვს.

სასწავლო წლის მანძილზე ეკონომიკური პროფილის სახელმწიფო ორგანიზაციები, კერძო სტრუქტურები ფაკულტეტთან თანამშრომლობით ახორციელებენ ერთობლივ პროექტებსა და პროგრამებს, რომელიც

ითვალისწინებს მაღალრეიტინგული სტუდენტების სტაჟირებასა და დასაქმებას. პროექტებსა და პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობა კი მოითხოვს სწავლაზე ორიენტაციას უახლესი ინფორმაციების მუდმივად ძიებას, მიღებული ცოდნის გამოვლენას და ამ ცოდნის პრაქტიკულად რეალიზაციას.

რეფორმას ფაკულტეტზე საფუძვლიანად და გამჭვირვალედ ვატარებთ

ინტერვიუ ბრემენის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანთან, თსუ-ის რექტორის მრჩეველთან იოჰენ ციმერმანთან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროსათვის პროფესიონალი კადრების მომზადების თვალსაზრისით საქართველოში ლიდერის პოზიცია უკავია. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, სწავლების ახალი ფორმების დანერგვა, სტუდენტების პიროვნული უნარ-ჩვევებისა და პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა.

საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო რეფორმამ სასწავლო პროცესის მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი მოდერნიზაცია მოახდინა. რეფორმის კონცეფციის თანმიმდევრული განხორციელება ათ წელიწადზე მეტია დაიწყო და დღესაც გრძელდება. ნაყოფიერი მუშაობის შედეგად განისაზღვრა ორეტაპიანი სწავლების სტრუქტურა და შინაარსი, გადახალისდა და განვითარდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

უმაღლესი განათლების სფეროში რეორგანიზაციის განხორციელება ქვეყნებს შორის კულტურული და სამეცნიერო კონტაქტების არსებითი გაფართოების საფუძველია. თსუ-ის საქმიანობისთვის პრიორიტეტულია მჭიდრო კონტაქტები მსოფლიოში აღიარებულ უნივერსიტეტებთან, მათი გამოცდილებისა და მაღალი კომპეტენციის გაზიარება და ქართული განათლების სისტემასთან დაახლოება.

სწორედ ამ მისიით აგრძელებს მუშაობას ბრემენის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, თსუ-ის რექტორის მრჩეველი **იოჰენ ციმერმანი**, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ფაკულტეტის სასწავლო გეგმებისა და პროგრამების მოდერნიზაციის ეფექტურად განხორციელების საქმეში. ბ-ნ ციმერმანს ვთხოვეთ ესაუბრა იმ ნაბიჯებზე, რომლებიც მისი აქტიური მონაწილეობით გადაიდგა.

თამარ მარუაშვილი

— როგორც თქვენთვის ცნობილია, ბოლო ორი წლის მანძილზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კათედრის ხელმძღვანელებთან ერთად ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების კუთხით. ეს მუშაობა უდავოდ შედეგიანი გამოდგა, რაზეც თუნდაც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ წელს აბიტურიენტების

ხარისხობრივად საუკეთესო ნაწილმა აირჩია ჩვენი ფაკულტეტი. 887 სტუდენტიდან მხოლოდ 4 სტუდენტს არ აქვს სახელმწიფო გრანტი, რაც საუკეთესო მაჩვენებელია ფაკულტეტისთვის. როგორც იცით, სექტემბრის ბოლომდე ფაკულტეტზე ჩატარდება პროფესორების შერჩევითი კონკურსი, რის შედეგადაც სასწავლო პროცესის ხარისხის კიდევ უფრო ამაღლებას უნდა ველოდოთ. ამ შემთხვევაში შემდეგი პრინციპით ვხელმძღვანელობთ: კონკურსის შემდეგ ფაკულტეტზე იქნება არა 150, არამედ 100 პროფესორი.

— ***რატომ იყო აუცილებელი პროფესურის რაოდენობრივი შეზღუდვა?***

— კონკურსი არ არის რევოლუციური ნაბიჯი, ეს არის ლოგიკური გაგრძელება იმ რეფორმებისა, რომლებიც ორი წელია მიმდინარეობს. შემდეგი ეტაპი ლოგიკურად გულისხმობს აკადემიური პერსონალის ხარისხის ამაღლებას.

ბუნებრივია, ჩვენ დიდი სიამოვნებით გავაგრძელებთ მუშაობას იმ პროფესორებთან, ვინც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ფაკულტეტის რეფორმაში და ხელს უწყობდა სასწავლო და სამეცნიერო პროცესის ამაღლებას.

— ***თქვენ ორი წელია თვალყურს ადევნებთ ქართველი პროფესორების მოღვაწეობას ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე. როგორ ფიქრობთ, რამდენად შეესაბამება მათი კომპეტენციის დონე ევროპულ სტანდარტებს?***

— ამ შეკითხვაზე რამდენიმე კომპონენტისაგან შემდგარი პასუხი უნდა გაიცეს... პირველ რიგში, საქართველოს გეოგრაფიული თავისებურებანი უნდა გავითვალისწინოთ. საქართველო პატარა ქვეყანაა, მისი მოსახლეობის რაოდენობა მცირეა, ამიტომ ბუნებრივად გამორიცხულია უმაღლესი კატეგორიის პროფესურის რიცხვი ძალიან დიდი იყოს... ყოველივე ამის ფონზე, ვფიქრობ, რესპუბლიკის მასშტაბით ეკონომიკის მიმართულების პროფესორების საერთო რიცხვი დაახლოებით 1000-ია და ეს ხალხი გაბნეულია სხვადასხვა უნივერსიტეტსა თუ სასწავლებელში. თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზანია პროფესორების ამ საერთო რიცხვიდან 100 საუკეთესო მოიზიდოს. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე ჩვენ საკმაოდ მომგებიან პოზიციაში ვიმყოფებით, რადგან საუკეთესო პროფესორების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე მოღვაწეობს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე და დიდი ენთუზიაზმით იღებს მონაწილეობას ფაკულტეტის განვითარებაში. მაგალითად, თუ თსუ-ის პროფესორთა მომზადების დონეს კავკასიის ბიზნეს-სკოლის ან „იესემ“-ის უნივერსიტეტის პროფესორთა კომპეტენციას შევადარებთ, პასუხი იქნება ცალსახა: მეცნიერული მუშაობის თვალსაზრისით, თსუ-ში გაცილებით მაღალი დონეა. თუმცა ამ უნივერსიტეტებისგან განსხვავებით, ჩვენთან მოღვაწეობენ ასევე დაბალი კომპეტენციის პროფესორებიც.

— ***შეუძლია თუ არა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროფესიული განათლება მისცეს ახალ თაობებს?***

— პასუხი აქაც ცალსახაა: თსუ-ს გააჩნია ის ინტელექტუალური პოტენციალი, რომელიც მოწადინებულ სტუდენტებს მისცემს იმ ცოდნას, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში იქნება ღირებული.

— ***ბოლო ორი წლის მანძილზე ფაკულტეტის მიერ გატარებული რეფორმის ყველაზე მნიშვნელოვან ნაბიჯებზე რას გვეტყოდით?***

— პირველ რიგში, წარჩინებული სტუდენტების საერთო ნაკადიდან შეირჩა ე.წ. „ელიტ ჯგუფი“, რომელიც არის ხარისხობრივი ნიშნული, თუ საით მივდივართ და რაზე უნდა მოხდეს სხვა ნაწილების სწორებაც.

მეორე ნაბიჯია სტანდარტიზაცია. ყველა სტუდენტი ერთნაირ პირობებშია ჩაყენებული, როგორც სასწავლო პროგრამების, ისე გამოცდების ჩაბარების კუთხით და ეს ყველაფერი გამჭვირვალეა. სტანდარტიზაციის შედეგების მიხედვით ნათელი გახდა, რომ ფაკულტეტზე სწავლა არ არის ადვილი, პირიქით, რთულია. ამიტომ სტუდენტების გარკვეული ნაწილი, რომლებმაც სასწავლო პროგრამა ვერ დაძლიეს, გარეთ დარჩნენ.

შედეგად ასევე მივიღეთ ის, რომ სტუდენტმა უფრო დიდი მონდომებით დაიწყო საკუთარ თავზე მუშაობა, ეს კი ნამდვილად მნიშვნელოვანია. შეიძლება მსოფლიოში საუკეთესო სპეციალისტები მოიწვიო, მაგრამ თუ პროფესორების მხრიდან მოთხოვნა და „ზეწოლა“ არ იქნება, სტუდენტთა მხრიდან კი დისციპლინა და მონდომება, შედეგების მიღწევა შეუძლებელია. სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებში შეიქმნა ისეთი განწყობა, რომ მხოლოდ ერთობლივი მუშაობით არის შესაძლებელი სწავლების ხარისხისა და დონის ამაღლება.

როგორ შეიძლება ამ შედეგის გაზომვა? აბიტურიენტების წლევანდელი ნაკადი ხარისხის თვალსაზრისით უპრეცედენტოა, რაც ამ შედეგების პირდაპირი აღიარებაა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა და საზოგადოებაში ინფორმაცია სწრაფად ვრცელდება, რაც მოხდა ჩვენს ფაკულტეტზე განხორციელებული ძვრების შემთხვევაში. საზოგადოებამ გაიგო, რომ ფაკულტეტზე სწავლა არ არის ადვილი და რომ ჩვენთან გატარებული 4 წელი ნამდვილად არ არის გაფლანგული დრო.

— ***ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულნი რამდენად შეძლებენ შრომის თავისუფალ ბაზარზე ღირსეული ადგილის დაკავებას?***

— რა თქმა უნდა, შეძლებენ! თვითონ სწავლების ხარისხის ამაღლება ეფუძნება ორ მთავარ კომპონენტს: ერთი მხრივ, ეს არის პროგრესული ქართველი პროფესურა, მეორე მხრივ კი ის სასწავლო პროგრამები და მასალები, რაც უნისონშია ევროპულ და ამერიკულ განათლების დონესთან. საუნივერსიტეტო რეფორმების შედეგად მოხდა სასწავლო პროცესის მოდერნიზაცია მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად, არსებული ინტელექტუალური პოტენციალი გაიზარდა და განვითარდა.

მე-7 გვერდზე

რეფორმას ფაკულტეტზე საფუძვლიანად და გამჭვირვალედ ვატარებთ

ინტერვიუ ბრემენის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანთან, თსუ-ის რექტორის მრჩეველთან იოჰენ ციმერმანთან

მე-6 გვერდიდან

ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ თსუ-ში სწავლების ხარისხი ნამდვილად უთანაბრდება საერთაშორისო სტანდარტებს. ამ თვალსაზრისით, ფაკულტეტზე ვარჩევთ სტუდენტების საუკეთესო ნაწილს და ვაგზავნით ევროპულ უნივერსიტეტებში სწავლის გასაგრძელებლად. ჩვენთვის ძალიან საინტერესოა, როგორ შეძლებენ ისინი ევროპული სასწავლო პროგრამების დაძლევას. პირველი სიგნალები ამ კუთხით უკვე არსებობს. ქართველმა სტუდენტებმა შესანიშნავად დაძლიეს ევროპული სასწავლო პროგრამები. ამ სტუდენტების სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, საზოგადოება ინფორმირებული გახდება, რომ ქართული განათლება არაფრით არ ჩამოუვარდება ევროპულს და ამ ფაქტით კიდევ ერთხელ დადასტურდება საუნივერსიტეტო განათლების რეფორმის სასიკეთო შედეგები.

— ისევ პროფესორთა შესარჩევ კონკურსს დავუბრუნდეთ...

— კონკურსის მიზანია ვიპოვოთ ისეთი ბალანსი, რომელიც, საერთო ჯამში, იმ ინსტიტუციონალურ, ფუნდამენტურ ცოდნას, რაც უნივერსიტეტში უკვე არსებობს, განავითარებს და, მეორე მხრივ, თსუ-ში ახალ, მეცნიერულ, თანამედროვე ინიციატივებს შემოიტანს.

საკონკურსო კომისიის მთავარ ამოცანას ისეთი პროფესორების შერჩევა წარმოადგენს, რომლებსაც განვითარების მნიშვნელობა და აუცილებლობა კარგად ესმით. რა თქმა უნდა, ფაკულტეტი პროფესურის ამ ნაწილის შენარჩუნებას შეეცდება. ამავდროულად, უნდა მოვიძიოთ იმ პროფესორების ნაწილიც, ვინც აღიარებულ უცხოურ უნივერსიტეტებში მოღვაწეობდა, რადგან სტუდენტისთვის მნიშვნელოვანია მათი გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება. ასევე მნიშვნელოვანია, ახალი თაობები გაეცნონ, თუ როგორია დასავლური თანამედროვე მეცნიერება, მისი პრინციპები, მეთოდოლოგია.

— როგორ ფიქრობთ, საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო რეფორმის შედეგად თსუ ხომ არ დაკარგავს ეროვნული განათლების ტრადიციებსა და ღირებულებებს?

— პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ თსუ-ის მთავარი იდეა — იყოს პირველი, წამყვანი უნივერსიტეტი, რომელიც ქართულ საზოგადოებას ყველაზე მაღალი ხარისხის განათლებას შესთავაზებს. სწორედ ეს არის ფაკულტეტის რეფორმის მთავარი მიზანი, რომელიც ნაციონალური მნიშვნელობისა და ნაციონალური ინტერესების მატარებელია. პროფესორების შესარჩევი კონკურსით ჩვენ ავარჩევთ ისეთ მეცნიერებს, რომელთა სამეცნიერო კვლევები სწორედ ქართული ეკონომიკის განვითარებას ემსახურება.

— როგორც ექსპერტი, როგორ ფიქრობთ, რა პერსპექტივა აქვს საქართველოს ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით?

— ამ შეკითხვას ისევ განათლების სისტემასთან დავაკავშირებ. ქვეყანას, რომელსაც აქვს მწირი ბუნებრივი რესურსები, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია მიაღწიოს ეკონომიკურ პროგრესს, თუ მას მაღალი ხარისხის ადამიანური და ინტელექტუალური რესურსი ეყოლება. თსუ-ს ღირსეული როლი უკავია ქვეყნის ინტელექტუალური განვითარებისა და ქართველი ერის მსოფლიო ცივილიზაციასთან დაახლოების გზაზე. თუ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი განვითარდება, მაშინ, ჩემი აზრით, საქართველოს ეკონომიკის აღმავლობის მიმართულებით გადადგმული იქნება უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი.

— რა სიახლეებით ხვდებით ახალ სასწავლო წელს?

— მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, განვითარდეს და გაუმჯობესდეს ის, რაც დღეს გვაქვს ფუნდამენტის სახით. რეფორმაც სწორედ ამას ემსახურება. საზოგადოებას უნდა დავუმტკიცოთ, რომ რეფორმას საფუძვლიანად და გამჭვირვალედ ვატარებთ.

ის სასწავლო ფუნდამენტი, რომელიც დღეს არსებობს, იმის გარანტიას იძლევა, რომ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებული მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის ეკონომიკური კლიმატის გაჯანსაღებაში. ფაკულტეტის ინტელექტუალური პოტენციალი პრიორიტეტული სამეცნიერო პრობლემატიკის დამუშავებასა და სამეცნიერო კვლევების აქტივიზაციაზეა კონცენტრირებული. შეიქმნება ე.წ. სასწავლო ცენტრი, სადაც სტუდენტებს შეეძლებათ სრულყოფილი ინფორმაცია მოიპოვონ სწავლების მთლიან პროცესზე.

გააქტიურდება მუშაობა საერთაშორისო კონტაქტების მიმართულებითაც. საბაკალავრო პროგრამების პრაქტიკულმა რეალიზაციამ საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია და საერთაშორისო აკრედიტაციის მოთხოვნების დაკმაყოფილება უნდა უზრუნველყოს. იმუშავებს სპეციალური სამსახური, რომელიც სხვადასხვა პარტნიორ უნივერსიტეტთან სტუდენტურ გაცვლით პროგრამებს განახორციელებს, რადგან ინტერნაციონალიზაცია უნივერსიტეტის პრიორიტეტული ამოცანაა.

— სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას ფაკულტეტზე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და განვითარება განაპირობებს. რა მდგომარეობაა ამ მხრივ ფაკულტეტზე?

— ფაკულტეტის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტს ისეთი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა წარმოადგენს, რომელიც სტუდენტს აუცილებელ პირობას შეუქმნის ცოდნის დაუფლებისა და შემოქმედებითი განვითარებისთვის. ფაკულტეტზე მუშაობს კომპიუტერული რესურს-ცენტრი, რომელიც ემსახურება სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტებისთვის ფაკულტეტის ბიბლიოთეკას შეძენილი აქვს თანამედროვე უცხოური ლიტერატურა. იგი ჩართულია ელექტრონული ბიბლიოთეკების საერთაშორისო ქსელში და სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ სპეციალური ჟურნალებისა და თანამედროვე ლიტერატურული წყაროების გაცნობის.

ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ სტუდენტმა საკუთარ თავზე მუშაობა ისწავლოს, თვითონ მოიძიოს, დაამუშაოს, ანალიზი გაუკეთოს ამა თუ იმ საკითხს, ეს დამუშავებული მასალა შესაფასებლად პედაგოგს წარუდგინოს და მხოლოდ ლექციაზე ჩაწერილი მასალით არ დაკმაყოფილდეს.

— საქართველოში თქვენი მოღვაწეობის დროს რა მოსაზრება შეგექმნათ ქართველ სტუდენტებზე?

— ამ ფაკულტეტზე ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი სწავლობს. თვალშისაცემია მათი ნიჭიერება, ცოდნის დაუფლების წყურვილი, ინტერესი და გონიერება. რაც შეეხება დისციპლინას, ამ მხრივ, ევროპელ სტუდენტებთან შედარებით, ისინი ცოტა მოიკოჭლებენ, რაც, ალბათ, ქართული ხასიათის თავისებურებით შეიძლება აიხსნას.

— როგორ უყურებთ სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში?

— ეს რთული შეკითხვაა. სხვადასხვა დროს ამ კითხვაზე სხვადასხვა პასუხი შეიძლება გაცემულიყო. გერმანიაში, მაგალითად, ჩამოყალიბებულია ასეთი აზრი, რომ სტუდენტს სწავლასთან ერთად გარკვეული პოლიტიკური ინტერესები, შეხედულებები უნდა გააჩნდეს. ამერიკაში სტუდენტებს პოლიტიკა ნაკლებად აინტერესებთ, ისინი უფრო სოციალური პრობლემებით ინტერესდებიან. ეს ქვეყნის სპეციფიკის ნაწილია, თვითმყოფადია და, აქედან გამომდინარე, ისეთი უნდა მივიღოთ, როგორიც არის... მაგრამ არსებობს ერთი აქსიომა: როგორი აქტიურობითაც არ უნდა იყოს ჩართული სტუდენტი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ეს არანაირ გავლენას არ უნდა ახდენდეს უნივერსიტეტში მის საქმიანობაზე.

თსუ-ში საქართველოს ყველაზე წარმატებული და განათლებული ახალგაზრდობა მოვიდა

ინტერვიუ თსუ-ის სასწავლო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან რუსუდან ჩიქოვანთან

მიმდინარე სასწავლო წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 3987 პირველკურსელი მიიღო. პირველკურსელთა რეგისტრაციის ორგანიზება სასწავლო დეპარტამენტის ფუნქციაა და ცხადია, დიდი ძალისხმევაა საჭირო, რომ პირველკურსელმა დისკომფორტი არ იგრძნოს და მისთვის საინტერესო ყველა კითხვას ამომწურავი პასუხი გაეცეს.

მაია ტორაძე

— ქალბატონო რუსუდან, რა სიახლეებია ახალ სასწავლო წელს, რას სთავაზობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველკურსელებს?

— წელს ჩვენ პირველკურსელებს ახალი სერვისი – ელექტრონული ანკეტის შევსება შევთავაზეთ. სტუდენტი ამ პროცედურის გავლის შემდეგ მოდის უნივერსიტეტში არჩეულ ფაკულტეტზე და გადის როგორც ადმინისტრაციულ, ასევე, აკადემიურ რეგისტრაციას.

სიახლეა ისიც, რომ რეგისტრაციის გავლის დროს მას ვაძლევთ პირადი ელექტრონული ფოსტის მისამართს და პაროლს, რომ სწავლის პერიოდში პირდაპირი კავშირი ჰქონდეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა სიახლე პირდაპირი გზით მიეწოდოს.

გასულ წლებში უნივერსიტეტის სტუდენტს შეეძლო აერჩია ძირითადი (major) და დამატებითი სპეციალობა (minor), ასევე დაეგროვებინა თავისუფალი კრედიტები. 2009-2010 წლიდან სტუდენტს უკვე შესაძლებლობა აქვს უნივერსიტეტში დაეუფლოს ერთ ან ორ ძირითად სპეციალობას, ან ერთ ძირითად და ორ დამატებით სპეციალობას, ასევე თავისუფალ კრედიტებს. თუ მას ძირითადი სპეციალობის შეცვლა მოუნდება, შეუძლია შეცვალოს ეს სპეციალობა და პროგრამის ფარგლებში გავლილი საგნები არჩევით საგნებად ჩაეთვლება, თუმცა ამისთვის დამატებითი სემესტრის გავლა დასჭირდება. ანუ სტუდენტი აბსოლუტურად თავისუფალია არჩევანში და მას ამის საშუალებას საბაკალავრო სწავლების ფორმატი აძლევს.

— როგორც ვიცით, სტუდენტებს ამ სიახლეებში თქვენი დეპარტამენტის მიერ მომზადებული გზამკვლევიც გაუწევს დახმარებას...

— უნივერსიტეტი თითქმის ყოველ წელს სთავაზობდა აბიტურიენტებსა და სტუდენტებს გზამკვლევს იმისთვის, რომ გაუადვილდეთ სწავლის პროცესი და კონკრეტულად იცოდნენ, რა მოეთხოვებათ და რისი უფლებები აქვთ. წელსაც გაკეთდა ანალოგიური გზამკვლევი, სადაც მითითებულია ბაკალავრიატში სწავლის წესები, სწავლის ხანგრძლივობა, რეგისტრაციის გავლის და მისი გაუქმების, სასწავლო პროცესის მართვის სისტემით სარგებლობის, მობილობის, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისა და აღდგენის წესები. გზამკვლევი მათ აცნობს კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების ევროპულ სისტემას, საბაკალავრო პროგრამის ფორმატს, გამოცდების ჩაბარების წესს და ა.შ.

აქვე გაეცნობიან ისინი სიახლეებსაც. 2009-2010 სასწავლო წელს თსუ-ში ჩარიცხულ სტუდენტს ბაკალავრის ხარისხის მინიჭების წინაპირობად გარდა კურიკულუმით განსაზღვრული 240 კრედიტისა, მოეთხოვება უცხო ენაში სასერტიფიკატო გამოცდის წარმატებით ჩაბარება. კერძოდ, უცხოური ენის არანაკლებ 1 დონეზე ცოდნის დადასტურება და შესაბამისი სერტიფიკატის მოპოვება. გზამკვლევი უკვე დაბეჭდილია და მასზე ყველა სტუდენტს მიუწვდება ხელი.

— რა არჩევანი გააკეთა წელს ახალგაზრდობამ, რომელ ფაკულტეტზე იყო ყველაზე დიდი მოთხოვნილება?

— გამორჩევით ვერ მოგახსენებთ, რადგან წელს ბევრ უმაღლეს სასწავლებელს დარჩა ვაკანსიები, ჩვენთან კი ყველა საბაკალავრო პროგრამაზე ადგილები პირველადი ჩარიცხვის შედეგად შეივსო. ვაკანსიები მხოლოდ უმაღლეს პროფესიულ პროგრამებზე გვქონდა.

აქედან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ წელსაც, ისე როგორც გასულ წლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ყველაზე წარმატებული და განათლებული ახალგაზრდობა მოვიდა. ამის დასადასტურებლად რიცხვით მონაცემებს მოვიყვან: წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხული 3987 პირველკურსელიდან 100 პროცენტიანი დაფინანსება მიიღო 590-მა პირველკურსელმა, 70 პროცენტიანი – 745-მა, 50 პროცენტიანი – 844-მა, ხოლო 30 პროცენტიანი – 875-მა.

— სწავლების ევროპული სისტემა სრულიად სამართლიანად გულისხმობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას. როგორ ფიქრობთ, რამდენად აკმაყოფილებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ მოთხოვნას?

— უნივერსიტეტი სრულად აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას. პირველ რიგში ამას მოწმობს სტუდენტის ჩართულობა უნივერსიტეტის მართვაში. მათი არჩეული ნაწილი უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრია და იქ ახმოვანებს სტუდენტთა მოთხოვნებს, რასაც შემდეგ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ითვალისწინებს.

უნივერსიტეტს აქვს მდიდარი სასწავლო და სამეცნიერო ბიბლიოთეკები, თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი კვლევითი ლაბორატორიები, კომპიუტერული ბაზა, რესურს-ცენტრები, ყველანაირი მატერიალური რესურსი, რომ გარემო მართლაც სტუდენტზე და მისი სწავლისთვის აუცილებელ პირობებზე იყოს ორიენტირებული. ეს უნივერსიტეტს საკმაოდ კონკურენტუნარიანს ხდის. თუმცა ჩვენ ჯერ კიდევ რეფორმირების პროცესში ვართ და დღესაც მიმდინარეობს პროგრამების დახვეწა და იმ რესურსების შექმნა, რომლითაც ყველა მიმართულების სტუდენტი საბაზრო მოთხოვნების შესაბამის ცოდნას მიიღებს.

„კონკურენცია სტიმულს გვაძლევს“

ინტერვიუ თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილესთან გიორგი ღვედაშვილთან

თანამედროვე უნივერსიტეტი სწავლებაზე და კვლევაზე ორიენტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რადგან მხოლოდ კარგად აწყობილი საგანმანათლებლო სისტემა უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევებისთვის აუცილებელი ცოდნის გადაცემას, უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას და მეცნიერების განვითარების უწყვეტობას.

უნივერსიტეტის რეიტინგს, სწავლების მაღალ დონესთან ერთად, მნიშვნელოვნად განაპირობებს სამეცნიერო კვლევებისა და მოპოვებული სამეცნიერო გრანტების რაოდენობა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არსებობის მანძილზე მაღალი დონის სამეცნიერო კვლევებით არა მხოლოდ რეგიონში, არამედ მსოფლიოში იყო ცნობილი. ტრადიცია დღესაც გრძელდება და ამაში უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტს დიდი წვლილი მიუძღვის.

მაია ტორაძე

— ბატონო გიორგი, რა სიახლეებს უნდა ელოდოს მიმდინარე სასწავლო წელს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და მაგისტრანტები თქვენი დეპარტამენტისგან?

— პირველ რიგში, გაგრძელდება ის ტრადიციული საქმიანობა, რასაც ჩვენი დეპარტამენტი დაარსების დღიდან ეწეოდა. წელსაც აქტიურად მოვემზადებით როგორც საქართველოს პრეზიდენტის, ასევე ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და რუსთაველის ფონდის მიერ გამოცხადებული ახალი საგრანტო კონკურსებისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ დეპარტამენტის მუშაობის შედეგად, კონკურსებში მონაწილეობისა და გამარჯვებული სამეცნიერო პროექტების მაჩვენებლები უნივერსიტეტში საგრძნობლად გაიზარდა — 2008 წლის ეროვნულ საგრანტო კონკურსში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან 27-გრანტი მიიღო (2006 წელს — 22 და 2007 წელს — 23), ხოლო რუსთაველის ფონდიდან — 8.

წელს კონკურსებიდან მოხსნილი პროექტების რაოდენობა შემცირდა. გასულ წლებში ჩვენ ვაკვირდებოდით ასეთ პროექტებს და დავადგინეთ, რომ ზოგჯერ პროექტის სამეცნიერო ღირებულება საკმაოდ მაღალია, მაგრამ ისინი კონკურსიდან ტექნიკური შეცდომების გამო იხსნება. შეცდომების გაანალიზების შედეგად, წელს ასეთი მხოლოდ 2 პროექტი იყო (შედარებისთვის — შარშან 13 მოიხსნა). სასწავლო წლის დაწყების შემდეგ ვაპირებთ, გავმართოთ პრეზენტაცია, რომელზეც ვაჩვენებთ უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოების აქტივობას გასულ კონკურსებში. გავმართავთ დისკუსიას — სად გვქონდა წარმატება, სად უფრო მეტი სამუშაოა ჩასატარებელი და რა ნაკლოვანებებია გამოსასწორებელი.

მიმდინარე წელს დაგეგმილი გვაქვს კონსულტაციების გამართვა აკადემიური პერსონალისთვის. ჩვენ მჭიდრო ურთიერთობები გვაქვს ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან და რუსთაველის ფონდთან. მოწვეული ექსპერტები უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს კონსულტაციებს გაუწევენ იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დაიწეროს სამეცნიერო პროექტები. ახალი სასწავლო წლიდან ბევრი სამეცნიერო კონკურსი იგეგმება და გვინდა უნივერსიტეტმა მაღალი აქტივობა გამოიჩინოს.

უკვე შედგენილია თსუ-ის პერსონალის თვითშეფასების კითხვარი და მისი შევსების შემდეგ აქტივობის სრული სურათი გვექნება.

მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ ჩვენს დეპარტამენტში დამუშავდა სილაბუსი მეცნიერების მენეჯმენტში. ახალი სასწავლო წლიდან ეს კურსი დოქტორანტურის ყველა მიმართულებაზე წაიკითხება. ეს საჭირო კურსია, რადგან ზოგჯერ მეცნიერს კარგი კვლევა აქვს და არ იცის, როგორ შეფუთოს იგი, როგორ მისცეს პროექტის ისეთი სახე, რომ კომერციულად მიმზიდველი იყოს. მეცნიერების მენეჯმენტი არჩევითი კურსია, მაგრამ ზოგიერთმა მიმართულებამ, მაგალითად ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა, სავალდებულო კურსად ჩაწერა. კურსს ჩვენი დეპარტამენტის თანამშრომლები წაიკითხავენ.

როგორც საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის ცნობილია, დეპარტამენტის ინიციატივით უკვე 2 წელია წარმატებით ფუნქციონირებს საბავშვო უნივერსიტეტი. მასში ყველა ფაკულტეტია ჩაბმული, მაგრამ წელს განსაკუთრებით გამოვყოფდი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, სადაც აქტიურად იმუშავა 90-მა მოსწავლემ. მათ გასვლითი მეცადინეობებიც ჩაუტარდათ და წლის ბოლოს გამოსაშვები საღამოც ჰქონდათ.

საბავშვო უნივერსიტეტში თბილისის თითქმის ყველა სკოლაა ჩაბმული. მიმდინარე წელს ვგეგმავთ, რომ პროექტი უფრო მასშტაბური გავხადოთ და სხვა ქალაქების სკოლების მოსწავლეებსაც მივცეთ მასში ჩართვის საშუალება. დაინტერესება დიდი იქნება, რადგან ამის გამოცდილება უკვე არის – გასულ წელს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ინიციატივით საქართველოს დიდ ქალაქებში ტარდებოდა საჯარო ლექციები სკოლის მოსწავლეებისთვის და ამან დიდი გამოხმაურება გამოიწვია. ვაპირებთ მჭიდრო ურთიერთობები დავამყაროთ რუსთავის რამდენიმე სკოლასთან. დავეხმაროთ მათ სასწავლო პროგრამების დახვეწაში.

ამგვარი ურთიერთობა უნივერსიტეტს წლების განმავლობაში აქვს ყოფილ კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლასთან. ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები ამ სკოლის მოსწავლეებისთვის ხშირად კითხულობენ ლექციებს. ამ ზაფხულს მათ გია დვალიც ესტუმრა. მისმა ლექციამ და საუბრებმა მოსწავლეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა — ბევრმა გამოთქვა სურვილი, აირჩიოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. გია დვალმა ლექციაზე კარგად აღნიშნა, რომ ბავშვმა ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია იმიტომ კი არ უნდა ისწავლოს, რომ აუცილებლად ამ სპეციალობებს დაეუფლოს, პირველ რიგში იმიტომ, რომ ინტელექტუალი და სხარტად მოაზროვნე იყოს, რაც მას ყველა სპეციალობის დაუფლებაში დაეხმარება.

— ბოლო დროს გამოიკვეთა სახელმწიფო პოლიტიკა, რომ მარტო ეკონომისტები და

იურისტები ქვეყანას ვერ ააშენებენ და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს უკვე მეტი ყურადღება ექცევა. ხომ არ გეგმავს უნივერსიტეტი რაიმე განსაკუთრებულ ღონისძიებებს სკოლის მოსწავლეების ამ კუთხით დაინტერესებისთვის?

— ამ მხრივ ჩვენ საინტერესო ღონისძიებებს ვგეგმავთ. ერთ-ერთზე შემიძლია გესაუბროთ: ჩემმა მეგობარმა, ქართველმა ფიზიკოსმა, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, ამერიკაში მოღვაწე გია ფერაძემ სურვილი გამოთქვა, დაეხმაროს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის სტუდენტებს. მისი დახმარებით ამ მიმართულების სატუდენტებისთვის ჩვენ კონკურსის ჩატარებას ვაპირებთ. საწყის ეტაპზე ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მიმართულების სტუდენტები საკვლევი თემის პროექტებს წარმოადგენენ და გამოვავლენთ გამარჯვებულებს, რომლებიც, სავარაუდოდ, პერსონალური კომპიუტერებით დაჯილდოვდებიან. კონკურსში გავითვალისწინებთ სტუდენტების აკადემიურ მოსწრებასაც. მომავალში იმედი გვაქვს სხვა მიმართულებების სტუდენტებიც შემოგვიერთდებიან, კონკურსიც უფრო მასშტაბური გახდება. დეტალებზე ჯერ კიდევ ვმსჯელობთ.

სიახლეა ისიც, რომ ჩვენი დეპარტამენტის ინიციატივით (ჩვენმა თანამშრომელმა ლელა კვინიკაძემ მოიპოვა გრანტი) ჩამოყალიბდა თსუ-ის კურსდამთავრებულთა მასპინძელი ოფისი. ახალი სასწავლო წლიდან ეს ოფისი გააქტიურდება და იმედი გვაქვს, რომ ამ ტიპის აქციებში უნივერსიტეტის სხვა წარმატებული კურსდამთავრებულებიც აქტიურად ჩაერთვებიან.

— უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი აქტიურად მუშაობს მეცნიერების კომერციალიზაციის დანერგვისა და განვითარებისთვის. რა სიახლეებია მოსალოდნელი ამ კუთხით?

— უახლოეს პერიოდში ვგეგმავთ ტექნოლოგიურ აუდიტს და გვინდა, რომ ამას ყოველწლიური ხასიათი მივცეთ. რას ვგულისხმობთ ტექნოლოგიურ აუდიტში? ესაა ბიზნეს-საზოგადოებისთვის საინტერესოდ შეფუთული პროექტების გამოვლენა. ჩვენ ერთხელ უკვე ჩავატარეთ სამეცნიერო მიღწევების გამოფენა მეცნიერების კომერციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით. ამ გამოფენაზე ყველაზე მასშტაბურად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო წარმოდგენილი. წელს ანალოგიური ღონისძიება კიდევ გაიმართება. ვაპირებთ, უნივერსიტეტის ფარგლებში მოვიძიოთ პროექტები, რომლებსაც პოტენციურად შემდგომი კომერციალიზაციის პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეთ. მათ განვიხილავთ, შევარჩევთ, დავამზადებთ სარეკლამო პლაკატებს, გადავიყვანთ პროექტს ბიზნესისთვის საინტერესო ენაზე და გავმართავთ გამოფენას.

— ზაფხულის დასაწყისში დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობდა ესტონელ კოლეგებთან და ტექნოლოგიური ტრანსფერის ოფისის გახსნისთვის ემზადებოდა. რა ეტაპზეა ეს პროექტი დღეისათვის?

— ამ საკითხზე მოლაპარაკებები ჯერ კიდევ მიმდინარეობს, ზაფხულში მე და ჩემი თანამშრომლები: თეა წითლანაძე და თამარ გოგუა ვიმყოფებოდით ესტონეთში, სადაც ესტონელ კოლეგებთან ერთად საინტერესო პროექტები დავგეგმეთ. ვფიქრობთ, რომ პროექტი წარვადგინოთ და ტექნოლოგიური ტრანსფერის ოფისი უნივერსიტეტში გავხსნათ მეცნიერული მენეჯმენტის კურსთან და ტექნოლოგიურ აუდიტთან ერთად, რაც ხელს შეგვიწყობს, რომ საინტერესო იდეები და წინადადებები მასშტაბური და ბიზნესისთვის მიმზიდველი გავხადოთ.

— გასულ წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა უცხოელ და უცხოეთში მოღვაწე ქართველ მეცნიერებთან. მათი ლექციები ყოველთვის საინტერესო და სიახლის შემცველია. ხომ არ გაჩნდა ახალი სახეები, ვინც დაინტერესდა და სურვილი გამოთქვა ქართველი სტუდენტები ევროპულ განათლებას აზიაროს?

— წელს უკვე დაიწყო ამ კონტაქტების გაღრმავება. როგორც აღვნიშნე, ზაფხულში ჩამოსული იყო გია დვალი და ფიზიკის დიდ აუდიტორიაში წაიკითხა ლექცია. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური პერსონალის დიდი ნაწილი შვებულებაში იყო, ლექციას უამრავი მსურველი დაესწრო. ბატონი გია შემოდგომაზე ისევ ჩამოვა და ლექციას წაიკითხავს, როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე სტუდენტებისა და საბავშვო უნივერსიტეტის მსმენელებისთვის.

უახლოეს მომავალში ჩამოვა, ასევე, ცნობილი მეცნიერი მერაბ კოკაია. უკვე ვიცით, რომ შემოდგომაზე ლექციებს გასტონ ბუაჩიძე წაიკითხავს.

— უნივერსიტეტს საკმაოდ კონკურენტულ გარემოში უწევს მუშაობა. თქვენი აზრით, რამდენად კონკურენტუნარიანი ვართ სამეცნიერო მიღწევების კუთხით?

— ასეთი კონკურენცია ყოველთვის იქნება და უნივერსიტეტს ეს არ აშინებს. ჩვენ გვაქვს რიცხვითი და დოკუმენტური მონაცემები, რაც ამტკიცებს, რომ უნივერსიტეტი მეცნიერული კვლევების, მოპოვებული გრანტების და მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში დაბეჭდილი სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობის მხრივ პირველ ადგილზეა. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ეს მონაცემები კიდევ უფრო გაიზარდოს. კონკურენცია ამ შემთხვევაში მხოლოდ სტიმულს გვაძლევს – არ მოვდუნდეთ და მუდმივად შემართული ვიყოთ ახალი წარმატებების მოსაპოვებლად.

საზღვარგარეთ სწავლის მეტი შანსი...

ინტერვიუ თსუ-ის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსთან თეა გერგედავასთან

„როდესაც მეკითხებიან, თუ რა არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უპირატესობა სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან შედარებით, ვპასუხობ: ეს არის მეტი შესაძლებლობა — გასცდე საქართველოს ფარგლებს, მოახდინო საკუთარი თავის რეალიზება, იგემო სტუდენტური ცხოვრების გემო ევროპის შუაგულში, ამასთან ერთად, იყო უბრალო ქართველი სტუდენტი და ასახელო სამშობლო“ – ეს თსუ-ის სტუდენტის ნათია მათეშვილის სიტყვებია, რომელმაც თსუ-ის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ კოორდინირებულ გაცვლით პროგრამებში გაიმარჯვა და ვილნიუსის უნივერსიტეტში სწავლის შემდეგ საბერძნეთში აგრძელებს სწავლას. ნათია ერთ-ერთია თსუ-ის იმ ორასამდე სტუდენტს შორის, რომელთაც ბოლო ორი წლის განმავლობაში, საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, საზღვარგარეთ ისწავლეს.

თსუ-ის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი ახალი აკადემიური წლისთვისაც აქტიურად აგრძელებს მუშაობას სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების მიმართულებით და კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს გაიღრმავონ ცოდნა თსუ-ის პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტებში.

თეა გერგედავა, საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი:

— ტრადიციულად, ახალ სასწავლო წელს სიახლეებით ვხვდებით. თსუ-ის პარტნიორი უნივერსიტეტების რიცხვი გაიზარდა, რაც უფრო მეტი გაცვლითი პროგრამის განხორციელების საშუალებას გვაძლევს და თავისთავად ზრდის თსუ-ის სტუდენტების საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. რა თქმა უნდა, თსუ-ის პარტნიორი უნივერსიტეტები ბალტიისპირეთსა და გერმანიაში ისევ მიიღებენ თსუ-ის კონკურსში გამარჯვებულ სტუდენტებს ერთი აკადემიური სემესტრის განმავლობაში. მინდა აღვნიშნო, რომ კონკურსის შედეგად თსუ-დან გაგზავნილი სტუდენტები საზღვარგარეთ სწავლისას გამოირჩევიან მაღალი აკადემიური მოსწრებითდა ძალიან ხშირად, მასპინძელი უნივერსიტეტები მათთვის დამატებით სტიპენდიებს გამოყოფენ სწავლის გასაგრძელებლად.

ინგლისურენოვანი და გერმანულენოვანი პროგრამების გარდა, იტალიური ენის მცოდნე სტუდენტებს ვთავაზობთ გაცვლით პროგრამას იტალიაში, კა'ფოსკარის უნივერსიტეტში. აღსანიშნავია, რომ კა'ფოსკარის უნივერსიტეტსა და თსუ-ს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, 2005 წლიდან უნივერსიტეტის პროფესორებიც სტუმრობენ კა'ფოსკარის უნივერსიტეტს.

წელს განახლდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული გაცვლითი პროგრამა — ერაზმუს მუნდუსის გარე თანამშრომლობის ფანჯარა (ლოტი 6), რომელიც ბაკალავრებს, მაგისტრანტებს, დოქტორანტებს, პოსტ-დოქტორანტებს და პროფესორებს შესაძლებლობას აძლევს — სწავლა და კვლევა გააგრძელონ პარტნიორ უნივერსიტეტებში: საფრანგეთში, პორტუგალიაში, იტალიაში, საბერძნეთსა და ბულგარეთში.

ტრადიციულად, გაცვლითი პროგრამების შესახებ დეტალურ ინფორმაციას სტუდენტები იღებენ როგორც ჩვენი ვებ-გვერდის მეშვეობით, ისე დეპარტამენტის თანამშრომლებისგან, რომლებიც ყოველთვის მზად არიან — კონსულტაციები გაუწიონ საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების მსურველ სტუდენტებს.

წარმატებულ პირველკურსელებს სიურპრიზები ელოდებათ

ინტერვიუ თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსთან მაკა სეხნიაშვილთან

თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ახალ სასწავლო წელს მრავალი საინტერესო ინიციატივითა და გეგმებით ხვდება. მათი მთავარი საზრუნავი ამ ეტაპზე სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებული ღონისძიებაა, რომელსაც უნივერსიტეტი ყოველთვის განსაკუთრებით აღნიშნავს.

შურთხია გეროშვილი

— ამ ეტაპზე მე და ჩემი კოლეგები ახალი სასწავლო წლისადმი მიძღვნილი ღონისძიების ბოლო დეტალებს ვაზუსტებთ. ძალიან ვღელავთ, დიდი სურვილი გვაქვს, რომ ეს დღე მართლაც გამორჩეული და შთამბეჭდავი იყოს. 28 სექტემბერს დაგეგმილ ღონისძიებაზე სტუდენტებს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა მიესალმება, რომელიც სწავლის დაწყებას მიულოცავს სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს, ღონისძებას დაესწრებიან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები და სხვა საპატიო სტუმრები. იმედი გვაქვს, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლის.

— ***პირველკურსელებს განსაკუთრებით ახარებთ სწავლის დაწყება, რითი იქნება გამორჩეული მათთვის ეს დღე?***

— პირველკურსელებს მართლაც ელოდებათ სიურპრიზები, განსაკუთრებით მათ, ვინც ერთიანი ეროვნული გამოცდები წარმატებით ჩააბარეს და უმაღლესი შეფასებები დაიმსახურეს. ამასთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ქალაქის მერიის, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობისა და კომპანია „ჯეოსელის“ ინიციატივით მაღალრეიტინგული სტუდენტები სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდებიან. გარდა ამისა, „ჯეოსტარის“ მომღერალთა მონაწილეობით გაიმართება გრანდიოზული კონცერტი. ასე რომ, ეს დღე ყველასთვის სასიხარულო და სამახსოვრო იქნება.

— ***როგორც ცნობილია, უახლოეს მომავალში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლიტერატურული კონკურსი ჩატარდება, რას გვეტყვით ამის თაობაზე?***

— შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდებისთვის ეს კონკურსი მართლაც მათი შესაძლებლობების რეალიზაციის საშუალება იქნება.

ლიტერატურული კონკურსი — „შემოდგომის ლეგენდა“ — აღმოაჩინე იყალთო შენში!“ კომპანია „ჯეოსელთან“ ერთად განხორციელდება, სტარტს 1 ოქტომბერს აიღებს და ორ ეტაპად ჩატარდება. უნივერსიტეტის ჟიური შესარჩევ ტურში გამოავლენს 20 საუკეთესო კანდიდატს, რომლებიც მეორე ტურში გადაინაცვლებენ და ფინალში მიიღებენ მონაწილეობას. კონკურსის მეორე ეტაპზე მოეწყობა იმპროვიზაციული კონკურსი იყალთოს სამონასტრო კომპლექსში, სადაც წინასწარ შერჩეული სლოგანების მიხედვით კონკურსანტებმა განსაზღვრული დროის განმავლობაში ნაშრომი უნდა შექმნან. მათ შორის სამ საუკეთესო ნაშრომს ჟიური ფულადი პრიზით დააჯილდოებს, კომპანია „ჯეოსელი“ კი კონკურსის გამარჯვებულებს სპეციალურ პრიზებს გადასცემს. საუკეთესო ხუთი ნაშრომი სპეციალურ ბროშურაში დაიბეჭდება. ჩემი აზრით, ეს ძალიან კარგი შანსია ახალგაზრდა მწერლებისთვის, რათა ჩაერთონ ლიტერატურულ პროცესში.

გვსურს, რომ კონკურსმა ტრადიციული სახე მიიღოს და ყოველ წელს შემოდგომაზე ჩატარდეს. ჩვენ ვეძებთ ახალ სახელებს, ახალ ხელწერას და თითოეული ნიჭიერი ახალგაზრდის აღმოჩენისკენ ვისწრაფით.

მინდა, ყველას მივულოცო ახალი სასწავლო წლის დაწყება და ვუსურვო მათ წარმატება სწავლასა და შემოქმედებით საქმიანობაში.

თსუ-ის კულტურისა და სპორტის ცენტრი სტუდენტების მოლოდინში

ახალი სასწავლო წლიდან კულტურით, სპორტითა და ლიტერატურით დაინტერესებულ თსუ-ის პირველკურსელებს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა და უნარჩვევების დახვეწა თსუ-ის კულტურისა და სპორტის ცენტრის დახმარებით შეეძლებათ. ცენტრის ფარგლებში ხალხური ცეკვისა და სიმღერების ანსამბლები, სხვადასხვა სპორტული სახეობების ჯგუფები ფუნქციონირებს, რომლებიც საკმაოდ დიდი წარმატებით სარგებლობენ.

ნატო ოგოლაძე

ლილიკო ნემსაძე, კულტურისა და სპორტის ცენტრის ხელმძღვანელი:

— ***რა სიახლეებით ხვდება თსუ-ის კულტურისა და სპორტის ცენტრი ახალ სასწავლო წელს და რას სთავაზობს პირველკურსელებს?***

— კულტურისა და სპორტის ცენტრი ყოველთვის დიდი ენთუზიაზმით ხვდება პირველკურსელებს. ჩვენ სწორედ იმისთვის ვმუშაობთ, რომ მათი თავისუფალი დრო საინტერესოდ დაიხარჯოს და მათი სპორტული თუ კულტურული შესაძლებლობები გამოვავლინოთ. უნივერსიტეტს არაჩვეულებრივი ქორეოგრაფიული, ფოლკლორული, ხალხური საკრავების ანსამბლები ჰყავს, რომლებსაც გაფართოება და შევსება ესაჭიროება. ფუნქციონირებს არაერთი სპორტული სახეობის წრე, ახლახან შეიქმნა როკ-ჯგუფიც, რომელიც სტუდენტების ინიციატივით ჩამოყალიბდა.

უნივერსიტეტის ანსამბლები საკმაოდ დიდი წარმატებით მოღვაწეობენ. ვიმარჯვებთ სპორტულ შეჯიბრებებში და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ღირსეულად ვაგრძელებთ უნივერსიტეტის კულტურულ და სპორტულ ტრადიციებს.

— ***რა პროექტების განხორციელებას გეგმავთ ახალი სასწავლო წლის მანძილზე?***

— სწავლის დაწყების აღსანიშნად პირველკურსელებისთვის ღონისძიებას გავმართავთ. წლის მანძილზე რამდენიმე კონცერტი გაიმართება ჩვენი ხალხური ცეკვებისა და სიმღერების ანსამბლების მონაწილეობით. გამოვაცხადებთ კონკურსს სახელწოდებით „უნივერსიტეტის ხმა“, რომლის მიზანიც საუკეთესო ვოკალის მქონე სტუდენტების აღმოჩენა იქნება. ისინი ჩვენს მიერ გამართული ღონისძიებების გარდა სხვადასხვა პოპულარულ პროექტებში მიიღებენ მონაწილეობას. მაგალითად, როგორიცაა „ჯეოსტარი“ თუ სხვა სატელევიზიო კონკურსები. სურვილი გვაქვს, ჩვენი ხალხური სიმღერების ანსამბლისთვის შევარჩიოთ რამდენიმე სტუდენტი. გაფართოებას მოითხოვს თეატრალური დასიც, მათ უკვე გამართეს ახალგაზრდებისთვის აქტუალურ თემაზე შექმნილი ორი სპექტაკლის პრეზენტაცია. რა თქმა უნდა, ახალი სახეების შერჩევა აქაც კონკურსის შედეგად მოხდება.

ჩემი დიდი სურვილია, რომ უნივერსიტეტში შეიქმნას კაპელა, რომელიც ადრე ფუნქციონირებდა. გვინდა აღვადგინოთ კამერული ორკესტრიც. ახალი დაწყებული მქონდა თსუ-ში მუშაობა, როდესაც პირველ კორპუსში სააქტო დარბაზთან სტუდენტი შევნიშნე, რომელიც არაჩვეულებრივად უკრავდა შოპენს. გავიფიქრე, რომ ის კონსერვატორიის სტუდენტი იქნებოდა, თუმცა თსუ-ის მეორეკურსელი აღმოჩნდა. თუნდაც ამ მაგალითიდან გამომდინარე, იმედი მაქვს, რომ უნივერსიტეტში კამერული ორკესტრის ჩამოსაყალიბებლად საჭირო რესურსი არსებობს.

თენგიზ ყურაშვილი, თსუ-ის კულტურისა და სპორტის ცენტრის სპეციალისტი:

— **უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი სექტემბრის დასაწყისში გასტროლებზე იმყოფებოდა იტალიაში, რა გეგმები გაქვთ ახალი სასწავლო წლიდან და რას სთავაზობთ პირველკურსელებს?**

— უნივერსიტეტის ქორეოგრაფიულ ანსამბლს ახალი სახეებით შევსება სჭირდება. ჩვენ გამოვაცხადებთ კონკურსს, საუკეთესოებს ანსამბლში შევიყვანთ, ხოლო დანარჩენი მსურველებისთვის ცალკე ჯგუფს ჩამოვაყალიბებთ და კვირაში ორ-სამჯერ ვამეცადინებთ.

ახალი სასწავლო წლის გეგმები ჯერ-ჯერობით ზუსტად გაწერილი არ გვაქვს. მოგეხსენებათ, მიმდინარეობს სააქტო დარბაზის რეკონსტრუქცია და არ გვაქვს სარეპეტიციო დარბაზი, რაც, გარკვეულწილად, გვზღუდავს. რექტორის უშუალო დახმარებით, სარეკონსტრუქციო გეგმაში გათვალისწინებული იქნება ცალკე სარეპეტიციო დარბაზი, რომელსაც მაქსიმალურად დავტვირთავთ — ამით სტუდენტების მოთხოვნილებებს დავაკმაყოფილებთ.

იგეგმება გერმანიაში გამგზავრება, სადაც ჩვენი ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრები სამთავრობო ღონისძიებაზე იცეკვებენ, მათთან ერთად გოგონების ხალხურ საკრავთა ანსამბლი „გორდელაც“ მიიღებს მონაწილეობას.

ქეთევან შენგელია, „ლიტერატურული სახელოსნოს“ ხელმძღვანელი:

— **რას სთავაზობს „ლიტერატურული სახელოსნო შემოქმედ სტუდენტებს?**

— „ლიტერატურულ სახელოსნოში“ თსუ-ის სტუდენტობაა გაერთიანებული. აქ ყველა შემოქმედ ახალგაზრდას შეუძლია საკუთარი შესაძლებლობები გამოავლინოს. გვაქვს რამდენიმე რუბრიკა. ძირითადად ვმუშაობთ სტუდენტების შემოქმედების დახვეწაზე, ვაწყობთ მათი ნაწარმოებების განხილვა-პრეზენტაციებს. გვაქვს რუბრიკა — „მოწვეული სტუმარი“, სადაც ვიწვევთ მწერლებს, მხატვრებს და საზოგადო მოღვაწეებს სხვადასხვა საინტერესო თემებზე სასაუბროდ. ვატარებთ ღონისძიებებს მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებით, მაგალითად: ქართული ენის დღე, დიდი მწერლების სახელობის დღეები და საიუბილეო ღონისძიებები. ლიტერატურული შემოქმედებითი წრე ხშირად ატარებს პოეზიის საღამოებს. სტუდენტებს ვაძლევთ რეკომენდაციებს ჟურნალ-გაზეთებში საკუთარი შემოქმედების დასაბეჭდად. რამდენიმე მათგანმა თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ სივრცეშიც შეაბიჯა ფეხი. არაერთმა გაიმარჯვა სხვადასხვა შემოქმედებით კონკურსშიც.

სამომავლოდ შევინარჩუნებთ ყველა რუბრიკას. ვგეგმავთ ყოველწლიური ალმანახის გამოცემას, სადაც „ლიტერატურული სახელოსნოს“ სტუდენტების შემოქმედებას წარმოვაჩენთ. ხშირად მიწვევენ შემოქმედებითი კონკურსის ჟიურში, სადაც სიამოვნებით ვთანამშრომლობ და რეკომენდაციას ვუწევ სტუდენტებს.

პირველკურსელებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან პროზით, პოეზიით, ესეისტიკით და საერთოდ ხელოვნებით, სიამოვნებით მივიღებთ ჩვენთან და დავეხმარებით საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენასა და დახვეწაში. მათ კულტურისა და სპორტის ცენტრში შეუძლიათ ინფორმაციის მიღება, გარდა ამისა, განცხადებები განთავსდება უნივერსიტეტის ყველა კორპუსში და ინფორმაცია მიეწოდება სტუდენტურ თვითმმართველობასაც.

თსუ-ის მუზეუმი საკმაოდ დიდ და ფასეულ ფონდს მოიცავს

ინტერვიუ თსუ-ის მუზეუმის ხელმძღვანელთან მაია გურაბანიძესთან

ნატო ოგოლაძე

— რა მუზეუმებს აერთიანებს თსუ-ის მუზეუმი? რა ინფორმაციის მიღება შეუძლიათ სტუდენტებს უნივერსიტეტის მუზეუმში არსებული ფონდების საშუალებით?

— ჩვენი მუზეუმის დაქვემდებარებაშია რამდენიმე ე.წ. ყოფილი მუზეუმი, რომლებსაც თავისი უნიკალური ფონდები გააჩნიათ. ესენი გახლავთ: ზოოლოგიის, მინეროლოგიის, გეოგრაფიის, არქეოლოგიური, ისტორიისა და ემიგრაციის მუზეუმები. გვაქვს უნივერსიტეტის დამფუძნებლების არქივები, მათი ნივთები... გვაქვს, ასევე, ვიდეო-არქივი, სადაც ივანე ჯავახიშვილის და სხვა არაერთი ქართველი საზოგადო მოღვაწის უნიკალური კადრებია ასახული. ჯერჯერობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში მიმდინარე რემონტის გამო გამოფენებს ხშირად ვერ მოვაწყობთ, თუმცა ნებისმიერ ჩვენთან მოსულ სტუდენტს შეეძლება სასურველი ინფორმაციის მიღება.პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს ჩვენთან არსებული რესურსის სისტემატიზაცია: ვიდეო-არქივის ელექტრონული ვერსიების შექმნა და უნიკალური ხელნაწერების, სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის თსუ-ის საიტზე განთავსება, რის შემდეგაც ნებისმიერ სტუდენტს მუზეუმის გაცნობა გაცილებით მარტივად შეეძლება. პირველი კორპუსის რემონტის დასრულების შემდეგ ჩვენი საცავები გათავისუფლდება და სამუზეუმო ექსპონატები — XIX-XX საუკუნეების არაჩვეულებრივი ფერწერული ტილოები გამოიფინება.

— რა სიახლეებს გეგმავთ ახალი სასწავლო წლიდან?

— პირველი კორპუსის რემონტის გამო არ გვაქვს დარბაზი, სადაც ექსპონატების გამოფენას შევძლებთ, თუმცა ჩვენ ვხელმძღვანელობთ კალენდრით და შესაბამისად, პერიოდულად გამოვფენთ უნივერსიტეტის დამაარსებელთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ ფოტოებს, ასევე, ყველა იმ პიროვნების ფოტო-ექსპოზიციას მოვაწყობთ, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია უნივერსიტეტთან და, ზოგადად, ქართული სამეცნიერო სკოლის განვითარებასთან. რემონტის დასრულების შემდეგ, პირველ კორპუსში, გუმბათის ქვეშ განთავსდება უნივერსიტეტის ისტორიის ამსახველი ფოტო-ექსპოზიცია და ფონდებში დაცული ექსპონატები. გარდა ამისა, ექსპოზიციაში შევეცდებით წარმოვაჩინოთ ის კულტურულ-საგანმანათლებლო ისტორიული გზა, რომელიც ანტიკური ხანიდან უნივერსიტეტის დაფუძნებამდე გაიარა ქართულმა მეცნიერებამ და კულტურამ. ჩვენი მთავარი მიმართულება ის არის, რომ ჩვენ არ გვინდა იზოლირებულად წარმოვაჩინოთ ეს ყველაფერი. საქართველო ყოველთვის იყო კულტურული ცივილიზაციის ნაწილი, განსაკუთრებით კი ევროპული კულტურისა და გვინდა, რომ ეს აისახოს საგამოფენო ექსპოზიციებში.

თსუ-ის მუზეუმს, ასევე, დაგვექვემდებარა ემიგრაციის მუზეუმი (როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ), რომელიც არაჩვეულებრივ ექსპონატებს, ინფორმაციას მოიცავს საქართველოს პირველი დემოკრატიული მთავრობის ისტორიაზე. ჩვენ არაერთი გამოფენა გვაქვს მიძღვნილი ემიგრაციის თემაზე სახელწოდებით, „ემიგრაცია და ივანე ჯავახიშვილი“, „ემიგრაცია და თბილისის უნივერსიტეტი“...

— პირველი კორპუსის რეკონსტრუქციის დამთავრებამდე თსუ-ის სტუდენტებს სად შეეძლებათ თქვენი მუზეუმის შესახებ ინფორმაციის მიღება?

— ჩვენ შეგვიძლია მათ გარკვეული ინფორმაცია მივაწოდოთ ზეპირად, ინფორმაციის ნაწილის ელექტრონული ვერსიებიც უკვე არსებობს. ერთ წელიწადში, როდესაც ჩვენთან სტუდენტი მოვა, მას უკვე თავისუფლად შეეძლება მუზეუმის დათვალიერება. ახალგაზრდები გაიგებენ, თუ ვინ და რა შრომის ფასად დააარსა ეს უნივერსიტეტი, როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ მათ უნივერსიტეტის მიმართ, როგორი პატრიოტიზმით იყვნენ ავსებულნი და რა როლი აქვთ შესრულებული მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში. არც აქამდე ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ თსუ-ის მუზეუმის თანამშრომელს ამომწურავი პასუხი არ გაეცა აქ მოსული სტუდენტისა ან აბიტურიენტისთვის.

არავის ვურჩევ დაცვის სამსახურის ბადეში გაბმას

ინტერვიუ თსუ-ის დაცვის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან თამაზ წიკლაურთან

ახალი სასწავლო წლის შესახვედრად ყველა თავისებურად ემზადება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაცვის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა თამაზ წიკლაურმა უკვე გაიარა თანამშრომლებთან კონსულტაციები და მათ სათანადო მითითებები მისცა. მისი თქმით, უნივერსიტეტში შემოსული ადამიანი ვალდებულია — მკაცრად დაიცვას ის შინაგანაწესი, რომელიც დეპარტამენტმა შეიმუშავა.

შურთხია გეროშვილი

— ბატონო თამაზ, რა განწყობით ხვდება თსუ-ის დაცვის დეპარტამენტი ახალი სასწავლო წლის დაწყებას?

— პირველ რიგში ყველა უნივერსიტეტელს, განსაკუთრებით კი პირველკურსელებს მინდა მივულოცო ახალი სასწავლო წლის დაწყება, რადგან ეს დღე მათთვის მართლაც გამორჩეული, მნიშვნელოვანი და სასიხარულოა. მინდა, ყველა სტუდენტმა გაიაზროს, თუ რა დიდი პატივია პირველ ქართულ უნივერსიტეტში სწავლა, რომელსაც თავისი ტრადიციები აქვს. მათ უნდა პატივი სცენ ჩვენს მიერ დადგენილ წესებსა და კანონებს. ჩვენი სამსახური, თავის მხრივ, ყველანაირად შეეცდება თითოეულმა მათგანმა აქ თავი კომფორტულად და დაცულად იგრძნოს. თსუ-ის დაცვის დეპარტამენტი ყოველთვის იყო და იქნება ჩვენი სტუდენტებისა და თანამშრომლების დაცვის გარანტი. ჩვენი სამსახურის თითოეული წევრის მოვალეობაა, უზრუნველყოს მშვიდი საუნივერსიტეტო ცხოვრება.

— თუ შეიტანეთ რაიმე ცვლილებები დეპარტამენტის შინაგანაწესში?

— დეპარტამენტის მუშაობაში მნიშვნელოვანი რეორგანიზაცია არ მომხდარა, მაგრამ ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, შედარებით გავამკაცრეთ კონტროლის მექანიზმი. შევეცდებით, მაქსიმალურად მშვიდი გარემო შევქმნათ. მოხდა უმნიშვნელო საკადრო ცვლილებებიც, შევარჩიეთ ახალი თანამშრომლები.

— წინასწარი კონსულტაცია თუ გაიარეს თანამშრომლებმა?

— რა თქმა უნდა, ჩვენ გვაქვს ჩვენი წესდება და დებულება, რომელსაც მათ პერიოდულად ვაცნობთ. თითოეულმა თანამშრომელმა კარგად უნდა გაიაზროს, რომ მათი უშუალო მოვალეობაა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.ეს ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა. უნივერსიტეტში შემოვიდა უამრავი ძვირად ღირებული ტექნიკა, კომპიუტერები, სასწავლო ნივთები და სხვა ინვენტარი, ამიტომ მაქსიმალური მობილიზებაა საჭირო, გაძლიერებულ რეჟიმში მუშაობს დაცვის სამსახურიც.

— უნივერსიტეტში შემოუშვებთ თუ არა უცხო სტუდენტებს?

— ჩემი აზრით, უნივერსიტეტში შემოსვლა ყველას უნდა შეეძლოს, კარებს ვერავის დავუკეტავთ, უბრალოდ, უცხო პირმა, რომელიც აქ შემოდის, უნდა წარმოადგინოს

პირადობის მოწმობა და დაგვისაბუთს მოსვლის მიზანი. მოგეხსენებათ, პირველ კორპუსში მიმდინარეობს რემონტი და ამასთან დაკავშირებით სტუდენტები სხვადასხვა კორპუსებში არიან გადანაწილებულები, ამიტომ მათ შესაძლებლობა ექნებათ თავისუფლად იმოძრაონ. ყველამ მინდა გაიაზროს, რომ უნივერსიტეტს აქვს თავისი შინაგანაწესი. ჩემი თხოვნა იქნება, მას ყველა ყურადღებით გაეცნოს. არც ის არ შეიძლება, სტუდენტს გადაჭარბებული თავისუფლება მივანიჭოთ და პასუხისმგებლობა არ იგრძნოს არაფერზე, ამიტომ ყველას ვთხოვთ, ჩვენთან ერთად დაიცვას უნივერსიტეტის უსაფრთხოება. მათი მხრიდან ეს იქნება არა მარტო უნივერსიტეტის, არამედ ქვეყნის და საკუთარი თავის პატივისცემა. ჩვენთან აკრძალულია სიგარეტის მოწევა, ლექციის ჩაშლა — კანონის დაცვას ყველას მოვთხოვთ.

დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, შემოღებულია სპეციალური ჟურნალი, სადაც დაფიქსირდება თითოეული დარღვევა და მას სათანადო რეაგირება მიეცემა. ჩემი მოხსენების საფუძველზე კი შესაბამისი ღონისძიებები გატარდება.

ასე რომ, არავის ვურჩევ დაცვის სამსახურის ბადეში გაბმას. მე კი კიდევ ერთხელ ვუსურვებ ყველას წარმატებას და მშვიდობას.

ანა ნუსხელაძე — ყველაზე მაღალრეიტინგიანი სტუდენტი საქართველოში

პიველი გვერდიდან

— „ყურადღება კი ძალიან მსიამოვნებს, მაგრამ უკვე მეხუთე ინტერვიუს ვიძლევი, ისეთი არაფერი გამიკეთებია, რომ ამდენი დრო დამითმოს პრესამ და ტელევიზიამ“.

არადა, ანა მართლა პოპულარული გახდა. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მან საუკეთესო შედეგები აჩვენა (ქართული ენა და ლიტერატურა – 90 ქულა, ზოგადი უნარები — 95, მათემატიკა – 96; ინგლისური ენა — 99).

მისი წარმატება არავის გაკვირვებია... მშობლები და ახლობლები უკვე მიეჩვივნენ, რომ ანა ყოველთვის გამორჩეულია — ოქროს მედალზე დაამთავრა ილია ვეკუას სახელობის 42-ე საჯარო სკოლა და მოსწავლეთა არაერთი ოლიმპიადის გამარჯვებულია.

„მიხარია, რომ საქართველოში ყველაზე წარმატებული უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი და იმ ფაკულტეტზე ჩავაბარე, რომელიც მინდოდა, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში ჯერ არაფერი შეცვლილა. ისევ ისე მიყვარს მეგობრებთან გართობა და ისევ ისეთი ზარმაცი ვარ, როგორიც ვიყავი“, — ბავშვური გულწრფელობით „აღიარა“ მან ჩვენთან საუბარში...

მართლა ასეთი ყოფილა – ცელქი. იმის გამო, რომ ძალიან მალე ითვისებდა სასკოლო პროგრამას, დროც ბევრი რჩებოდა და ამ დროს კითხვას, მეგობრებს, მუსიკის მოსმენას, ჭადრაკის და ბილიარდის თამაშს ანდომებდა. ხან დედის დაკვირვებულ თვალს ატყუებდა და ვითომ სამეცადინოდ განმარტოებული ძმასთან საუბრით ირთობდა თავს... ხანაც მერამდენედ კითხულობდა ბავშვობაში წაკითხულ საყვარელ წიგნებს...

ვაჟა-ფშაველა უყვარს. ამბობს, მისი მსოფლმხედველობა ყველაზე ახლოსაა ჩემს სულთანო და გატაცებით საუბრობს მის შემოქმედებაზე. ზოგადი განათლების საფუძვლად კი ბავშვობაში ჩანერგილი ინტერესები მიაჩნია. „ხშირად ვხედავ, რომ 4-5 წლის ბავშვები საათობით თამაშობენ ეზოში. ჩვენ კი დედა ამ ასაკში გამუდმებით გვიკითხავდა. მან გაგვაცნო უამრავი ლიტერატურული პერსონაჟი, სხვადასხვა ქვეყნები და მათი დედაქალაქები. მერე უკვე თავადაც გაგვიჩნდა ინტერესი“, — აღნიშნა მან ჩვენთან საუბარში.

მოუსვენარი ბუნებიდან გამომდინარე, ანას ათასგვარი გატაცება ჰქონია, მაგრამ ერთი რამ ყოველთვის ზუსტად იცოდა — მისი მომავალი პროფესია მათემატიკასთან იქნებოდა დაკავშირებული.

— უნივერსიტეტს დიდი ისტორია აქვს. აქ მათემატიკის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლის სურვილით მოვედი. ვიცი, რომ დღეს მათემატიკოსებს დასაქმების სახარბიელო პერსპექტივა არ აქვთ, მაგრამ მე ჩემსას ვეცდები. დამატებით სხვა სპეციალობასაც დავეუფლები და თუ შესაძლებლობა მომეცემა, გაცვლით პროგრამებშიც მივღებ მონაწილეობას — განაცხადა ანა ნუსხელაძემ.

საქართველოს ყველაზე მაღალრეიტინგული პირველკურსელი წარმატებას სკოლის ყველა პედაგოგს, განსაკუთრებით კი მათემატიკის მასწავლებელს, ოლეგ კვენტაძეს უმადლის. მათი დამსახურებაა, რომ ანამ ყოველგვარი რეპეტიტორის გარეშე, მხოლოდ სკოლაში მიღებული ცოდნით ჩააბარა ეროვნული გამოცდები. ეს ნიშნავს, რომ სწორად წარმართული სასწავლო პროცესი ნამდვილად განაპირობებს სწავლების მაღალ დონეს, თუკი მოსწავლეც სათანადო შესაძლებლობისაა.

ანა ფიქრობს, რომ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, სკოლისგან განსხვავებით, ბევრი დრო აღარ ექნება, რადგან სპეციალობის საფუძვლიანად დაუფლებას აპირებს და დარწმუნებულია, რომ მიზნის მისაღწევად სწორი არჩევანი გააკეთა – გახდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი!

ჩვენი მიზანია, სტუდენტს დავეხმაროთ ნებისმიერი პრობლემის გადაჭრაში

ინტერვიუ თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტთან ირაკლი სამხარაძესთან

სტუდენტურმა ცხოვრებამ თავისი ხიბლი რომ არ დაკარგოს, ამაზე გარკვეული პასუხისმგებლობა იმ სტუდენტებსაც ეკისრებათ, ვინც ლიდერების თვისებებით არიან დაჯილდოებულნი და თავიანთი საქმიანობით ცდილობენ, ახალგაზრდების ცხოვრება საინტერესო და შინაარსიანი გახადონ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასეთი ამბიცია თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობასაც აქვს. თითქმის ყველა სტუდენტური ღონისძიება მათ მიერ არის ორგანიზებული და დაგეგმილი. შესაბამისად, ისინი ცდილობენ, თავიანთი საქმიანობა თანატოლების ინტერესების შესაბამისად წარმართონ.

ახალ სასწავლო წელს მათი ძირითადი საზრუნავი პირველკურსელებთან შეხვედრა და სტუდენტებისთვის ახალი ინიციატივების გაცნობაა.

შურთხია ბერეშვილი

— რა განწყობით და გეგმებით ხვდება თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა ახალ სასწავლო წელს?

— პირველ რიგში მინდა, პირველკურსელებს მივულოცო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარება. მინდა, ყველამ კარგად გააცნობიეროს, თუ რა დიდი პატივია იმ სასწავლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელება, სადაც ჩვენმა წინაპრებმა ერის სანუკვარი ოცნება განახორციელეს და თავიანთი მოღვაწეობით შექმნეს ისეთი განათლების კერა, რომელიც დღემდე უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც, რაზეც მკაფიოდ მეტყველებს მისი საერთაშორისო კავშირურთიერთობანი ევროპის ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებთან.ეს კი ყველას დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. უნივერსიტეტმა სამშობლოს აღუზარდა არა ერთი სახელოვანი მეცნიერი, მწერალი, ხელოვანი, პოლიტიკოსი, სხვადასხვა დარგის წარმომადგენელი... ვიმედოვნებ, რომ ჩვენ შორისაც გამოჩნდებიან ისეთები, რომლებიც კიდევ უფრო შორს გაუთქვამენ სახელს მშობლიურ სასწავლებელს.

რაც შეეხება თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის სამომავლო გეგმებს, თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ საქმიანობის პრიორიტეტად რჩება სტუდენტებისთვის სათანადო გარემოს შექმნა. ჩვენ ისევ სტუდენტებზე ორიენტირებულ რგოლად ვრჩებით, ამიტომ კვლავაც ყველანაირად ვეცდებით, სტუდენტური ცხოვრება მრავალფეროვანი და შინაარსიანი იყოს.

— რა სიახლეებს შესთავაზებს სტუდენტური თვითმმართველობა სტუდენტებს?

— ჩვენი სამომავლო გეგმები მართლაც საინტერესოა. მოგეხსენებათ, რომ მეორე მოწვევის თსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ თავისი საქმიანობა 2008 წლის მაისში დაიწყო და შეძლო — სტუდენტების ნდობა და სიყვარული დაემსახურებინა. ამ ხნის განმავლობაში მრავალი სასიკეთო ღონისძიება დაიგეგმა და განხორციელდა. სტრუქტურულად სტუდენტური თვითმმართველობა ისეთივე გამართული იქნება, როგორც წინა წელს. მოგეხსენებათ, რომ თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის მიზნობრივი დეპარტამენტები აქტიურად თანამშრომლობენ როგორც სტუდენტებთან, ისე პროფესორ-მასწავლებლებთან. გარდა ამისა, არ შემიძლია ყურადღება არ გავამახვილო სტუდენტთა უფლებათა დაცვის დეპარტამენტზე, სადაც აქტიურად არიან ჩართულნი სტუდენტი იურისტები, რომლებიც მუშაობენ სტუდენტთა უფლებათა დაცვაზე. სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩევის დღიდან ჩემი ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი სწორედ სტუდენტთა უფლებების დაცვაა და თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ძალისხმევას მე და ჩემი მეგობრები არც ახლა დავიშურებთ. ამასთან დაკავშირებით ვგეგმავთ საინტერესო შეხვედრებს ცნობილ იურისტებთან, გაიმართება საჯარო დისკუსიები და დებატები, სადაც აქტიურად ჩაერთვებიან სტუდენტები.

იურიდიულ ფაკულტეტზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ,,ევროპის იურისტ სტუდენტთა საქართველოსა" და თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთობლივი პროექტი დაიგეგმა, ღონისძიების თემაა ინტელექტუალური საკუთრება. პროექტის განმავლობაში იმიტირებული სასამართლო პროცესები გაიმართება თბილისის საქალაქო სასამართლოში, ხოლო გამარჯვებული სტუდენტები გაივლიან სტაჟირებას. ყველა დაინტერესებულ სტუდენტს ვურჩევ აქტიურად ჩაერთოს მასში.

— რას პირდებით პირველკურსელებს, როგორ აპირებთ მათ დაინტერესებასა და ჩართვას საუნივერსიტეტო ცხოვრებაში?

— სასიხარულოა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე ტრადიციად იქცა ერთიან ეროვნულ გამოცდებში წარმატებული და მაღალი შედეგების მქონე პირველკურსელების წახალისება. მათ მივულოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას და ჩვენი ინიციატივით საჩუქრებსაც გადავცემთ. სტუდენტური თვითმმართველობის ტურიზმის, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტები პირველკურსელებს საკმაოდ მრავალფეროვან და საინტერესო პროგრამას შესთავაზებენ: ეს იქნება კულტურული ღონისძიებები, სპორტული შეჯიბრებები, ექსკურსიები თუ ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. როგორც ცნობილია, თითოეულ ფაკულტეტზე არჩეულია თვითმმართველობის ოცი დელეგატი, რომლებიც ავტომატურად ხვდებიან საფაკულტეტო საბჭოში და, შესაბამისად, აქტიურად არიან ჩართულნი საფაკულტეტო საქმიანობაშიც.

გარდა ამისა, სწავლის დაწყებისთანავე გაიმართება საგანგებო შეხვედრები სტუდენტებთან და, შესაბამისად, დავგეგმავთ ღონისძიებებს მათი ინტერესების გათვალისწინებით. იგეგმება თითოეული ფაკულტეტის და მიმართულების სტუდენტებთან შეხვედრები, რადგან ეს გაცნობის ერთ-ერთი ყველაზე მობილური მეთოდია. ჩვენი მიზანია, ერთგვარად შუალედური რგოლის ფუნქცია შევასრულოთ ადმინისტრაციასა და სტუდენტებს შორის, რათა, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში, სტუდენტს დავეხმაროთ ნებისმიერი პრობლემის გადაჭრაში.

ჩვენი მიზანი და სურვილია, რომ სტუდენტები აქტიურად ჩაერთონ თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში. სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს ჩვენს მიერ წამოჭრილი ახალი ინიციატივა, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ სტუდენტსა თუ სტუდენტთა ჯგუფს შუძლია წარმოადგინოს საინტერესო პროექტი და მოიპოვოს შესაბამისი ტექნიკურ-ფინანსური რესურსი მის განსახორციელებლად. მომავალში დაგეგმილი გვაქვს არა მხოლოდ ლოკალური, არამედ რამდენიმე საერთაშორისო ღონისძიებაც.ასე რომ, ნებისმიერ დაინტერესებულ სტუდენტს, რომელსაც სურვილი აქვს აქტიურად ჩაერთოს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, ვურჩევთ მოგვმართოს, რათა უფრო საინტერესოდ გაატაროს სტუდენტობა.

დასასრულ, მინდა კიდევ ერთხელ მოვუწოდო ყველა სტუდენტს, რომ ყოველთვის რაციონალურად შეხვდეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოწვევებს, რადგან ატარებდე ამ უნივერსიტეტის სტუდენტის სახელს, მართლაც საამაყო და საპატიოა. ჩვენი უნივერსიტეტი თითქმის საუკუნეა განათლების მწვერვალს წარმოადგენს, მწვერვალი კი, ცხადია, კარგად ჩანს ყოველი მხრიდან, შესაბამისად მისი შუქ-ჩრდილიც კი არავის დარჩება შეუმჩნეველი.

გისურვებთ, რომ თქვენც დაგეპყროთ მწვერვალი. გწამდეთ, რომ მხოლოდ ღირსეული შრომის შედეგად მიაღწევთ სასურველ შედეგს!

მეამაყება, რომ თსუ-ის სტუდენტი გავხდი!

მათ უკვე გააკეთეს არჩევანი – ისინი დღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე სტუდენტები არიან. მათ წარმატებით ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები და პირველი ქართული უნივერსიტეტის კარები ღირსეულად შეაღეს. თსუ-ს ნდობას ხომ ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი უცხადებს! მათ წინ ლამაზი და სისხლსავსე სტუდენტური ცხოვრება ელოდებათ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩამბის შესაძლებლობაც ეძლევათ.

გვესაუბრება თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი ბესიკ გვენეტაძე:

თამარ მარუაშვილი

— რას ნიშნავს შენთვის გახდე სტუდენტი და რატომ აირჩიე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი?

— არჩევანი დიდი მქონდა, შემეძლო სხვა უნივერსიტეტშიც შევსულიყავი, როგორც ამას ზოგიერთი ახლობელი მირჩევდა, თუმცა მე მყარად მქონდა გადაწყვეტილი — თსუ-ში ჩამებარებინა. ჩემი არჩევანი განაპირობა უნივერსიტეტის დიდმა ტრადიციებმა და ვთვალი, რომ დღესაც, კერძო სასწავლებლებთან შედარებით, თსუ-ს გაცილებით უფრო მეტი შეუძლია შესთავაზოს სტუდენტს. ვიცი, რომ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაღალი კვალიფიკაციის პროფესორ-მასწავლებლები არიან და დარწმუნებული ვარ, მათი დახმარებით დიდ ცოდნას შევიძენ. გარდა ამისა, თსუ-ს დიდი კავშირები აქვს საზღვარგარეთის ქვეყნების უნივერსიტეტებთან, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მსურს, გაცვლით პროგრამებში მივიღო მონაწილეობა. დარწმუნებული ვარ, საუკეთესო არჩევანი გავაკეთე და მეამაყება, რომ თსუ-ის სტუდენტი გავხდი!

— რატომ გადაწყვიტე სწავლის გაგრძელება იურიდიულ ფაკულტეტზე?

— იურისპრუდენცია ბავშვობიდანვე მიზიდავდა. მიმაჩნია, რომ იურისტობა ძალზედ საინტერესო და საჭირო პროფესიაა. მომავალში ვფიქრობ საერთაშორისო სამართლის განხრით განვაგრძო სწავლა. ყოველთვის მაინტერესებდა განვითარების დონით საქართველოზე შედარებით მაღლა მდგომი ევროპული ქვეყნების კონსტიტუციები, კანონები, რადგან სწორედ სამართლებლივი ბაზაა იმის საფუძველი, სახელმწიფო რომ პროგრესულად განვითარდეს. მომავალში სიამოვნებით ვიმუშავებდი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, მაგალითად: ევროსაბჭოში, ნატოში, ეუთოში და ა.შ. იმედი მაქვს, საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის პირობებში ჩემი სპეციალობა ქვეყნისთვის საჭირო იქნება და შემეძლება ჩემი მოკრძალებული წვლილი შევიტანო ამ საქმეში.

— რისი მოლოდინი გაქვს, როგორ წარმოგიდგენია სტუდენტური ცხოვრება და საკუთარი თავი სტუდენტის ამპლუაში?

— ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება სწავლა! ვფიქრობ, სტუდენტობის წლები ერთ-ერთი საუკეთესო იქნება ჩემს ცხოვრებაში, უამრავ საინტერესო ადამიანს გავიცნობ და ახალ მეგობრებსაც შევიძენ. თუმცა, რა თქმა უნდა, ძირითადი პრიორიტეტი ცოდნის მიღება და პროფესიული უნარ-ჩვევების დაუფლება იქნება. დარწმუნებული ვარ, ჩემს მომავალ კოლეგებთან ერთად ეს პროცესი სასიამოვნოდ წარიმართება.

— ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შენ რას ფიქრობ, როგორ აფასებ სტუდენტობის ასეთ აქტიურობას და როგორ მოქალაქეობრივ პოზიციას აირჩევ?

— მიმაჩნია, რომ სტუდენტის პირდაპირი მოვალეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობაა. სტუდენტობა ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ფენაა, რომელსაც ყოველთვის აქვს ახალი იდეები, ინიციატივები და, რაც მთავარია, სურვილი, რომ ქვეყნის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანოს. მომავალში თანატოლებთან ერთად აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას სხვადასხვა სახის აქტივობებში. იმედი მაქვს, ეს საზოგადოებასაც წაადგება და ჩვენც, რადგან სტუდენტები დიდ გამოცდილებას შევიძენთ...

ძალიან მინდოდა, მესწავლა პირველ ქართულ უნივერსიტეტში

მედიცინის ფაკულტეტის პირველკურსელი თინათინ მანჯავიძე:

— რატომ გადაწყვიტეთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარება?

— ბავშვობიდან მინდოდა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გავმხდარიყავი.მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი უშუალოდ ეხება ჩემს სპეციალობას, არჩევანი მაინც თსუ-ზე შევაჩერე. ძალიან მინდოდა, მესწავლა პირველ ქართულ უნივერსიტეტში, ამავე დროს თსუ-ის დამთავრების შემდეგ მომავალში დასაქმების გაცილებით მეტ პერსპექტივას ვხედავ.

— რამ განაპირობა შენი მედიცინით დაინტერესება?

— ჩემი მშობლები სტომატოლოგები არიან და, თავისთავად, ამ ფაქტმა ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა.ბევრი მეკითხებოდა, თუ რატომ შევაჩერე არჩევანი თსუ-ზე და არა რომელიმე ახლად გახსნილ პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელზე. ამ კითხვის პასუხად ყოველთვის ვამბობ, რომ თსუ თავისი ისტორიით და შესაძლებლობებით მათ ბევრად უსწრებს წინ.

— როგორ წარმოგიდგენია უნივერსიტეტის სტუდენტობა? ჩაერთვები ახალგაზრდულ პროექტებში?

— რამდენიმე ჩემს კურსელს უკვე ვიცნობ და იმედი მაქვს, რომ მათთან ძალიან კარგი ურთიერთობა მექნება. რაც შეეხება პროფესორ-მასწავლებლებს, მათ პროფესიონალიზმში ეჭვი არ მეპარება. მინდა, რომ აქტიურად ჩავერთო სტუდენტური თვითმმართველობის პროექტებშიც. თუკი ჩემს ფაკულტეტზე იქნება რაიმე წრე, ასევე დიდი სიამოვნებით ჩავერთვები მათ მუშაობაშიც.

თსუ-ზე არჩევანი შედარებით დაბალი გადასახადის გამო შევაჩერე

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველკურსელი ლაშა ქავთარაძე:

— რატომ შეაჩერეთ თქვენი არჩევანი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე?

— მიმაჩნია, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაინც სახელმწიფო უნივერსიტეტია და მეტი რესურსი აქვს, რათა სტუდენტს კარგი განათლება მისცეს. მქონდა სხვა ალტერნატივაც, თუმცა თსუ-ზე არჩევანი შედარებით დაბალი გადასახადის გამო შევაჩერე. ვაღიარებ, რომ არა ფინანსური პრობლემები, სხვა უმაღლეს სასწავლებელში შევიტანდი საბუთებს.

— კონკრეტულად რომელ სპეციალობაზე გეგმავ სწავლის გაგრძელებას?

— სწავლის გაგრძელება ჟურნალისტიკის მიმართულებაზე მინდოდა, თუმცა შემდეგ, ახლობლების თხოვნით და, ასევე, ჩემი სურვილით გადავწყვიტე მესწავლა საერთაშორისო ურთიერთობებზე. ვფიქრობ, რომ ეს ძალიან საინტერესო სფეროა და დასაქმების მეტი პერსპექტივაა. ჟურნალისტიკას მეორად ფაკულტეტად მაინც ვირჩევ, რადგან არ მინდა ბავშვობის მიზანზე უარი ვთქვა. იმ შემთხვევაში, თუ ჟურნალისტიკამ უფრო მეტად დამაინტერესა, შესაძლოა მაგისტრატურაში სწავლა უკვე ჟურნალისტიკის მიმართულებაზე გავაგრძელო.

— როგორ წარმოგიდგენია უნივერსიტეტის სტუდენტობა? ჩაერთვები თუ არა ახალგაზრდულ პროექტებში?

— გადმოცემით ვიცი, რომ უნივერსიტეტში ძალიან კარგი სპეციალისტები ასწავლიან და ევროპული სტანდარტები ინერგება, ამიტომ იმედი მაქვს, რომ ისეთ განათლებას მივიღებ, რომელიც მომავალში ცხოვრებას გამიადვილებს. მინდა, სწავლა საზღვარგარეთაც გავაგრძელო — ეს ჩემი ერთ-ერთი მთავარი მიზანია.

რაც შეეხება ჩემს თავისუფალ დროს, მინდა, ეს დრო სასარგებლოდ გამოვიყენო. ვიცი, რომ უნივერსიტეტში არსებობს ლიტერატურული წრეები. სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას მწერლებთან, პოეტებთან თუ საზოგადო მოღვაწეებთან გამართულ შეხვედრებში.

თავი ერთ-ერთ აქტიურ და ინიციატივიან სტუდენტად წარმოიდგენია

თამარ მარუაშვილი

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პირველკურსელი მარი მეხრიშვილი:

— სტუდენტობა ყველა აბიტურიენტის ოცნებაა... რას ნიშნავს შენთვის გახდე თსუ-ის სტუდენტი? რატომ აირჩიე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი?

— ცხოვრებაში ბევრს არ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდეს. ეს არის უდიდესი პატივი და დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც სიამაყის საფუძველს მაძლევს. რატომ მაინცდამაინც თსუ? მართალი გითხრათ, ამაზე ბევრი არც მიფიქრია, რადგან სწავლის დონე, ასევე, შემოქმედებითი ასპარეზი აქ საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანია. მიმაჩნია, რომ დიდი მონდომების შემთხვევაში შევძლებ მივაღწიო დასახულ მიზანს.

— რატომ გადაწყვიტე სწავლის გაგრძელება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე?

— ეკონომიკამ და ბიზნესის სფერომ პირველად მაშინ დამაინტერესა, როდესაც ტელევიზიით გადიოდა რეალითი-შოუ ,,კანდიდატი", ყურადღებით ვუყურებდი როგორი აზარტით ართმევდნენ თავს კანდიდატები დავალებებს. სწორედ მაშინ გამიჩნდა სურვილი, მსგავს პროექტებში მონაწილეობა მიმეღო, ამისათვის კი, სურვილის გარდა, შესაბამისი კარგი განათლების მიღება და შემოქმედებითი უნარის განვითარებაა საჭირო, რასაც, ვფიქრობ, არჩეულ ფაკულტეტზე შევიძენ. ჩემს მომავალ სპეციალობადაც ბიზნესის ადმინისტრირება მესახება.

— რა მოლოდინი გაქვს, როგორ წარმოგიდგენია სტუდენტური ცხოვრება და საკუთარი თავი სტუდენტის ამპლუაში...

— სკოლაში სწავლისას საკმაოდ აქტიური ვიყავი: დავამთავრე მუსიკალური შვიდწლედი და კოლეჯი, ვუკრავდი ინსტუმენტულ ანსამბლში, ვეუფლებოდი საესტრადო და ხალხურ სიმღერებსაც, ამიტომ დიდი მოლოდინი მაქვს, რომ სტუდენტობა კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას მომცემს ფრთები შევასხა ჩემს ოცნებებს... გავხდე ნამდვილი პროფესიონალი, გავიცნო ნიჭიერი და საინტერესო ადამიანები, მივიღო საფუძვლიანი განათლება არა მარტო ძირითად სპეციალობაში, არამედ სხვადასხვა შემოქმედებით სფეროშიც და, გარდა ამისა, თავად განვახორციელო არაერთი საინტერესო პროექტი. იმედია, ძალიან ამბიციური არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ თავი ერთ-ერთ აქტიურ და ინიციატივიან სტუდენტად წარმოიდგენია.

— ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ყოველთვის ამბობდნენ თავის სიტყვას და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში. შენ რას ფიქრობ, როგორ უყურებ სტუდენტობის ასეთ აქტიურობას და რა მოქალაქეობრივ პოზიციას აირჩევ ამ მიმართულებით?

— ვფიქრობ, უკვე იმ ასაკში ვართ, რომ შეგვიძლია მოვლენების საღი და ადეკვატური შეფასება, ჩვენი პოზიციის დაფიქსირებაც და ამ პოზიციისთვის ბრძოლაც, ამიტომ მივესალმები იმ ფაქტს, რომ სტუდენტები მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის ბედის გადაწყვეტაში. ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ ყველა მოქალაქის ვალია მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის განვითარებაში. მაგრამ ვფიქრობ, ბევრი სტუდენტი დღეს დემაგოგიური საუბრებით შემოიფარგლება, მათ აქტიურობას აკლია პროფესიონალიზმი, ზნეობრივი სიღრმე. სწორედ ამიტომ, ვაპირებ ჩემი პროფესიის ღრმად დაუფლებას, რომ აქტიურად ჩავება ჩემი ქვეყნის მომავლის მშენებლობაში.

— რას უსურვებდი ქართველ სტუდენტობას და როგორ მიმართავდი თსუ-ის პროფესორ-მასწავლებელებს?

— ქართველ სტუდენტებს (ჩემი ჩათვლით) ვუსურვებ, გულისყურით მოეკიდონ სწავლა-განათლებას, ეცადონ სრულყონ საკუთარი თავი და მაქსიმალურად გამოიყენონ უნივერსიტეტში გატარებული წლები. ეს დადებითად იმოქმედებს როგორც ჩვენს კარიერაზე, ასევე ქვეყნის მომავალზეც. პროფესორ-მასწავლებლებს კი ღრმა მოწიწებით მივმართავ, რომ მაქსიმალურად დაიხარჯონ, საკუთარი ცოდნა და გამოცდილება გაგვიზიარონ და მხარში ამოგვიდგნენ.

მიხარია, რომ ახალ სასწავლო წელს თსუ-ის კარებს შევაღებ

სასწავლო წლის დაწყება, ალბათ, ისე არავის უხარია, როგორც პირველკურსელს. ეს გრძნობა ყველასთვის, ვისაც სტუდენტობის პატივი რგებია, ნაცნობია: განსაკუთრებული ღელვა და მზადება, ახალი მეგობრების გაცნობის, პროფესორ მასწავლებლებთან პირველი შეხვედრის, მომავლის გეგმებზე ოცნების რეალობასთან მიახლოების სიხარული... ნინო აფციაურს სიხარულის საბაბი ნამდვილად აქვს: მან წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და დიდი ხნის ოცნება აისრულა: ახლა იგი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტია. არჩევანზეც დიდხანს არ უფიქრია: მისი სურვილია საფუძვლიანად შეისწავლოს ძველი ქართული ლიტერატურა და სამეცნიერო მუშაობაში აქტიურად ჩაებას, თუმცა იმასაც კარგად აცნობიერებს, რომ ამ სფეროში მუშაობა ადვილი არ იქნება, მაგრამ მას შესაშური შემართება, თავისი თავის რწმენა და ახალგაზრდული ენერგია აქვს.

შურთხია ბეროშვილი

— ***ერთიანი ეროვნული გამოცდები იძლევა იმის საშუალებას, რომ ახალგაზრდამ რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელს შორის გააკეთოს არჩევანი. შენ ჩამონათვალში პირველი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გეწერა. რამ განაპირობა შენი გადაწყვეტილება?***

— ჩემთვის ივანე ჯავახიშვილის დაარსებულ უნივერსიტეტში სწავლა უდიდესი პატივია. ეს, ნაწილობრივ, ჩემი მშობლების დამსახურებაცაა. ამ კედლებში ქართული მეცნიერების კორიფეები მოღვაწეობდნენ, აქ სხვა ენერგეტიკაა, ამიტომ განსაკუთრებულად მიხარია, რომ ახალ სასწავლო წელს უნივერსიტეტის კარებს შევაღებ. მიმაჩნია, რომ იმ მიზნებისა და ოცნებების რეალიზებას, რომელიც ამჟამად მაქვს, ყველაზე მეტად აქ შევძლებ. მოუთმენლად ველი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან და ახალ მეგობრებთან შეხვედრას.

— ***შენ ერთ-ერთ მაღალრეიტინგულ პირველკურსელთა შორის დაგასახელეს. რა შედეგებით მოხვდი უნივერსიტეტში?***

— ქართულ ენასა და ლიტერატურაში 97 ქულა მოვაგროვე, უცხო ენაში (გერმანული), — 93, ზოგად უნარებში — 77, ლიტერატურაში — 90. გამოცდებზე ძალიან ვღელავდი, მაგრამ ყველაფერი კარგად დამთავრდა. განსაკუთრებით გახარებული ვარ, რომ სრული დაფინანსება მოვიპოვე.

— ***თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სპეციალობების დიდი არჩევანია, შენ რა გეგმები გაქვს, რომელ მიმართულებაზე გსურს სწავლის გაგრძელება?***

— სამომავლო პროფესია სკოლიდანვე განვსაზღვრე. ვმონაწილეობდი სხვადასხვა კონკურსებში. ჩემმა ნაშრომმა: „საქართველო და ქრისტიანობა“ რესპუბლიკურ კონკურსში პირველი ადგილი დაიმსახურა. ძალიან მიყვარს ქართული ლიტერატურა, განსაკუთრებით ძველი ქართული მწერლობა, რაც ჩემი პედაგოგის მადონა ძნელაძის დამსახურებაა. კვლავაც მინდა, ამ სფეროში სამეცნიერო მუშაობა გავაგრძელო. ამიტომ ქართული ფილოლოგია ავირჩიე. ვიცი, მიზნის მისაღწევად დიდი შრომა დამჭირდება და ამისათვის მზად ვარ.

— ***რამდენად აქტიურად ჩაებმები სტუდენტურ ცხოვრებაში?***

— ვიცი, რომ უნივერსიტეტში მრავალი საინტერესო ღონისძიება ტარდება. ვეცდები, აქტიური მონაწილეობა მივიღო საუნივერსიტეტო ცხოვრებაში და ეს წლები ლამაზად და შინაარსიანად გავატარო.

უნივერსიტეტი არის სამოქალაქო ღირებულებების პროპაგანდისტი

ინტერვიუ თსუ-ის სოციოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელთან იაგო კაჭკაჭიშვილთან

სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო, ნათქვამია — ამ მოსაზრებას დღეს სტუდენტობის დიდი ნაწილი თავისი ქმედებით ამყარებს, რადგან უმეტესობა პოლიტიკური პროცესებისგან მიღმა დგომას ამჯობინებს პოლიტიკურ ეპიცენტრში ყოფნას და ეს ალბათ გასაგებიც არის. სწორედ ამიტომ „უვრცელებენ" სტუდენტებს ხმებს იმის შესახებ, რომ ისინი პასიურობენ და არ ერთვებიან ქვეყნის მშენებლობის პროცესში. სიმართლე კი ერთადერთია — სტუდენტების უმეტესობა პოლიტიკას ერიდება, რადგან არ სურს რომელიმე ჯგუფის გავლენის ქვეშ მოექცეს. რაც შეეხება ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროცესებში მონაწილეობის მიღებას, ისინი არასდროს გაურბოდნენ ბრძოლის რიგებში ჩადგომას და ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება, თუკი წინა პლანზე წამოიწევს არა პოლიტიკური დავები, არამედ ფასეულ ღირებულებათა „ომი". სწორედ ამ აქცენტით ვცდილობთ საუნივერსიტეტო სივრცეში იმის გარკვევას, თუ რამდენად აყალიბებს უმაღლესი სასწავლებელი სტუდენტს ღირსეულ მოქალაქედ? ამის შესახებ სოციოლოგი იაგო კაჭკაჭიშვილი გვესაუბრება.

ნინო კაკულია

— ***უნივერსიტეტი მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულება როდია, უნივერსიტეტის წარსულ ისტორიას თუ გადავხედავთ, შესაბამის დასკვნასაც გავაკეთებთ, რომ სწორედ აქ იძენენ ადამიანები სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობას. რამდენად კეთდება აქცენტი დღესაც ამ მიმართულებით?***

— რასაკვირველია, უნივერსიტეტი არ არის მხოლოდ აკადემიური დაწესებულება, სასწავლო ორგანიზაცია, სადაც მხოლოდ ცოდნას ეუფლებიან და სადაც ამა თუ იმ დარგში კვალიფიციურ სპეციალისტებად ყალიბდებიან. უნივერსიტეტის ძირითადი მისია მართლაც არის სწავლის მსურველი ახალგაზრდების პროფესიონალებად ჩამოყალიბება, მაგრამ გარდა ამისა, უნივერსიტეტი არის სამოქალაქო ღირებულებების პროპაგანდისტი, თუ შეიძლება ასე ითქვას. მისი დანიშნულებაა ადამიანების ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბება. რას ნიშნავს ღირსეული მოქალაქე? ღირსეულ მოქალაქედ ყოფნა ნიშნავს პოლიტიკური იდეოლოგიისაგან თავისუფლებას. ეს არ გულისხმობს პოლიტიკისაგან გარეთ დგომას. ქვეყნისთვის კრიტიკული პერიოდების დროს სტუდენტობა ყოველთვის იყო პროგრესული პროცესების კატალიზატორი, ანუ სტუდენტობა არასოდეს იდგა პოლიტიკის მიღმა, მაგრამ ერთია მონაწილეობდე პოლიტიკაში, როგორც თავისუფალი მოქალაქე, როგორც გარკვეული ღირებულებების მატარებელი ადამიანი და მეორეა — იყო რომელიღაც პოლიტიკურ პარტიასთან, პოლიტიკურ ჯგუფთან, პოლიტიკურ იდეოლოგიასთან ასოცირებული. მიმაჩნია, რომ ღირსეულ მოქალაქედ ყოფნა სტუდენტისთვის ნიშნავს პოლიტიკურად არაანგაჟირებულობას. შეიძლება თანაუგრძნობდე რომელიმე პოლიტიკურ პარტიას, მაგრამ არ უნდა იყო პარტიული იდეოლოგიის ხისტი დამცველი და უკრიტიკოდ გამტარებელი. პირიქით, სტუდენტი უნდა იყოს „ღია“ ნებისმიერი ჯანსაღი ინოვაციისთვის, „ერთგანზომილებიან“ ადამიანად ქცევა მას მხოლოდ ჩრდილს აყენებს.

მახსენდება ძველი დრო — მე მაშინ ჩავბარე უნივერსიტეტში, როდესაც კომუნისტური პარტია იყო ერთადერთი „ჰუმანური" პარტია. ჩვენ გვზრდიდნენ კომუნისტური, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით და ნებისმიერი საკითხი, ნებისმიერი პრობლემა უნდა გადაგვეწყვიტა ამ იდეოლოგიის პრინციპების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ხვდებოდა, რომ კომუნისტური რეჟიმის მორყევის ფონზე ქვეყანაში მნიშვნელოვანი ცვლილებების დრო მომწიფებულიყო, მაინც აშკარა იყო – რა დეგრადაციას იწვევდა ერთი იდეოლოგიის ტყვეობაში ყოფნა. ამიტომ ღირსეულ მოქალაქედ ჩამოყალიბება გულისხმობს არაიდეოლოგიური ცნობიერების არსებობას. ღირსეული მოქალაქე უნდა იყოს თავისუფალი და ყველაზე მეტად თავისუფლების ეს ხარისხი, წესით, სტუდენტში უნდა ბუდობდეს. სტუდენტები უნდა მისწრაფოდნენ — იყვნენ დამოუკიდებელნი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და არ უნდა იქცნენ რომელიღაც ჯგუფების ინტერესების გამომხატველად. სხვათა შორის ჩემს დროსაც იყო და ბოლო პერიოდშიც გამოიკვეთა სტუდენტებით მანიპულირების ტენდენციები გარკვეული, თუნდაც შიდა საუნივერსიტეტო, საკითხების გადაწყვეტისას.

როდესაც ვსაუბრობთ ღირსეულ მოქალაქედ ჩამოყალიბებაზე, აუცილებლად უნდა ვიგულისხმოთ ისიც, რომ სტუდენტს უნივერსიტეტში სწავლის დროს უნდა ჰქონდეს სამართლიანობის განცდა, პირველ რიგში, სასწავლო პროცესთან მიმართებაში. სტუდენტი უნდა ისწრაფოდეს იმისკენ, რომ მან ცოდნა და შეფასება მოიპოვოს ყოველგვარი პროტექციის გარეშე და არ დაუშვას ის მანკიერებანი, რაც ჩემი სტუდენტობის დროს „მოდაში“ იყო. მახსოვს, ზოგიერთი სტუდენტი უნივერსიტეტში მხოლოდ პროტექციის იმედად იყო და მას ჰქონდა მოლოდინი იმისა, რომ იმისდა მიუხედავად — ისწავლიდა თუ არა, გამოჩნდებოდა ვიღაც მფარველი, რომელიც უნივერსიტეტში კომფორტულ გარემოს შეუქმნიდა. სხვა სტუდენტებში ეს „პარაზიტობა“ უსამართლობის განცდას იწვევდა. დღეს პროტექციონიზმის ჭია ნაკლებად გვაწუხებს, რადგან თავად სწავლების და შეფასების სტანდარტები შეიცვალა. დღეს წერითი გამოცდა და ტესტირება არის ცოდნის შეფასების მთავარი საფუძველი, რაც იმის პირობას ქმნის, რომ სტუდენტი მიიღებს იმას, რაც ეკუთვნის – შევსებული ტესტი არის წერილობითი დოკუმენტი, რომელსაც შეუძლია დაადასტუროს შეფასების ობიექტურობა ან არაობიექტურობა. ჩვენ დროს, როცა მხოლოდ ზეპირი გამოცდა არსებობდა, ლექტორს შეეძლო ყოფილიყო სუბიექტური და

თვითნებური სტუდენტის შეფასებისას. დღეს კი თავად შეფასების არსებული სისტემა ზღუდავს პროტექციონიზმს.

— ***ამ ბოლო პერიოდში, ხშირად მსმენია, რომ უნივერსიტეტის სტუდენტობა არაფერზე აღარ რეაგირებს. თქვენი აზრით, სტუდენტებმა ხომ არ დაკარგეს აქტიურობის სტიმული ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას?***

— ასეთი მოსაზრება იცით რატომ გაბატონდა? საბჭოთა პერიოდში სტუდენტების აქტიურობა აღიქმებოდა, როგორც დისიდენტური აქტიურობა. მაშინ სტუდენტებს უხდებოდათ ისეთ პირობებში ცხოვრება, როდესაც თავისუფალი სიტყვის ან თავისუფალი აზრის რეალიზაციის შანსი არ ჰქონდათ. სტუდენტს შეეძლო ქუჩაში გამოსვლით, პროკლამაციების გავრცელებით ან აუდიტორიაში ამბოხით და ა.შ. შეექმნა დისიდენტური გარემო, რომელიც უბრალოდ კი არ ჩანდა, არამედ „ყვიროდა“. დღეს სტუდენტებს, ისევე როგორც საზოგადოებას, საბედნიეროდ, აქვს საკუთარი აზრის სხვადასხვა ფორმით და სხვადასხვა ასპარეზზე გამოთქმის საშუალება. მაგალითად, თუ სტუდენტს უნივერსიტეტის ფარგლებში შეუძლია საკუთარი გაზეთი გამოსცეს და იქ დაწეროს ის, რაც უნდა, თუ სტუდენტს შეუძლია გამოვიდეს მედიის ყველა საშუალებით და ილაპარაკოს იმ პრობლემებზე, რაც აწუხებს – ეს ნიშნავს, რომ სტუდენტი სხვადასხვა ინსტიტუციური გზებით ამბობს თავის სათქმელს. ადრე ამის შესაძლებლობა არ იყო და ამიტომ სტუდენტის აქტიურობა უფრო ხილული იყო. მე არ ვფიქრობ, რომ სტუდენტები დღეს პასიურები არიან.

გარდა ამისა, დღევანდელ სტუდენტს აქვს ძალაუფლების გაცილებით მეტი ხარისხი, ვიდრე ეს იყო საბჭოთა პერიოდში. სოციოლოგი ენტონი გიდენსი ამბობს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში ძალაუფლებას არა აქვს ერთი მიმართულება – ზემოდან ქვემოთ, ანუ ძალაუფლებას აქვს ორპოლუსიანი ვექტორი და ეს ორი პოლუსი ერთმანეთს აბალანსებს. დღეს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და სტუდენტები სწორედ ასეთ ორპოლუსიან სისტემაში თანაარსებობენ. ჩემი სტუდენტობის დროს პედაგოგი იყო ყველაფრის ბატონ-პატრონი სტუდენტთან მიმართებაში. დღეს სტუდენტზე ლექტორიც არის დამოკიდებული, სტუდენტის ძალაუფლების ველში ისიც ექცევა, რადგან სტუდენტს შეუძლია, აგირჩიოს. თუ პედაგოგი არ ვარგა, თუ ის ამა თუ იმ საგანს ცუდად კითხულობს, შეიძლება სტუდენტის არჩევანის მიღმა დარჩეს და ეს ამ ლექტორის უნივერსიტეტს გარეთ დარჩენის წინაპირობაც იქნება. დღეს სტუდენტთა შეფასებაც განსაზღვრავს ლექტორის ყოფნა-არყოფნის საკითხს უნივერსიტეტში. ბევრ უნივერსიტეტში რექტორიც პირდაპირი არჩევნების გზით აირჩევა, რომელშიც სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ. ასე რომ, სტუდენტი დღეს არის გაცილებით უფრო უფლებამოსილი და არა უფლებააყრილი, ვიდრე ეს იყო წარსულ პერიოდში და ეს ძალიან კარგია.

— ***თქვენი აზრით, არსებობს თუ არა ორმხრივი ურთიერთობა უნივერსიტეტსა და სახელმწიფოს შორის იმ გაგებით, რომ ხელისუფლებამ უნივერსიტეტის მეცნიერ-ექსპერტთა აზრი, გამოცდილება, პოტენციალი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში გამოიყენოს?***

— ეს არის სამწუხარო რეალობა, როდესაც უნივერსიტეტები ჩაკეტილნი არიან საკუთარ ფუნქციებსა და საზღვრებში და არ ხდება მეცნიერ-ექსპერტთა აქტიური ჩართვა ქვეყნის მშენებლობის პროცესში. თუ გავიზიარებთ იმას, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ექსპერტული აზრის გათვალისწინება სწორი გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთი წინაპირობაა, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ეს კავშირი უნივერსიტეტსა და სახელმწიფოს შორის ძალიან სუსტია. მიმაჩნია, რომ უნივერსიტეტში არსებული ექსპერტთა პოტენციალი არა სათანადოდ არის გამოყენებული ამა თუ იმ სფეროში. ჩვენ, სამწუხაროდ, ვცხოვრობთ ავტორიტარულ გარემოში, სადაც გადაწყვეტილებები არ არის „ჩაშვებული“ დისკუსიაში, კამათში, არ ხდება მათი კულტივირება ექსპერტულ ნიადაგზე... სწორედ ამიტომ გადაწყვეტილებები მიიღება თვითნებურად, რაც ისეთი შეცდომების წყარო ხდება, რომელთა გამოსწორება უკვე დაგვიანებულია. გაცილებით ჯანსაღი პროცესია, როდესაც ქვეყნის ცხოვრებაში და გადაწყვეტილებების მიღებაში ჩართულნი არიან განსხვავებული მოსაზრებების მატარებელი ექსპერტები და გადაწყვეტილებები მიიღება სხვადასხვა მოსაზრებათა კრიტიკული შეჯერების საფუძველზე. ეს კულტურა ჩვენთან არ არის – ჩვენ ჯერ მართვის დემოკრატიულ სტილზე არ გადავსულვართ.

საბედნიეროდ, ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალი უნივერსიტეტში ნამდვილად არის თავმოყრილი – მართალია, გარკვეული უსამართლობები ამ მიმართულებით მოხდა, მაგრამ უნივერსიტეტში მუშაობენ მეტ-ნაკლებად წონიანი ექსპერტები. კარგი იქნება, თუ ისინი ჩართულნი იქნებიან გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სახელმწიფოს დონეზე.

პირველი ეროვნული უნივერსიტეტი კავკასიაში

ყველა ერს აქვს გამორჩეული თარიღები, რომლებთანაც ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენებია დაკავშირებული. 1918 წლიდან 26 იანვარი (ახალი სტილით, 8 თებერვალი) ქართველი ხალხის ცნობიერებაში ორმაგად მნიშვნელოვან თარიღად იქცა. მანამდე იგი საქართველოს ყველაზე დიდი მეფისა და წმინდანის დავით აღმაშენებლის ხსენების დღე იყო, ხოლო 1918 წლიდან მან ქართული საუნივერსიტეტო განათლების დასაბამის სიმბოლური მნიშვნელობაც შეიძინა. 90 წლის წინათ, 26 იანვარს, თბილისის გარეუბანში ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში საზეიმოდ გაიხსნა კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი, რომელმაც, ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით, საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ევროპული ტიპის უმაღლეს სკოლას და ხელი შეუწყო კავკასიაში საუნივერსიტეტო განათლების აღორძინებას.

ზურაბ გაიპარაშვილი

XIX საუკუნის სამოციან წლებში საქართველოში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ახალი თაობა, დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, რომელთანაც დაკავშირებულია სულიერი აღორძინების ახალი ეტაპი საქართველოს ისტორიაში. ამ წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლა.

უმაღლესი სკოლის დაარსების რეალური შესაძლებლობები კიდევ უფრო გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც თბილისში დაარსდა სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი. იგი რუსეთის იმპერიაში არსებულ ბანკებს შორის ერთადერთი იყო, რომელიც თავის შემოსავალს წოდებრივი დანიშნულებით კი არ იყენებდა, არამედ ერის კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეურნეო ინტერესებს ახმარდა.

ქართული კულტურისა და განათლების გადარჩენა-განვითარების, აგრეთვე ეროვნული მეცნიერული საქმიანობის ორგანიზების ხელშეწყობის საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ,,ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ" და ,,საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ", რომელთა წევრები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ საქართველოში უმაღლესი სკოლის დასაარსებლად.

XX საუკუნის დასაწყისიდან ქართული უნივერსიტეტის დაფუძნების მისია პეტერბურგის უნივერსიტეტის აღზრდილმა და მისმა პრივატ-დოცენტმა ივანე ჯავახიშვილმა იკისრა. იგი სამართლიანად ითვლება ილია ჭავჭავაძის გზის გამგრძელებლად ქართული ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნება-გაძლიერების თვალსაზრისით.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსებაზე საუბარს მუდმივად თან ახლდა პოლემიკა ქართულ საზოგადოებრიობაში იმის თაობაზე, თუ რა სახის უმაღლესი სასწავლებელი უნდა გახსნილიყო – პოლიტექნიკური ინსტიტუტი თუ უნივერსიტეტი? პრაქტიკული მოსაზრებით საქართველოს, როგორც აგრარულ ქვეყანას, ინსტიტუტის ტიპის სასწავლებელი ნამდვილად ესაჭიროებოდა. ამ იდეას მხარს ისეთი გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწენი უჭერდნენ, როგორებიც იყვნენ ნიკო ნიკოლაძე, ვასილ პეტრიაშვილი, პეტრე მელიქიშვილი და სხვები. ამ საკითხის ირგვლივ ცხარე კამათი 1917 წლის დასაწყისში პეტერბურგში მცხოვრებ ქართველთა შორის კვლავ განახლდა. თემა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მის ირგვლივ კინოთატრ ,,ელიტაში" შეკრებილმა საზოგადოებამ საგანგებოდ იმსჯელა. ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება თბილისში უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ და საზოგადოებას ქართული უნივერსიტეტის პროექტის მონახაზი, აგრეთვე ის სამართლებრივი საფუძვლები გააცნო, რომელსაც 1914 წელს კერძო უმაღლესი სასწავლებლების შესახებ კანონის გამოსვლა იძლეოდა. ივანე ჯავახიშვილი რუსეთში მყოფ ქართველ მეცნიერებს სამშობლოში გამომგზავრებისაკენ მოუწოდებდა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის პირველსავე დღეებში პეტროგრადში ივანე ჯავახიშვილის ბინაში შეკრებილი ქართველ მეცნიერთა ჯგუფი სულ უფრო გაცხოველებით მსჯელობდა საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის გახსნის თაობაზე. მათ რუსეთის დროებითი მთავრობისგან მხარდაჭერის მოპოვებაც სცადეს, მაგრამ ამაოდ...

ივ. ჯავახიშვილი სამშობლოში 1917 წლის გაზაფხულზე დაბრუნდა. 12 მაისს თბილისში, პეტრე მელიქიშვილის ბინაში შეკრებილებმა დააფუძნეს ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის საზოგადოება, რომელმაც დიდი როლი ითამაშა უნივერსიტეტის დაარსების საქმეში.

ამ კრებაზე სიტყვით გამოსულმა ივ. ჯავახიშვილმა ვრცლად ისაუბრა და დაასაბუთა ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობა. ,,ქართული უნივერსიტეტი ერთსა და იმავე დროს სამეცნიერო კვლევა-ძიების და ცდის დაწესებულებაც უნდა იყოს და უმაღლესი სამეცნიერო სასწავლებელიც, სადაც მეცნიერების შესწავლა და სამეცნიერო მუშაობის მეთოდების და პრაქტიკის შეთვისება შესაძლებელი იქნება. ამ უნივერსიტეტის პროფესორები და ხელმძღვანელნი მარტო ლექციების მკითხველნი კი არ უნდა იყვნენ, არამედ უპირველესად ყოვლისა მეცნიერნი და მკვლევარნი, რომელნიც თავიანთ ნაშრომებით მეცნიერების წარმატებას უნდა უწყობდნენ ხელს და მეცნიერებაზე ცხოველ მისაბაძავი მაგალითიც იყვნენ მოზარდ თაობისათვის", — ამბობდა ივანე ჯავახიშვილი.

რუსეთის ხელისუფლებამ სცადა, თბილისში ქართული უნივერსიტეტისათვის ამიერკავკასიის რუსული უნივერსიტეტის დაარსების იდეა დაპირისპირებინა და ამით დაებრკოლებინა ეროვნული უმაღლესი სკოლის გახსნა.

მართლაც, მეტისმეტად რთულ პირობებში, ურთიერთდაპირისპირებისა და ბრძოლის ფონზე, რუსეთის მთავრობის ძალისხმევით, 1917 წელს თბილისში რუსული უნივერსიტეტი დაარსდა. რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა, კავკასიის რუსული და თბილისის ქართული უნივერსიტეტების გახსნასთან დაკავშირებით, ურთიერთდაპირისპირების საფუძველზე, შიდა კონფლიქტების გაღვივებას და ასეთი გზით ქართული ეროვნული ინტერესების მიმართულებით ყურადღების მოდუნებას, თუმცა ისიც ფაქტია, რომ რევოლუციებისგან შერყეული რუსეთის ხელისუფლებას უკვე აღარ შესწევდა ძალა იმ პოლიტიკური დაპირისპირების ინსპირირებისათვის, რომელსაც მრავალი ათეული წლის განმავლობაში აწარმოებდა თავის გუბერნიებში. თბილისში მოქმედმა კავკასიის უნივერსიტეტმა ცოტა ხანში, რუსეთის მთავრობის სახით, დაკარგა ძლიერი მხარდამჭერი, როგორც ფინანსური, ასევე საკადრო თვალსაზრისით. კავკასიის უნივერსიტეტმა 1920 წელს არსებობა შეწყვიტა.

ამაოდ ელოდა ქართველობა რუსეთის განათლების სამინისტროში გაგზავნილი ქართულიუნივერსიტეტის წესდების დამტკიცებას. 1914 წლის კანონის (კერძო სასწავლებლებთან დაკავშირებით) თანახმად, კერძო უმაღლესი სასწავლებლის გახსნა მთავრობის გვერდის ავლითაც შეიძლებოდა, მაგრამ ეს საჭირო გახდა იმისთვის, რომ უნივერსიტეტს მისცემოდა პროფესორებისათვის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლება.

პეტერბურგიდან პასუხი არ მოვიდა, რუსეთის მთავრობა არ აპირებდა ქართული უნივერსიტეტის გახსნაზე თანხმობის მიცემას. საბოლოოდ, წესდების ძირითადი დებულებანი 1917 წლის 2 დეკემბერს ამიერკავკასიის კომისარიატმა დაამტკიცა, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო ყველა, კეთილისმსურველიცა და ხელისშემშლელიც, ივანე ჯავახიშვილს ურჩევდა, უნივერსიტეტის გახსნა მომავალი წლის სექტემბრამდე გადაედო. ჯავახიშვილი თითქმის მარტო დარჩა მოზღვავებული პრობლემების წინაშე, მაგრამ მისმა მხნეობამ, ოპტიმიზმმა და ლოგიკურმა დასაბუთებამ — რომ თუ 1918 წლის დასაწყისში არა, ცხრა თვის შემდეგ კიდევ უფრო უპერსპექტივო იქნებოდა უნივერსიტეტის გახსნა, — დაარწმუნა მისი თანამებრძოლების მცირერიცხოვანი გუნდის წევრები და დეკემბრის ბოლოს პრესაში უკვე გაჩნდა განცხადება ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტების მიღების შესახებ.

პირველი ქართული უნივერსიტეტის გახსნას, 50 წლის გადასახედიდან, 1968 წელს ემიგრაციაში მყოფმა პარიზის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარემ, პუბლიცისტმა ლევან ზურაბიშვილმა სამართლიანად უწოდა „საქართველოს გონების სუვერენობის აღდგენა".

კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი — თბილისის უნივერსიტეტი ქართველი ხალხის მხარდაჭერითა და სამშობლოს სიყვარულით ანთებული, გულმხურვალე პატრიოტ მეცნიერთა ძალისხმევით დაფუძნდა, მაგრამ მაინც გამორჩეულია ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი. უნივერსიტეტის პირველი რექტორი პეტრე მელიქიშვილი ამბობდა: ,,ივანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთადერთი დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა, აქ მას ვერავინ შეეტოქება და შეეზიარება".

ქართული უნივერსიტეტი უფრო დიდი იყო, ვიდრე სასწავლო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულება. შემთხვევითი ალბათ არ იყო, რომ უნივერსიტეტის სტუდენტთა პირველსავე თაობას მოუწია ისეთი მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩენილიყო, რომლებმაც ჩვენი ქვეყნის ისტორიული გეზი შეცვალეს. პირველმა სტუდენტებმა შემდგომ თაობებს პატრიოტიზმისა და ჰუმანიზმის ზნეობრივი მაგალითები დაუტოვეს.

ივანე ჯავახიშვილი როდესაც ასაბუთებდა — ,,სულ სხვაა უნივერსიტეტიო", მან ყველაზე უკეთ უწყოდა, რომ უნივერსიტეტის დაარსებით ქართველობა ეროვნული თვითმყოფადობის, დამოუკიდებლობის შენარჩუნებასა და დიდი ქართული კულტურის ჩაწყვეტილი ხიდების აღდგენას ცდილობდა. უნივერსიტეტმა ეს თავისი არსებობის 90 წლის განმავლობაში მრავალი მაგალითით დაადასტურა. ფაქტობრივად, დაარსების პირველსავე წლებში, როდესაც არათუ მეცნიერული აზროვნების ტრადიცია არ არსებობდა, არამედ მშობლიურ ენაზე საუბარიც კი აღარ ისმოდა ქართულ ოჯახებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საფუძველი ჩაუყარა ეროვნულ სამეცნიერო ტერმინოლოგიურ სისტემას და შექმნა მსოფლიოში სახელგანთქმული ქართული სამეცნიერო სკოლები და დარგები...

1921 წელს საქართველოში განვითარებული ურთულესი კატაკლიზმები მძიმედ აისახა უნივერსიტეტის ცხოვრებაზეც. სამიოდე წლის წინ მოპოვებულ დამოუკიდებლობას საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია მოჰყვა. დამფუძნებელმა კრებამ ქართველ ახალგაზრდობას სრულიად საქართველოს სამშობლოს დასაცავად მოუწოდა. ამ მოწოდებას აქტიურად დაუჭირეს მხარი უნივერსიტეტის პროფესორებმა და სტუდენტობამ. სამშობლოს თავისუფლებისათვის ომში მიმავალ სტუდენტებს ბრძოლის გზა დაულოცა უნივერსიტეტის რექტორმა.

ელვის უსწრაფესად იცვლებოდა ვითარება ფრონტზე, ამის შესაბამისად ტარდებოდა მთელი რიგი ღონისძიებები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის რექტორმა ივ. ჯავახიშვილმა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან არსებულ თავდაცვის კომიტეტს წერილით მიმართა: „პატივი გვაქვს წერილობით გაცნობოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დადგენილება, მიღებული სასწრაფოდ მოწვეულს საგანგებო სხდომაზე 16 თებერვალს 1921 წელს, ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის გამო, რომელიც სიტყვიერად იმავე დღეს მოგახსენეთ. ა) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, დოცენტები, ლექტორები, ასისტენტები და საზოგადოდ სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის წევრები მზად არიან ყველანი, მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება და სიცოცხლე შესწირონ საფრთხეში მყოფის ძვირფასი სამშობლოს თავისუფლების დაცვის საქმეს და სთხოვონ კომიტეტს, რათა მათი გონებრივი თუ ფიზიკური ძალა გამოიყენოს ისე, როგორც მას საუმჯობესოდ მიაჩნია სამშობლოს დაცვის მიზნებისათვის. ბ) უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ლაბორატორიებისა და სამკურნალო ფაკულტეტის კლინიკების კარები ღიაა ომის საჭიროებისათვის." ქართველმა იუნკრებმა თავგანწირული წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს კოჯრის მისადგომებთან. ქართული ჯარი სისხლისაგან იცლებოდა. საქართველოს ოკუპაცია ეჭვს აღარ იწვევდა, არადა, სულ ორიოდე კვირის წინ, 1921 წლის 4 თებერვალს, უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა დამფუძნებელ კრებას „საქართველოს იურიდიული ცნობის გამო."

სტუდენტობა ყველგან სტუდენტობაა... ენერგიული, დაუღალავი, მეოცნებე, ეროვნული ენერგიის მატარებელი... თავისუფლებადაკარგული ქვეყნის სტუდენტობა მით უფრო დაუდგრომელი სულისკვეთებითაა განმსჭვალული. თბილისის უნივერსიტეტში სტუდენტობის წინააღმდეგობა არსებული რეჟიმისადმი ხან მინავლდებოდა (თითქოს ტკივილი მიჩუმდებოდა), ხან ახალი ძალით იფეთქებდა.

მოკლე საგაზეთო სტატიაში ყველას და ყველაფერს ვერ ჩამოთვლი. შევჩერდებით ეროვნული მოძრაობის უმთავრეს მოვლენებზე უნივერსიტეტის ყველა თაობის წარმომადგენელთა მონაწილეობით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმ ეპოქის სტუდენტების როლი და თავგანწირვა.

- საქართველოს კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფო ენის სტატუსის შენარჩუნების მიზნით გამართული გრანდიოზული მიტინგი;
- გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ჩაშლის მიზნით დაწყებული მოძრაობა;
- საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ზოგიერთი საგნის რუსულ ენაზე სწავლების შემოღების ჩაშლა;
- ტრანსკავკასიური რკინიგზის მშენებლობის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო მოძრაობა;
- გარეჯის პოლიგონზე საარტილერიო სროლების შეწყვეტის მოთხოვნით დაწყებული საპროტესტო მოძრაობა;
- 1989 წლის 9 აპრილს რუსული არმიის დამსჯელებთან და ტანკებთან უთანასწორო ბრძოლა.

ისევ სისხლი... ძვირად ფასობს თავისუფლება!

თავისუფლებას საწოლში ან თბილ ბუხართან არ ელოდებიან — ყველა შემთხვევაში ასე ფიქრობდნენ უნივერსიტეტელები. ბევრ მათგანს საკმაოდ დიდხანს მოუწია ციხეებსა და გადასახლებაში ყოფნა. მათი გამძლეობა და ბრძოლის ჟინი მაგალითის მიმცემი იყო საზოგადოებისათვის.

ქართულ უნივერსიტეტში მწიგნობარ-მეცნიერნიც მოღვაწეობდნენ (რომელთაგან ბევრი აუდიტორიებიდანაც გამოაძევა და სატუსაღოებშიც გამოამწყვდია ანტიეროვნულმა რეჟიმმა), სამშობლოს თავისუფლებისათვის იარაღით გამოსულნიც იყვნენ და ზვარაკად შეწირულნიც...

უნივერსიტეტის დამფუძნებელთა მიერ ანთებული თავისუფლების უკვდავი იდეა მარადიულად ცოცხლობდა ამ კედლებში.

თაობები მოდიოდნენ და მოჰქონდათ ახალი ენერგია და იმედი. მიდიოდნენ და თან მიჰქონდათ პირველი ქართული უნივერსიტეტელის სახელი, რომლის ხიბლი და ღირსება ვერავინ და ვერაფერმა გაახუნა. ასე იქნება მარადიულად!..

ჩვენი კურსდამთავრებულები

იყო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული – სიამოვნებით სატარებელი ტვირთია. შენ განსაკუთრებული პატივი გერგო ივანე ჯავახიშვილის, პეტრე მელიქიშვილის, ფილიპე გოგიჩაიშვილის, შალვა ნუკუბიძის, აკაკი შანიძის, დიმიტრი უზნაძის, ნიკო მუსხელიშვილის, ილია ვეკუას, არნოლდ ჩიქობავას, გიორგი წერეთლის ნაფეხურებზე გევლო და შეგეგრძნო ქართული მეცნიერების მეტრების ინტელექტით გაჯერებული აურა. ამიტომაც, იყო და გახდე თსუ-ის კურსდამთავრებული – უდიდესი პასუხისმგებლობაა ერისა და უნივერსიტეტის ღირსეული დამფუძნებლების ხსოვნის წინაშე, რომელთა მამულიშვილობის მაგალითების არდავიწყებით იზრდებოდა უნივერსიტეტელთა ყველა თაობა. ეს მისია კარგად აქვთ გაცნობიერებული ჩვენს რესპონდენტებს, რომელთა მოღვაწეობითაც ნამდვილად შეუძლია იამაყოს პირველმა ქართულმა უნივერსიტეტმა, რამეთუ ისინი თსუ-ის კურსდამთავრებულნი არიან.

რა დამავიწყებს სულიერების სემინარებს, ადამიანობის გაკვეთილებს...

თამაზ ჭილაძე, მწერალი:

— თქვენი აზრით, რამდენად განსაკუთრებულია უნივერსიტეტის დანიშნულება?

— უნივერსიტეტთან ბევრი ძვირფასი მოგონებაა დაკავშირებული. სწორედ უნივერსიტეტი იყო ერთ-ერთი ოაზისი, სადაც კომუნისტური რეჟიმების პირობებში სულს ითქვამდა არა მხოლოდ იქ მოსწავლე ახალგაზრდობა, არამედ მთელი ერი, იმედის თვალით რომ შესცქეროდა ამ მართლაც სინათლის ტაძარს.

რა დამავიწყებს იმ დიდებულ პიროვნებებს, რომლებიც არა მარტო საგანს გვასწავლიდნენ, არამედ საქართველოს ღირსეულ მოქალაქეებად გვზრდიდნენ. რა დამავიწყებს აკაკი შანიძის, ვარლამ თოფურიას, კორნელი კეკელიძის, სიმონ ყაუხჩიშვილის ლექციებს – სულიერების სემინარებს, ადამიანობის გაკვეთილებს!

ჩვენი მწერლობის სამოციანელთა სახელოვანი თაობა თბილისის უნივერსიტეტში ჩაისახა და უნივერსიტეტის იმდროინდელი რექტორის, ნიკო კეცხოველის გონიერი სიკეთის ქოლგის ქვეშ ჩამოყალიბდა, როგორც ლიტერატურული თაობა.

ვიდრე ახალდაარსებულ ჟურნალ „ცისკარში“ გადავინაცვლებდით, ჩვენს თაობას „პირველსხიველებს“ ეძახდნენ. „პირველი სხივი“ უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერლების ალმანახს ერქვა, რომელიც, ასევე, ნიკო კეცხოველის თავგამოდებული მონდომებით დაარსდა.

1997 წელს თბილისის უნივერსიტეტმა ივანე ჯავახიშვილის მედლით დამაჯილდოვა. რუსთაველის პრემიასთან ერთად ეს არის ჩემთვის ყველაზე მაღალი და საამაყო ჯილდო.

1994 წელს, თბილისის უნივერსიტეტის იუბილეზე, რომელიც ოპერის თეატრში გაიმართა, პატივი მქონდა მეთქვა სიტყვა, რომლის ნაწყვეტსაც ახლაც სიამოვნებით გავიხსენებ, თუნდაც იმიტომ, რომ ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს ზოგიერთი რამ შევახსენო:

განსაკუთრებულია უნივერსიტეტის მნიშვნელობა საქართველოს ცხოვრებაში, რამდენადაც განსაკუთრებულია მისი დანიშნულებაც – თავისი თვალუწვდენელი წიაღიდან წარმოშვას ერის მომავალი! ყველა მისი მოღვაწის, ერის წინაშე დიადი სამსახურის ზერელე გახსენებაც კი არ შეიძლება სიამაყით არ ავსებდეს ქართველი ადამიანის გულს, ხოლო უცხოელს, საერთოდ, საქართველოსადმი პატივისცემის გრძნობას არ უჩენდეს. მას განგებამ თუ ბედმა, ანდა ჩვენი ისტორიის თავისებურებამ, მწერლობასთან და ეკლესიასთან ერთად, ერის მოძღვართა მოძღვრის როლი დააკისრა. დე, დიდხანს და დიდხანს, ქართველი ხალხის მთელი მომავალი ცხოვრების მანძილზე, ანუ სამუდამოდ, მას ღირსეულად ატარებინოს ეს უმძიმესი, უკეთილშობილესი ტვირთი...

მსურს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ვიხილო მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უნივერსიტეტების თანასწორი

გია მახათაძე, ნიუ-იორკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი

— ბატონო გია, როგორ ხედავთ უნივერსიტეტის როლს განათლებისა და, ზოგადად, სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესში?

— ისტორიულად უნივერსიტეტის სტუდენტები ყოველთვის იყვნენ ყველაზე ლიბერალური და დემოკრატიული საზოგადოების ნაწილი, რაც უშუალოდ უკავშირდებოდა განათლების იმ დონეს, რასაც მათ უნივერსიტეტი აძლევდა. დემოკრატიულ იდეებს, ცოდნასა და განათლებას კი დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მშენებლობაში. დემოკრატია ადამიანის შექმნილია.

— როგორ ასრულებს ამ დანიშნულებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და რამდენად მზარდია მისი ავტორიტეტი საქართველოსა და უცხოეთში?

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბოლო 2-3 წლის განმავლობაში ბევრი სასიკეთო ცვლილება მოხდა. ეს გამოწვეული იყო საქართველოში მიმდინარე განახლების პროცესებით. განათლება საზოგადოების სარკეა და როცა ქვეყანა უკეთესისკენ მიემართება, უმაღლესი განათლებაც იგივე მიმართულებით ვითარდება. სამწუხაროდ, საბჭოთა პერიოდში ჩვენ იზოლირებული ვიყავით მსოფლიო ინტელექტუალური საზოგადოებისაგან. ამიტომ ჯერ ადრეა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო პრესტიჟზე საუბარი. უნივერსიტეტი ამ ახალ დროში უნდა განვითარდეს და იმიჯი შეიქმნას. მჯერა, რომ რაც უფრო გაუმჯობესდება დემოკრატიული სისტემა საქართველოში და რაც უფრო ჩქარა მოხდება ჩვენი ქვეყნის ინტეგრაცია ევროპასთან, მით უფრო გაიზრდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრესტიჟი მსოფლიოში.

ჩვენი კურსდამთავრებულები

უნივერსიტეტი იყო და არის ფლაგმანი, ერის მოწინავე დროშა, რომელიც ძირს არ უნდა დავხაროთ

კოტე ჩოლოყაშვილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერთანამშრომელი, თავადაზნაურთა საკრებულოს წინამძღოლი, პროფესორი:

— დიდი ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტთან რომ ჩაივლიდა, მოკრძალების ნიშნად, ქუდს იხდიდა. სამამულო ომის წლებში უნივერსიტეტის შენობა შავად შეღებეს, რომ მტრის თვითმფრინავებისთვის ადვილად შესამჩნევი არ ყოფილიყო. ერთხელ, ახლოს მომიწია ჩავლამ. მეეტლეს ეუცნაურა ასე გადაღებილი შენობა და ხმამაღლა წამოიძახა: ეს რა უქნიათ ჩვენი უნივერსიტეტისთვისო! ამით რისი თქმა მინდა იცით? უნივერსიტეტი მარტო სტუდენტისთვის და პროფესორებისთვის კი არ იყო მნიშვნელოვანი დაწესებულება, არამედ ის სახალხო, ყველასათვის სათაყვანებელი საგანმანათლებლო ცენტრი იყო. როდესაც უნივერსიტეტის შენობას აშენებდნენ, ილიასთვის უკითხავთ, კი მაგრამ, ასეთი დიდი შენობა რა საჭიროაო... ილიას უთქვამს: დღეს, მართალია, გიმნაზიას ვაშენებთ, მაგრამ ხვალ იგი შეიძლება უნივერსიტეტად იქცესო!.. ასე აგიხდეთ ყველაფერი კარგი!

— თქვენ რომელ წლებში სწავლობდით უნივერსიტეტში?

— 1940 წელს დავამთავრე საშუალო სკოლა და უნივერსიტეტშიც იმავე წელს ჩავირიცხე. მაშინ ყველა დარგს ბრწყინვალე წარმომადგენელი ჰყავდა: ივანე ჯავახიშვილი, გიორგი ჩიტაია, გიორგი ნიორაძე, ნიკო მუსხელიშვილი და სხვები. ესენი ერის სულიერი მამები იყვნენ.

უნივერსიტეტი ყოველთვის ასრულებდა მნიშვნელოვან როლს ქვეყნის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ყოველთვის ამბობდა თავის სათქმელს მიმდინარე მოვლენების შესახებ და თავის პოზიციას აფიქსირებდა. ასე იყო მეცნიერებათა აკადემიაც. აკადემიაც ხომ უნივერსიტეტის ტრადიციების ერთგვარი გამგრძელებელია.

უნივერსიტეტი მარტო სტუდენტებისა და პედაგოგების კი არ არის, იგი ყველასია — მას უდიდესი სახალხო მნიშვნელობა აქვს. ადრეც არსებობდა სასწავლო ცენტრები, მაგრამ ასეთი ფასეული და ამ მასშტაბის, არ გვქონია. უნივერსიტეტი იყო და არის ფლაგმანი, ერის მოწინავე დროშა, რომელიც ძირს არ უნდა დავხაროთ.

სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება იდენტობას არ დაგვაკარგვინებს

ნუგზარ წიკლაური, საქართველოს პარლამენტის უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე:

— რა მოგონება გაკავშირებთ უნივერსიტეტთან? როგორია თქვენთვის უნივერსიტეტი და რამდენად აგრძელებს იგი მისი დამფუძნებლების მიერ დაკისრებულ მისიას?

— იმ პერიოდთან, როდესაც უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი, მხოლოდ წლები არ მაშორებს... მას შემდეგ საქართველოში მთელი ეპოქა შეიცვალა. ჩემი სტუდენტობის პერიოდში უნივერსიტეტი საბჭოთა სისტემაზე იყო მორგებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ დაუკარგავს ერის ინტელექტუალური ცენტრის ფუნქცია. 80-იანი წლების ბოლოს, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პირველივე ეტაპზე გამოვლინდა, რომ, მიუხედავად საბჭოთა წარსულისა, სწორედ უნივერსიტეტი რჩებოდა ეროვნულობის ძირითად კერად, რის გარშემოც ქართველობამ ყველაზე გადამწყვეტ მომენტში მოიყარა თავი. ეს იყო სწორედ ის მუხტი, რაც მისმა დამფუძნებლებმა უნივერსიტეტის დაარსების იდეაში ჩადეს.

— როგორი იყო მაშინდელი სტუდენტობა, რით ჰგავს ის თაობა დღევანდელს?

— ვიყავით ჩვეულებრივი სტუდენტები. ხშირად გვქონდა ისეთი ინტერესები, რომლებიც არ თავსდებოდა სასწავლო გეგმასთან... ჩვენ, ისე როგორც თითქმის ყველას, არ გვიყვარდა ლექციებზე შესვლა და გვიყვარდა სხვაგან ერთად ყოფნა და გართობა. ამას ახლა ვერავინ შეცვლის...

— არ ფიქრობთ, რომ ბევრს კარგავდით? თუ იყვნენ ლექტორები, რომლის ლექციებსაც არ აცდენდით?

— არც უმაგისობა იყო. დასამალი არ არის, რომ მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტიდან დიდი ქართველი მეცნიერების პლეადა წავიდა, ბევრი არ იყო ისეთი ლექტორი, რომლის ლექციაზე ჯდომაც გვიხაროდა... თუმცა გამოვარჩევდი რამდენიმე ლექტორს და დისციპლინას, რომელსაც სიამოვნებით ვსწავლობდით. მახსოვს ზურაბ კიკნაძის, რისმაგ გორდეზიანის და ალიკა ალექსიძის ლექციების მოსმენის შთაბეჭდილებები. ყოფილა შემთხვევები, როდესაც სხვა ფაკულტეტების სტუდენტები გვეუბნებოდნენ, რომ რომელიღაც ლექტორი საინტერესო სასწავლო კურსს კითხულობდა და ვესწრებოდით ამ ლექციებს.

უნივერსიტეტი ყოველთვის ამაყობდა ჩემი სპორტული წარმატებებით

ლეილა მესხი, ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:

— თქვენ სახელგანთქმული სპორტსმენი ბრძანდებით, რომელმაც არაერთხელ გაუთქვით სახელი ქართულ სპორტს და საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებზე ჩვენი ქვეყნის დიდება ღირსეულად დაიცავით. თქვენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდით. რას ნიშნავს თქვენთვის იყო თსუ-ის კურსდამთავრებული?

— პირველ რიგში, სასიამოვნოა, რომ საკუთარი ბიოგრაფიის პატარა ნაწილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უკავშირდება. ეს პრესტიჟიც არის და დიდი პასუხისმგებლობაც. სტუდენტობის წლებში აქტიური სპორტსმენი ვიყავი, თითოეული ჩემი გამარჯვება უნივერსიტეტის გამარჯვებაც იყო. ყოველთვის ვგრძნობდი უდიდეს ხელშეწყობასა და თანადგომას ჩემი პედაგოგებისა და კურსელების მხრიდან. ხშირად მიხდებოდა სასწავლო პროცესისგან გარკვეული დროით მოწყვეტა და სწორედ უნივერსიტეტის კოლექტივის ხელშეწყობითა და მხარდაჭერით შევძელი თსუ-ის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის კურსდამთავრებული გავმხდარიყავი. გული მწყდება, რომ სტუდენტური წლების გატარება ქვეყნისთვის ძალიან რთულ პერიოდში მომიხდა, ამას ემატებოდა ისიც, რომ სპორტული ცხოვრებით ვცხოვრობდი და ნაკლებად მრჩებოდა დრო სტუდენტობით დავმტკბარიყავი. ეს ნოსტალგია, ალბათ, ბოლომდე გამყვება... შემიძლია ვთქვა, რომ უნივერსიტეტი ამაყობდა ჩემი სპორტული წარმატებებით ისევე, როგორც მე მეამაყება ჩემს ავტობიოგრაფიაში ჩაწერილი ფრაზა: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული“.

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი	მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე
ფოტოკორესპონდენტი	სალომე მახარაძე
კომპიუტ. უზრუნველყოფა	თამარ ქავჟარაძე

რედკოლეგიის წევრები:
ნოდარ ბელქანია, გია მაჩაბელი, ზაზა ფირალიშვილი, ნინო ჩიხლაძე, ნანა ჭიღლაძე, ნოდარ ხადური, თემურ ნადარეიშვილი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ª
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
22 36 62